



სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტი

ეკონომიკის სადოქტორო პროგრამა

ვახტანგი თაქთაქიძე

მეფუტკრეობის, როგორც საექსპორტო დარგის,

განვითარების ეკონომიკური პრობლემები და

პერსპექტივები საქართველოში

ეკონომიკის დოქტორის აკადემიური ხარისხის

მოსაპოვებლად წარმოდგენილი

დისერტაცია

სამეცნიერო ხელმძღვანელი

ცისკარა ზარანდია

ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი

ახალციხე

2024

## ანოტაცია

წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომი განიხილავს საქართველოში მეფუტკრეობის, როგორც მნიშვნელოვანი საექსპორტო დარგის განვითარების ეკონომიკურ პრობლემებსა და პერსპექტივებს. კვლევაში ყურადღება გამახვილებულია ქართული მეფუტკრეობის გამორჩეულ მახასიათებლებზე, ქართული მთის რუხი ფუტკრის (*Apis mellifera caucasica*) უნიკალურობასა და ხელსაყრელ კლიმატურ პირობებზე. განხილულია მეფუტკრეობასთან დაკავშირებული ეკონომიკური, ტექნოლოგიური, მარეგულირებელი და გარემოსდაცვითი პრობლემები. ძირითადი ყურადღება ეთმობა ეკონომიკურ ბარიერებს. კვლევაში გამოყენებულია შედარებითი ანალიზი, ხარჯ-სარგებლიანობის ანალიზი, ლიტერატურის მიმოხილვა, შემთხვევის შესწავლა, სტატისტიკური ანალიზი, ბაზრის ანალიზი და პოლიტიკისა და რეგულაციების მიმოხილვა; რამაც განაპირობა საქართველოს მეფუტკრეობის სექტორზე მოქმედი ფაქტორების უკეთესად შესწავლა. კონკურენტუნარიანობის, საერთაშორისო ბაზრებზე ხელმისაწვდომობისა და მდგრადობის გასაზრდელად ნაშრომში მოცემულია სტრატეგიული რეკომენდაციები, რათა საქართველოში მეფუტკრეობა ჩამოყალიბდეს, როგორც ეროვნული ეკონომიკის მნიშვნელოვანი საექსპორტო დარგი.

## Annotation

V. Taktakidze's PhD thesis in Economics is on the topic: "Economic problems and prospects of development of beekeeping as an export industry in Georgia." The distinctive characteristics of Georgian beekeeping, the uniqueness of the Georgian mountain gray bee (*Apis mellifera caucasica*), and the favorable climatic conditions are underlined in the work. It discusses economic, technological, regulatory, and environmental problems related to beekeeping. The main focus is economic barriers. The research adopted the following methods: comparative analysis, cost-benefit analysis, literature review, case study, statistical data analysis, market analysis, and policy and regulation review. All of these provided a better study on the factors that affect the beekeeping sector in Georgia. Hence, strategic recommendations for increasing competitiveness, access to international markets, and sustainability of Georgia's beekeeping need to be set out in this paper towards the establishment of beekeeping in Georgia as an important export sector of the national economy.

## განაცხადი

ვახტანგი თაქთაქიძე ვაცხადებ, რომ წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალას, რომელიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ხელმოწერა

თარიღი

## სარჩევი

ანოტაცია .....	2
განაცხადი.....	3
შესავალი .....	5
თავი I. მეფუტკრეობის განვითარების თეორიულ--მეთოდოლოგიური საფუძვლები .....	18
1.1 მეფუტკრეობის როლი და მნიშვნელობა ქვეყანის ეკონომიკაში.....	19
1.2 მეფუტკრეობის ეკონომიკური ეფექტიანობა და მისი განმსაზღვრელი ფაქტორები .38	
1.3 მეფუტკრეობის მარეგულირებელი და ინსტიტუციური ჩარჩო.....	52
I თავის დასკვნები .....	69
თავი II. მეფუტკრეობის განვითარების მდგომარეობა და ეკონომიკური პრობლემები .....	71
2.1 მეფუტკრეობის განვითარების მსოფლიო ტენდენციები და კონკურენცია .....	73
2.2 ნატურალური თავლის წარმოების დღევანდელი მდგომარეობა საქართველოში.....	88
2.3 მეფუტკრეობის ეკონომიკური პრობლემები, ექსპორტის შემზღვეველი ფაქტორები...97	
II თავის დასკვნები.....	103
თავი III. მეფუტკრეობის განვითარების შესაძლებლობები და პერსპექტივები.....	105
3.1 მეფუტკრეობის ეფექტიანობის ამაღლება და თანამედროვე ტექნოლოგიები .....	106
3.2 მეფუტკრეობის განვითარების სტრატეგიის შემუშავება.....	121
3.3 ეკონომიკური ურთიერთობები და ექსპორტის ზრდის ძირითადი მიმართულებები .136	
III თავის დასკვნები .....	148
დასკვნა .....	150
რეკომენდაციები.....	153
გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა .....	155
დანართები.....	178

## შესავალი

საქართველოში მეფუტკრეობას აქვს მდიდარი ისტორია და მნიშვნელოვანი ეკონომიკური პოტენციალი, რომელიც ხასიათდება ქართული მთის რუხი ფუტკრის უნიკალური თვისებებით და ქვეყნის ხელსაყრელი კლიმატური პირობებით. ქართული მთის რუხი ფუტკარი გამოირჩევა სპეციფიკური ფიზიოლოგიური, ქცევითი და ადაპტაციური თვისებებით, აგრეთვე წარმოებული თაფლის მაღალი ხარისხით. მეფუტკრეობის სექტორი გავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკაზე არა მხოლოდ თაფლისა და ფუტკრის სხვა პროდუქტების წარმოებით, არამედ მეფუტკრეობასთან დაკავშირებულ სხვა დარგებზე დადებითი გავლენით, რომელთაგან უმნიშვნელოვანესია მცენარეთა დამტკვრვა, რაც მთლიანობაში ზრდის სოფლის მეურნეობის ეფექტიანობას.

აღსანიშნავია, რომ მეფუტკრეობა არ არის მხოლოდ ეკონომიკის, სოფლის მეურნეობის ერთერთი რიგითი დარგი. ბრაზილიაში, რიო-დე-ჟანეიროში 2012 წელს გამართულ გაეროს მიერ ორგანიზებულ მდგრადი განვითარების კონფერენციაზე დიდი ყურადღება დაეთმო დედამიწაზე სიცოცხლის შენარჩუნებაში ფუტკრის უნიკალურ მნიშვნელობასა და აუცილებლობას. გამოითქვა მოსაზრება, რომ თუ ფუტკარი გადაშენდება, კაცობრიობა მხოლოდ ოთხი წელი იარსებებს.

გლობალურ კონტექსტში, ქართული მეფუტკრეობა ცნობილია საერთაშორისო ბაზრებზე. იგი გამოირჩევა მეფუტკრეობის პროდუქტების უნიკალურობით. მსოფლიო ბაზარზე მზარდია ბუნებრივ და ორგანულ პროდუქტებზე მოთხოვნა და საქართველოს მეფუტკრეობას აქვს შესაძლებლობა, დააკმაყოფილოს იგი. თუმცა, საერთაშორისო ბაზრებზე შესვლა მოითხოვს გარკვეული ბარიერების გადალახვას, მათ შორის ხარისხის საერთაშორისო სტანდარტების დაკმაყოფილებას, ბრენდინგისა და მარკეტინგის საკითხების მოგვარებასა და საერთაშორისო სავაჭრო რეგულაციებისა და შეთანხმებების დაცვას.

საქართველოში მეფუტკრეობა, მიუხედავად მისი დიდი პოტენციალისა, დღას არაერთი პრობლემის წინაშე. ფუტკრის პოპულაციაზე მოქმედი დაავადებები, კლიმატის ცვლილების გავლენა და ეკონომიკური პრობლემები ხელს უშლის დარგის განვითარებას. ამ გამოწვევების გადაჭრა მოითხოვს მრავალმხრივ მიდგომას; მათ

შორის მარეგულირებელი ნორმებისა და ინსტიტუციური ჩარჩოების გაუმჯობესებას, შესაბამისი სასწავლო კომპონენტის გაძლიერებას და ფინანსური და საკრედიტო საკითხების მოგვარებას.

ამდენად, მეფუტკრეობის, როგორც საექსპორტო დარგის, განვითარება საქართველოში დამოკიდებულია არსებული გამოწვევების გადალახვასა და შესაძლებლობების, პერსპექტივების სწორად გამოყენებაზე, როგორც შიდა, ისე საერთაშორისო ბაზრებზე. დარგის კონკურენტუნარიანობის ამაღლება მოითხოვს კომპლექსურ მიდგომას, რომელიც მოიცავს: მარეგულირებელი ნორმების დახვეწას, თანამედროვე ტექნოლოგიების (**ხელოვნური ინტელექტი (AI), Machine Learning (ML)** და **Internet of Things (IoT)**) დანერგვას, დარგის განვითარების სტრატეგიის შემუშავებასა და საერთაშორისო სავაჭრო შესაძლებლობების გამოყენებას. საქართველოში მეფუტკრეობის მომავალი დამოკიდებულია ერთი მხრივ შესაბამის სახელმწიფო ეკონომიკურ პოლიტიკისა და მეორე მხრივ მეფუტკრეთა მიერ პრაქტიკაში თანამედროვე მოწინავე გამოცდილებისა და ინოვაციების დანერგვის სინერგიაზე.

**კვლევის აქტუალობა.** მეფუტკრეობის, როგორც სიცოცხლისუნარიანი საექსპორტო დარგის, განვითარებას საქართველოში აფერხებს ეკონომიკური, მარეგულირებელი და გარემოსდაცვითი საკითხების ერთობლიობა. ეკონომიკური თვალსაზრისით, მეფუტკრეობის დარგი ხასიათდება ფინანსურ რესურსებზე არასაკმარისი ხელმისაწვდომობით, დარგში დიდი წილი მცირერიცხოვან საფუტკრეებზე მოდის, რომლებსაც უჭირთ შეღავათიანი პირობებით კრედიტის მიღება, რაც მნიშვნელოვნად აფერხებს მეფუტკრეობაში თანამედროვე ტექნოლოგიებისა და ინოვაციური პრაქტიკის დანერგვას.

მარეგულირებელი ნორმებთან დაკავშირებული პრობლემები გულისხმობს არასაკმარისად განვითარებულ სამართლებრივ და ინსტიტუციურ ჩარჩოს. მეფუტკრეობის მარეგულირებელი პოლიტიკა ფრაგმენტულია. დაურეგულირებელია მეფუტკრეებისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი მრავალი საკითხი, რომლებიც აუცილებელია დარგის მრავალმხრივი გამოწვევების გადასაჭრელად. არსებობს ხარვეზები მოქმედი რეგულაციების განხორციელებაში; სახელდობრ, არასაკმარისად

ხორციელდება ხარისხისა და უსაფრთხოების სტანდარტებთან შესაბამისობის ზედამხედველობა. არასრულყოფილი მარეგულირებელი და ინსტიტუციური ჩარჩო ხელს უშლის ჯანსაღ კონკურენციას, როგორც ქვეყნის შიდა, ასევე გლობალურ ბაზრებზე. შედეგად მცირდება დარგის საექსპორტო პოტენციალიც.

გარემოსდაცვითი თვალსაზრისით, მეფუტკრეობას სერიოზული საფრთხე ემუქრება ფუტკრის დაავადებების, მავნებლებისა და კლიმატის ცვლილებებისგან. ისეთი დაავადებების გავრცელება, როგორცაა: ვაროატოზი, ნოზემატოზი, ამერიკული და ევროპული სიდამპლეები უარყოფითად მოქმედებენ ფუტკრის ჯანმრთელობასა და პროდუქტიულობაზე. ამ დაავადებებთან ბრძოლას ხელს უშლის დაბალი ხელმისაწვდომობა ვეტერინარულ სერვისებზე და მეფუტკრეთა შეზღუდული ცოდნა ფუტკრის ჯანმრთელობის მართვის თანამედროვე პრაქტიკის შესახებ. გარდა ამისა, კლიმატური პირობების ცვლილება ქმნის არაპროგნოზირებად პრობლემებს, რაც გავლენას ახდენს ბუნებაში ყვავილოვან რესურსების ბაზაზე, ამინდზე, საბოლოოდ თაფლისა და მეფუტკრეობის სხვა პროდუქტების წარმოების რაოდენობასა და ხარისხზე.

მეფუტკრეობის ზრდის პოტენციალსა და ექსპორტს ასევე აბრკოლებს შესაბამის ბაზრებზე შეზღუდული წვდომა, როგორც შიდა, ისე საერთაშორისო დონეზე. განუვითარებელია ქართული თაფლისა და მეფუტკრეობის სხვა პროდუქტების ბრენდინგი და მარკეტინგი. ერთიანი ბრენდინგის სტრატეგიის არარსებობა ამცირებს პროდუქტის ცნობადობასა და კონკურენტუნარიანობას საერთაშორისო ბაზარზე. დარგს ასევე უჭირს ხარისხის მაღალი სტანდარტების დაკმაყოფილება, რომელიც საჭიროა ევროკავშირისა და ჩრდილოეთ ამერიკის მაღალმომგებიან ბაზრებზე შესასვლელად.

**კვლევის ობიექტი და საგანი.** კვლევის ობიექტია საქართველოში მეფუტკრეობის დარგი. კერძოდ, ძირითადი ყურადღება ეთმობა დარგისათვის დამახასიათებელ სხვადასხვა ეკონომიკურ ასპექტებს: წარმოება, მარკეტინგი, ექსპორტის პოტენციალი და დარგის მნიშვნელობა ეროვნულ ეკონომიკაში.

კვლევის საგანს წარმოადგენს საქართველოში მეფუტკრეობის დარგის განვითარების ეკონომიკური პრობლემები და პერსპექტივები. ხაზგასმულია მისი

საექსპორტო პოტენციალი. შესწავლილია დარგის ეკონომიკური ეფექტიანობა, საკანონმდებლო მარეგულირებელი ჩარჩო, ტექნოლოგიების დანერგვის დონე, საბაზრო სტრატეგიები, ფინანსური ინსტრუმენტები და საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობები. გლობალურ ბაზარზე საქართველოს მეფუტკრეობის დარგის კონკურენტუნარიანობის გასაზრდელად განხილულია დარგის წინაშე არსებული გამოწვევები და პერსპექტივები.

**კვლევის მიზნები და ამოცანები.** იმისათვის რომ მეფუტკრეობა გახდეს საქართველოსათვის მნიშვნელოვანი საექსპორტო დარგი, აუცილებელია მეფუტკრეობის განვითარებაზე მოქმედი ეკონომიკური, ტექნოლოგიური, მარეგულირებელი, სოციალური და ეკოლოგიური ფაქტორების ანალიზი, როგორც პრობლემების, ასევე პერსპექტივების ჭრილში. კვლევის ფარგლებში, კერძოდ, დასახულია შემდეგი მიზნები და ამოცანები:

**1. საქართველოში მეფუტკრეობის ეკონომიკური მნიშვნელობის გაანალიზება:**

- მეფუტკრეობის დარგის ეკონომიკური წვლილის შეფასება თანამედროვე საქართველოს ეკონომიკაში;
- მეფუტკრეთათვის ფინანსური გამოწვევების და ბარიერების მიმოხილვა, მათ შორის კრედიტებსა და გრანტებზე ხელმისაწვდომობის განსაზღვრა;
- მეფუტკრეობაში პოტენციური ეკონომიკური სტრატეგიების კვლევა დარგის მომგებიანობისა და მდგრადობის გასაუმჯობესებლად.

**2. საერთაშორისო ბაზრებზე წვდომისა და საექსპორტო პოტენციალის შეფასება:**

- საქართველოში ფუტკრის ოჯახების რაოდენობის და წარმოებული თაფლის მოცულობის დინამიკის ანალიზი;
- შიდა და საერთაშორისო ბაზარზე შესვლის ბარიერების იდენტიფიცირება და პროდუქტის ცნობადობისა და კონკურენტუნარიანობის ზრდის სტრატეგიების შეთავაზება;

- ნატურალური თაფლის წარმოების შედარებითი უპირატესობის (**RCA - Revealed Comparative Advantage**), კონკურენტუნარიანობისა (**ECI - Export**

**Competitiveness Index)** და ექსპორტის დივერსიფიკაციის (**EDI - Export Diversification Index**) ინდექსების გაანგარიშება; საქართველოს საექსპორტო პოზიციის შედარება მის მეზობელ ქვეყნებთან;

- ექსპორტის გაფართოების პოტენციალის შეფასება და რეკომენდაციების შემუშავება საერთაშორისო ბაზრებზე გასვლის მიზნით.

**3. მეფუტკრეობაზე მოქმედი ტექნოლოგიური, მარეგულირებელი და ეკოლოგიური ფაქტორების მიმოხილვა:**

- საქართველოში მეფუტკრეობასთან დაკავშირებული მოქმედი საკანონმდებლო და მარეგულირებელ ბაზის ანალიზი და მისი სრულყოფისათვის რეკომენდაციების შემუშავება;

- ფუტკრის ჯანმრთელობასა და პროდუქტიულობაზე მოქმედი ეკოლოგიური გამოწვევების, ფუტკრის დაავადებების, მავნებლების და კლიმატის ცვლილების გავლენის მიმოხილვა;

- მეფუტკრეობის პროდუქტიულობისა და ხარისხის გასაუმჯობესებლად, თანამედროვე ტექნოლოგიების და ინოვაციური მეთოდების იდენტიფიცირება;

**4. მეფუტკრეობის განვითარების სტრატეგიის ძირითადი მიმართულებების შემუშავება:**

- საქართველოში მეფუტკრეობის მდგრადობის, მომგებიანობისა და საექსპორტო პოტენციალის გასაუმჯობესებლად ჰოლისტიკური სტრატეგიის შემუშავებისათვის თეორიულ-მეთოდოლოგიური ბაზის შექმნა;

- ეკონომიკური, მარეგულირებელი, გარემოსდაცვითი, სოციალური და ტექნოლოგიური ფაქტორების ინტეგრირება ერთიან სისტემაში;

- ქმედითი ნაბიჯების შეთავაზება დაინტერესებულ მხარეებისათვის, მათ შორის: მთავრობის, კერძო სექტორისა და სამოქალაქო საზოგადოებისათვის, ერთიანი სტრატეგიის განსახორციელებლად.

**კვლევის მეთოდები.** საქართველოში მეფუტკრეობის, როგორც საექსპორტო დარგის, განვითარების ეკონომიკური პრობლემებისა და პერსპექტივების შესწავლის პროცესში გამოყენებულ იქნა კვლევის მრავალმხრივი მეთოდოლოგია. რომელიც მოიცავს კონკრეტულ მეთოდებსა და მიდგომებს, არსებული კვლევები მონაცემთა

შეგროვების, ანალიზისა და ინტერპრეტაციისთვის, რათა უზრუნველყოს კვლევის ობიექტის საფუძვლიანი და სიღრმისეული გამოკვლევა, კერძოდ:

#### ლიტერატურის მიმოხილვა

კვლევა ემყარება საფუძვლიან ლიტერატურულ მიმოხილვას. დაცული სადოქტორო დისერტაციები და სამაგისტრო ნაშრომები, სამეცნიერო ჟურნალები, სამთავრობო ანგარიშები, საერთაშორისო ორგანიზაციების პუბლიკაციები და სხვა შესაბამისი წყაროები გულდასმითაა განხილული, საქართველოში და გარკვეულწილად მთელს მსოფლიოში მეფუტკრეობის ისტორიული, ამჟამინდელი და პერსპექტიული მდგომარეობის შესწავლის მიზნით. ლიტერატურის მიმოხილვა მნიშვნელოვანია მეფუტკრეობის დარგის ევოლუციის, თანამედროვე გამოწვევების და შესაძლებლობების დასაანახად.

#### შედარებითი ანალიზი

კვლევაში გამოყენებულია შედარებითი ანალიზი საქართველოს მეფუტკრეობის დარგის შედარების მიზნით სოფლის მეურნეობის სხვა ძირითად დარგებთან და სხვა ქვეყნების მეფუტკრეობის დარგებთან. ეს ანალიზი მნიშვნელოვან როლს ასრულებს კონკურენტული უპირატესობების, ბაზრის დინამიკის და ზრდისა და განვითარების პოტენციური მიმართულებების იდენტიფიცირებაში.

#### ხარჯ-სარგებლიანობის ანალიზი

ეკონომიკური მიზანშეწონილობა ფასდება მეფუტკრეობის ხარჯებისა და სარგებლის დეტალური ანალიზით, რაც მოიცავს მეფუტკრეობის ფინანსური შედეგების, სექტორთშორისი კავშირების და მულტიპლიკატორული ეფექტების შეფასებას, მისი ეკონომიკური ზემოქმედების რაოდენობრივ განსაზღვრას.

#### შემთხვევის შესწავლა

შესწავლილ იქნა წარმატებული მეფუტკრეობის საწარმოებისა და ინსტიტუციური ინტერვენციების შემთხვევები, როგორც საქართველოში, ასევე საერთაშორისო დონეზე. რომლებიც პრაქტიკულად წარმოაჩინენ მეფუტკრეობის განვითარების სტრატეგიების განხორციელებისას არსებულ რეალურ გამოწვევებსა და შედეგებს.

#### სტატისტიკური ანალიზი

წარმოების მონაცემები, საერთაშორისო ვაჭრობის სტატისტიკა და სხვა შესაბამისი რიცხვითი მონაცემები ექვემდებარება სტატისტიკურ ანალიზს. მისი მიზანია ტენდენციების, შაბლონებისა და ანომალიების იდენტიფიცირება. სტატისტიკური ანალიზი იძლევა საშუალებას შემუშავებულ იქნეს დარგის განვითარებისა და პერსპექტივების მონაცემებზე დაფუძნებული ხედვა.

#### დაინტერესებული მხარეების ანალიზი

დაინტერესებული მხარეების: სამთავრობო უწყებების, კერძო სექტორისა და არასამთავრობო ორგანიზაციების - ანალიზი, რომლის მიზანია გამოავლინოს მათი წილი პასუხისმგებლობები და პრობლემები, რომლებსაც აწყდებიან სხვადასხვა დაინტერესებული მხარეები. მსგავსი ანალიზი იძლევა ინსტიტუციური და მარეგულირებელი ნორმების ჰოლისტიკური ხედვის საშუალებას.

#### გარემოზე ზემოქმედების და ტექნოლოგიების მიმოხილვა

კვლევაში მიმოხილულია მეფუტკრეობის ეკოლოგიური და ტექნოლოგიური ასპექტები. რაც მოიცავს კლიმატის ცვლილების, გარემოსდაცვითი საკითხების და ტექნოლოგიური მიღწევების გავლენის ანალიზს მეფუტკრეობის დარგის წარმოებაზე, ეფექტიანობასა და მდგრადობაზე.

#### პოლიტიკისა და რეგულაციების მიმოხილვა

საქართველოში მეფუტკრეობის მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმებისა და პოლიტიკის მიმოხილვა მიზნად ისახავს არსებული ნორმების ადეკვატურობის დადგენას არსებულ გამოწვევებსა და ხარვეზებთან მიმართებაში. მოცემული მეთოდი საჭიროა საკანონმდებლო ჩარჩოს შემდგომი სრულყოფის რეკომენდაციების შემუშავებაში.

#### ბაზრის ანალიზი

კვლევა მოიცავს ბაზრის დეტალურ ანალიზს მეფუტკრეობის გლობალურ ბაზარზე საქართველოს პოზიციის შესასწავლად. ის იკვლევს ბაზარს, ბრენდინგს, საერთაშორისო ურთიერთობებს და სავაჭრო ხელშეკრულებებს, ექსპორტის გაფართოებისა და სავაჭრო სტრატეგიის შემუშავების მიზნით.

თითოეული ეს მეთოდი გამოიყენება იმისათვის, რომ კვლევა იყოს ყოვლისმომცველი, ობიექტური და სანდო. ამ მეთოდების გამოყენებით მიღებული

შედეგები ხელს უწყობს საქართველოში მეფუტკრეობის, როგორც საექსპორტო დარგის, განვითარების ეკონომიკური პრობლემებისა და პერსპექტივების საფუძვლიან გააზრებას, სწორი პოლიტიკის და პრაქტიკის მიმართულებების ხელშეწყობას.

**კვლევის მეცნიერული სიახლე** მდგომარეობს შემდეგში:

- ❖ სხვა ქვეყნებთან შედარებითი ანალიზით ჩამოყალიბებულია საქართველოში მეფუტკრეობის დარგის განვითარების სტრატეგიის შემუშავების თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები;
- ❖ მიმოხილულია ქვეყანაში არსებული მარეგულირებელი, საკანონმდებლო ჩარჩო და ინსტიტუციური მხარდაჭერის მექანიზმები არსებული ხარვეზებისა და პოტენციური შესაძლებლობების გამოსავლენად;
- ❖ შედარებულია საქართველოს მეფუტკრეობის დარგის საექსპორტო მახასიათებლები მეზობელ ქვეყნებთან, ნატურალური თაფლის წარმოების შედარებითი უპირატესობის (RCA), საექსპორტო კონკურენტუნარიანობის (ECI) და ექსპორტის დივერსიფიკაციის (EDI) ინდექსების მიხედვით;
- ❖ მიმოხილულია მეფუტკრეობაში თანამედროვე ტექნოლოგიების (ხელოვნური ინტელექტი (AI), Machine Learning (ML) და Internet of Things (IoT)) დანერგვის პოტენციური ეკონომიკური გავლენა;
- ❖ განსაზღვრულია თანამედროვე ტექნოლოგიების ეფექტიანი ინტეგრაციის წინაპირობები და შედეგები;
- ❖ ჩამოყალიბებულია მეფუტკრეობის პროდუქტების საერთაშორისო ბაზრებზე ეფექტიანი მარკეტინგისა და ბრენდინგის სტრატეგიების შემუშავებაზე მოქმედი ძირითადი ფაქტორები.

**ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა.** მოცემული კვლევის მნიშვნელობა მდგომარეობს საქართველოში მეფუტკრეობის დარგის სიღრმისეულ შესწავლაში; სწორი ანალიზის საფუძველზე საერთო დასკვნების და პრაქტიკული რეკომენდაციების შემუშავებას აქვს, როგორც პრაქტიკულ გამოყენება, აგრეთვე სამეცნიერო მნიშვნელობა - იგი ხელს შეუწყობს მეფუტკრეობის ეკონომიკური

პოტენციალის ამაღლების მიმართულებით მომავალ კვლევებს. მეფუტკრეობაზე მოქმედი ეკონომიკური, ტექნოლოგიური, ეკოლოგიური და საკანონმდებლო ფაქტორების, ბაზრის დინამიკის, მსოფლიო ტენდენციების, წარმატებული მოდელების, შესაბამისი თანამედროვე ტექნოლოგიების და ინოვაციების შესწავლა დაეხმარება ქართულ მეფუტკრეობას განვითარდეს და ჩამოყალიბდეს ძლიერ საექსპორტო დარგად.

კვლევის შედეგები შესაძლებელს გახდის მეფუტკრეობის მიმართულებით პრაგმატული და ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებას, სტრატეგიულ დაგეგმვას და თანმიმდევრული პოლიტიკის განხორციელებას, რომელიც არა მხოლოდ გაზრდის მეფუტკრეობის დარგს საქართველოში, არამედ ხელს შეუწყობს ქვეყნის ეკონომიკურ დივერსიფიკაციას, მდგრად განვითარებას და გარემოს დაცვას.

კვლევის შედეგები ერთგვარი ნიადაგის მომზადებაა მეფუტკრეობის დარგის წინაშე არსებულ ეკონომიკურ გამოწვევებზე პრაგმატული გადაწყვეტილებების შემუშავებისათვის; ფინანსური ბარიერების, ბაზრის ხელმისაწვდომობისა და მომგებიანობის ანალიზის საფუძველზე ეკონომიკური ინტერვენციების პოლიტიკის საფუძვლის მომზადება, რომელიც სტიმულს მისცემს მეფუტკრეობის განვითარებას, გაზრდის მის წვლილს მშპ-სა და დასაქმებაში.

კვლევა მოიცავს საქართველოში მეფუტკრეობის საკანონმდებლო და ინსტიტუციურ ჩარჩოს ანალიზს. რის შედეგადაც მიღებული დასკვნები სასარგებლო იქნება საკანონმდებლო და მარეგულირებელი ნორმატიული ბაზის შემდგომი სრულყოფისათვის; საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად და დარგის განვითარებისათვის ხელსაყრელი გარემოს შესაქმნელად.

ეკოლოგიური ფაქტორებისა და დარგის ადაპტაციური შესაძლებლობების შესწავლით, კვლევა ხელს შეუწყობს მეფუტკრეობის მდგრადი პრაქტიკის დანერგვას, გარემოსდაცვითი პოლიტიკის შემუშავებას, რომელიც ფუტკრის ჯანმრთელობის, ბიომრავალფეროვნების და ეკოლოგიურ ბალანსის საფუძველია.

მოცემული კვლევის შედეგად გამოვლინდა შიდა და საერთაშორისო ბაზრებზე არსებული ბარიერები და შესაძლებლობები. დასკვნები საფუძველად

დაელება ბრენდინგის, მარკეტინგისა და ხარისხის გაუმჯობესების სტრატეგიებს, პოტენციურად გაზრდის საექსპორტო შესაძლებლობებს და ქართული მეფუტკრეობის პროდუქტების გლობალურ ბაზარზე პოზიციონირებას.

ამ კვლევაში ტექნოლოგიების დანერგვისა და მეფუტკრეთა შესაბამისი საჭირო უნარების შესწავლა საფუძველს მოგვცემს დაიხვეწოს მეფუტკრეობის პროფესიული სასწავლო პროგრამები. პრაქტიკოსმა მეფუტკრეებმა მიიღონ აქტუალური ინფორმაცია დარგში არსებულ თანამედროვე ტექნოლოგიებთან და ინოვაციებთან დაკავშირებით, რომლებიც აუმჯობესებენ დარგის პროდუქტიულობას, ხარისხს და კონკურენტუნარიანობას.

კვლევის ერთერთი უმნიშვნელოვანესი შედეგია საქართველოში მეფუტკრეობის განვითარების სტრატეგიის შემუშავებისათვის მრავალმხრივი იდეებისა და რეკომენდაციების შემუშავება. რომლებიც მნიშვნელოვნად ხელს შეუწყობს დარგის საფეხურებრივად განვითარებას, რითაც დაინტერესებულ მხარეებს შესაძლებლობას მისცემს შეიმუშაონ კონკრეტული გეგმა, დარგის ერთობლივი ძალებით წინსვლისთვის.

პრაქტიკული შედეგების გარდა, ეს კვლევა ხელს უწყობს მეფუტკრეობის ეკონომიკის, რეგულირების პოლიტიკის და გარემოს მართვის საკითხების აკადემიურად შესწავლას. კვლევაში მოცემულია ემპირიულ მონაცემები, თეორიული დებულებები, დასახულია საკითხები მომავალი კვლევისთვის.

**კვლევის ფარგლები და შეზღუდვები.** კვლევა შემოიფარგლება საქართველოში მეფუტკრეობის დარგის ეკონომიკური ანალიზით, განსაკუთრებული აქცენტია გაკეთებული მის პოტენციურ განვითარებაზე, როგორც ექსპორტზე ორიენტირებულ ეკონომიკის დარგზე. იგი მოიცავს ეკონომიკური, მარეგულირებელი, გარემოსდაცვითი, სოციალური და საბაზრო ფაქტორების გამოკვლევას, რომლებიც გავლენას ახდენენ მეფუტკრეობაზე. კვლევაში შეფასებულია მეფუტკრეობის პროდუქტების ბაზრის ხელმისაწვდომობა როგორც შიდა, ისე საერთაშორისო დონეზე. მიუხედავად იმისა, რომ კვლევა მოიცავს ვრცელ ჩამონათვალს საკითხებისა, მასში ღრმადაა გაანალიზებული დარგის აქტუალური გამოწვევები და შესაძლებლობები, რომლებიც ახასიათებს მეფუტკრეობას საქართველოში.

კვლევა მრავლისმომცველია, თუმცა იგი არ არის შეზღუდვების გარეშე. მთავარი შეზღუდვაა მონაცემთა დაბალი ხელმისაწვდომობა. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოში მეფუტკრეობის დარგი ხასიათდება წვრილი მეფუტკრეების მნიშვნელოვანი რაოდენობით, არ მოიპოვება ყოვლისმომცველი და თანმიმდევრული საჭირო ეკონომიკური მონაცემები: მაგალითად, ცალკე სტატისტიკური მონაცემები წარმოებული ფუტკრის სადედე რძის, დიდნგელის, ჭეოს (ყვავილის მტვერი) მოცულობების შესახებ. აგრეთვე ძალიან მწირია საქართველოში აქტუალური სამეცნიერო კვლევები მეფუტკრეობის ეკონომიკის შესახებ. რის გამოც, კვლევა ძირითადად ეფუძნება ხელმისაწვდომ ეროვნულ და საერთაშორისო სტატისტიკას და სხვადასხვა ქვეყნების ანალოგიურ კვლევებს.

გარდა ამისა, კვლევა შემოიფარგლება მისი ძირითადი აქცენტით საქართველოს მეფუტკრეობის დარგზე. მიუხედავად იმისა, რომ მრავალი მისი შედეგი შეიძლება განზოგადდეს ან მოერგოს სხვა ქვეყნებსაც, დასკვნები განსაკუთრებით მორგებულია ქართულ კონტექსტზე. რაც განპირობებულია ძირითადად ქართული მთის რუხი ფუტკრის სპეციფიკით, ქვეყნის უნიკალური კლიმატით, ეკოლოგიური და ეკონომიკური თავისებურებებით.

კვლევის კიდევ ერთი შეზღუდვა არის მეფუტკრეობის დარგის დინამიური ბუნება. სწრაფად ცვალებადი ტექნოლოგიური, გარემოსდაცვითი და საბაზრო პირობების გათვალისწინებით, ზოგიერთი შედეგი შეიძლება შეიცვალოს დროთა განმავლობაში. კვლევა იძლევა სურათს, რომელიც ეფუძნება მიმდინარე და ისტორიულ მონაცემებს, იძლევა დასკვნებს და რეკომენდაციებს, რომლებიც აქტუალურია თანამედროვე ეტაპზე, დროთა განმავლობაში კი შეიძლება მოითხოვოს ადაპტაცია, რათა იყოს სასარგებლო გრძელვადიან პერსპექტივაშიც.

მიუხედავად იმისა, რომ კვლევა იძლევა რეკომენდაციებს საქართველოში მეფუტკრეობის, როგორც საექსპორტო დარგის, განვითარების შესახებ, ამ რეკომენდაციების განხორციელება დამოკიდებულია ბევრ ფაქტორზე, მათ შორის პოლიტიკის ცვლილებებზე, დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობასა და ეკონომიკურ დინამიკაზე, რომლებიც სცილდება ამ კვლევის კონტროლს და ფარგლებს.

კვლევა შეიცავს საფუძვლიან, მრავლისმომცველ, სასარგებლო ინფორმაციას და მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს საქართველოში მეფუტკრეობის დარგის ეკონომიკურ გააზრებასა და პოტენციურ განვითარებაში, თუმცა კვლევის დასკვნები და რეკომენდაციები უნდა იქნას ინტერპრეტირებული კონტექსტუალური, დროითი და მონაცემების შეზღუდვების გათვალისწინებით.

**ნაშრომის წყაროთმცოდნეობითი ბაზა.** კვლევის სამეცნიერო-ინფორმაციული ძირითადი წყაროებია მაღალრეიტინგულ საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალებში გამოქვეყნებული ინგლისურ და რუსულენოვანი სტატიები, სადოქტორო და სამაგისტრო ნაშრომები, აგრეთვე დისერტაციის თემის გარშემო არსებული მონოგრაფიები, საქართველოს სტატისტიკის სამსახურისა და გაეროს ოფიციალური ორგანოების სტატისტიკური მონაცემები, საერთაშორისო ორგანიზაციების და არასამთავრობო ორგანიზაციების გამოკვლევები, ნორმატიული დოკუმენტები და დარგთან დაკავშირებული ადგილობრივი და უცხოური ინტერნეტ-რესურსები.

**ნაშრომის აპრობაცია.** სადისერტაციო ნაშრომის წინასწარი განხილვა შედგა სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტის სხდომაზე (ოქმი N2 , 04 მარტი 2024 წელი), სადაც იგი მოწონებული და რეკომენდირებული იქნა დაცვისთვის.

კვლევის შედეგები, რომლებიც სიახლეს წარმოადგენენ, დაბეჭდილია სტატიებში:

1. **თაქთაქიძე ვ.,** „მეფუტკრეობაში თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის ეკონომიკური ეფექტები“ საერთაშორისო, რეცენზირებადი და რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალი „გლობალიზაცია და ბიზნესი“, N17, ISSN 2449-2396, თბილისი, (2024). <https://doi.org/10.35945/gb.2024.17.011>

2. **ზარანდია ც. & თაქთაქიძე ვ.,** „მეფუტკრეობის პროდუქტების ექსპორტი: ბაზრის დეტალური ანალიზის და ბრენდის პოზიციონირების მნიშვნელობა“ საერთაშორისო, რეცენზირებადი და რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალი „გლობალიზაცია და ბიზნესი“, N17, ISSN 2449-2396, თბილისი, (2024). <https://doi.org/10.35945/gb.2024.17.010>

კვლევის შედეგები, რომლებიც სიახლეს წარმოადგენენ, აპრობირებულია მოხსენებებში შემდეგ კონფერენციებზე:

1. **თაქთაქიძე ვ.**, - მომხსენებელი - საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ადამიანური კაპიტალი, ინსტიტუტები, ეკონომიკური ზრდა“ - მეფუტკრეობის პროდუქტების ექსპორტი: ბაზრის დეტალური ანალიზის და ბრენდის პოზიციონირების მნიშვნელობა. შრომების კრებული. ქუთაისის უნივერსიტეტი. გვ. 178 – 184. (2023)

2 **თაქთაქიძე ვ.**, - მომხსენებელი - საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ადამიანური კაპიტალი, ინსტიტუტები, ეკონომიკური ზრდა“ - მეფუტკრეობაში თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის ეკონომიკური ეფექტები. შრომების კრებული. ქუთაისის უნივერსიტეტი. გვ. 185 - 191. (2023)

3. **თაქთაქიძე ვ.**, - მომხსენებელი - სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა და დოქტორანთა სამეცნიერო კონფერენცია. „ესპანეთსა და გერმანიაში მეფუტკრეობის სახელმწიფო ეკონომიკური რეგულაციების ანალიზი“. ახალციხე, (2023)

4. **თაქთაქიძე ვ.**, - მომხსენებელი - სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა და დოქტორანთა სამეცნიერო კონფერენცია. „პროტექციონისტული ეკონომიკური პოლიტიკის შედარებითი ანალიზი,“. ახალციხე, (2019)

5. **Zarandia Ts., & Taktakidze V.**, “THE PROTECTIONIST ECONOMIC POLITICS OF USA AND WESTERN EUROPEAN COUNTRIES: HISTORICAL BACKGROUND”, International Black Sea Journal Social Sciences Symposium (IBSESS), BAKU – AZERBAIJAN, (2019)

**სადისერტაციო ნაშრომის სტრუქტურა და მოცულობა.** სადისერტაციო ნაშრომი წარმოდგენილია 219 გვერდზე. ნაშრომი შედგება შესავალის, 3 თავის, 9 ქვეთავის, დასკვნის, რეკომენდაციების, გამოყენებული ლიტერატურის ნუსხისა და დანართებისაგან. სადისერტაციო ნაშრომში წარმოდგენილია - 2 გრაფიკი, 7 ცხრილი და 10 სქემა.

ნაშრომს თან ერთვის გამოყენებული 225 დასახელების ლიტერატურის ნუსხა.

## თავი I. მეფუტკრეობის განვითარების თეორიულ- მეთოდოლოგიური საფუძვლები

ნაშრომის პირველ თავში გადმოცემულია ის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები, რომლებიც აყალიბებენ მეფუტკრეობის სოციალურ-ეკონომიკურ გარემოს საქართველოში და უზრუნველყოფენ მეფუტკრეობის როლისა და მნიშვნელობის ყოვლისმომცველ კვლევას ეროვნულ ეკონომიკაში; ამ სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკის ეკონომიკურ ეფექტიანობასა და მის მარეგულირებელ ნორმატიულ და ინსტიტუციურ ჩარჩოს.

ქვეთავი 1.1 მეფუტკრეობის როლი და მნიშვნელობა ქვეყნის ეკონომიკაში ასახავს ისტორიულ კონტექსტს, რომელშიც მოცემულია მეფუტკრეობის დარგის განვითარების ევოლუცია, აღწერილია მისი მნიშვნელობა და გავლენა ქვეყნის ეკონომიკასა და მდგრად განვითარებაზე. მოცემულია ქართული მთის რუხი ფუტკრის უნიკალურობის დეტალური ანალიზი და მეფუტკრეობის საქართველოს სოფლის მეურნეობის სხვა მნიშვნელოვან სექტორებთან შედარებითი ანალიზი.

ქვეთავი 1.2 მეფუტკრეობის ეკონომიკური ეფექტიანობა და მისი განმსაზღვრელი ფაქტორები ეხება მეფუტკრეობის ეკონომიკურ დეტერმინანტებს. წარმოდგენილია ხარჯ-სარგებლიანობის სიღრმისეული ანალიზი და განხილულია სექტორთაშორისი კავშირები და მულტიპლიკატორული ეფექტები, რომლებიც ახასიათებს სოფლის მეურნეობის ამ დარგს. ეს ქვეთავი ასევე ეხება ინსტიტუციურ მექანიზმებს, სასწავლო პროგრამებსა და ფინანსურ ინსტრუმენტებს, რომლებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ მეფუტკრეობის ეკონომიკური სიცოცხლისუნარიანობის გაუმჯობესებაში.

ქვეთავი 1.3 მეფუტკრეობის მარეგულირებელი და ინსტიტუციური ჩარჩო ეძღვნება საქართველოში მეფუტკრეობის მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზისა და ინსტიტუციური ჩარჩოს ყოვლისმომცველ ანალიზს. განხილულია დარგის რეგულირების ისტორია, თანამედროვე საკანონმდებლო ბაზის ადეკვატურობა და რეგიონული და ეროვნული ინსტიტუტების როლი. ჩატარებულია დაინტერესებული

მხარეების ანალიზი, რათა შეფასდეს არასამთავრობო ორგანიზაციების, კერძო სექტორისა და სამთავრო უწყებების წვლილი მარეგულირებელი გარემოს ჩამოყალიბებაში. ქვეთავში ხაზგასმულია არსებული გამოწვევები და ხარვეზები, ასევე წარმატებული ინსტიტუციური ინტერვენციების მაგალითები.

ამდენად, მოცემული საკითხების კვლევა ქმნის მყარ საფუძველს იმ ფაქტორების გასაგებად, რომელიც გავლენას ახდენს საქართველოში მეფუტკრეობის განვითარებაზე. ამ თავიდან გამოტანილი დასკვნები საჭიროა ქვეყანაში არსებული მდგომარეობის, ეკონომიკური პრობლემებისა და მეფუტკრეობის, როგორც საექსპორტო დარგის, განვითარების პერსპექტივების ანალიზისათვის.

## **1.1 მეფუტკრეობის როლი და მნიშვნელობა ქვეყანის ეკონომიკაში**

„მსოფლიოში უძველესი ცნობები მეფუტკრეობის შესახებ აღმოჩენილია ესპანეთში, ვალენსიის მთებში, დაბა ბიკორბის გამოქვაბულის კედელზე, სადაც გამოსახულია ფუტკრებზე ნადირობა. მკვლევარები ამ ნახატს ათარიღებენ 15 ათასი წლით ადრე ჩვენს წელთაღრიცხვამდე. ასევე უძველეს ცნობად უნდა ჩაითვალოს ეგვიპტეში აღმოჩენილი საფლავის ქვაზე ამოკითხული წარწერები, რომლებიც მეტყველებს 6 ათასი წლის წინ მისი განვითარების მაღალ დონეზე“ (კუხიანიძე et al. 1972, 5; ჭაღალიძე 2006, 3).

„მეფუტკრეობის განვითარებას შემდგომში ხელი შეუწყო ჩარჩოიანი სკის (1814 წ.), ხელოვნური ფიჭის (1857 წ.) და ციბრუტის გამოგონებამ (1865 წ.). საქართველოში მეფუტკრეობა, როგორც ამას ბიზანტიელი სარდალი და ისტორიკოსი ქსენოფონტე აღნიშნავს, ფართოდ გავრცელებულია V საუკუნეში. საქართველოს მეფუტკრეობის განვითარების შესახებ ისტორიული სტატისტიკური ცნობები არ მოგვეპოვება, მაგრამ მეფუტკრეობის განვითარება დადასტურებულია. ისტორიული დოკუმენტებით, სადაც აღნიშნულია, რომ საქართველოდან სხვა პროდუქტებთან ერთად ექსპორტის სახით უხვად გაჰქონდათ თაფლი და სანთელი (ცვილი). ძველად, ჩვენში ფუტკარი საღვთო მწერად იყო მიჩნეული და მას წელიწადში ერთი დღე ეძღვნებოდა. XVIII

საუკუნის ისტორიკოს ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით მის დროს ფუტკარი გავრცელებული ყოფილა საქართველოს ყველა კუთხეში“ (კუხიანიძე et al. 1972, 5).

„სტატისტიკური ცნობები ფუტკრის ოჯახების შესახებ მოგვეპოვება მხოლოდ 1898 წლიდან. ახლო წარსულში მეფუტკრეობის განვითარებას ხელი შეუწყო სოფ. წინამძღვრიანთკარში (მცხეთის რაიონი) ილია წინამძღვრიშვილის მიერ დაარსებულმა მეფუტკრეობის სკოლამ. ილია ჭავჭავაძის სახელობის საჩვენებელმა საფუტკრემ (საგურამოში) და ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო მეზღობამეზღობის სკოლამ (ფერმამ)“ (კუხიანიძე et al. 1972, 6).

„ქართული მთის რუხი ფუტკრის შესწავლა პირველად დაიწყო რუსმა ბუნების მეტყველმა პ. პალასმა 1773 წელს, ხოლო ასი წლის შემდეგ - 1877 წელს ეს საქმე განაგრძო რუსეთის რაციონალური საფუტკრის დამაარსებელმა ა. ბ უ ტ ლ ე რ ო ვ მ ა. მათ პირველებმა აღნიშნეს ქართული ფუტკრის დადებითი თვისება — თვინიერება, რასაც ესოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს ფუტკრის ოჯახებთან მუშაობის დროს. შემდეგ 1889 წელს ბუნებისმეტყველმა ნ. შავროვმა თბილისში, ყოფილ მუშტაიდის მეაბრეშუმეობის სადგურთან ჩამოაყალიბა საჩვენებელი, შემდეგ კი საცდელი საფუტკრე, რომელიც ბოლოს კავკასიის რაციონალური საფუტკრის ცენტრი გახდა. 1893 წელს ნ. შავროვმა პირველმა აღნიშნა ქართული მთის რუხი ფუტკრის ნაირსახეობა. 1896 წელს ცნობილმა ამერიკელმა მკვლევარმა ბენტონმა, საქართველოში ყოფნის დროს გაეცნო რა გრძელხორთუმის მთის ქართულ რუხ ფუტკარს, ამ ჯიშის რამდენიმე დედა ფუტკარი წაიყვანა და ამით საფუძველი ჩაუყარა მთის ქართული რუხი ფუტკრის ექსპორტს მსოფლიოში. 1908 წელს ცნობილმა აგრონომმა ი. კლინგენმა რუსეთში წითელი სამყურას დამტვერიანების დროს პირველად აღნიშნა ქართული ფუტკრის ხორთუმის სიგრძე და მისი უპირატესობა“ (კუხიანიძე et al. 1972, 6).

„1916 წელს ბუნებისმეტყველმა და ენტომოლოგმა, თბილისისა და ქუთაისის ოლქებში ევროპული და ამერიკული სიდამპლეების აღმომჩენმა კ. გორბაჩევმა განასხვავა საქართველოს ბარის ყვითელზოლებიანი ფუტკარი მსოფლიო მნიშვნელობის მთის ქართული რუხი ფუტკრისაგან. 1921-1926 წლებში აშშ-ში ჩატარდა ცდები ქართულ რუხ და იტალიურ ფუტკრებს შორის მათი

პროდუქტიულობის დადგენის მხრივ, რაც ქართული რუხი ფუტკრის გამარჯვებით დამთავრდა“ (კუხიანიძე et al. 1972, 7).

„1924-30 წლებში ვ. ალპატოვმა პირველად აღნიშნა, რომ ქართული ფუტკრის ხორთუმის სიგრძე მაღალმთიან რაიონებში. სიმაღლის შესაბამისად მატულობს, და პირიქით. 1928 წელს ს. კორიკოვმა შეისწავლა ქართული ფუტკრის ხორთუმის სიგრძე. 1949—1951 წლებში მეფუტკრეობის ინსტიტუტმა რუსეთში ჩაატარა ცდები. სადაც 80 საფუტკრის 1.274 ძირი ფუტკრის ოჯახი მონაწილეობდა. ქართული ფუტკრის ოჯახებს ოცით მეტი დადებითი თვისებები და 30-35%-ით მეტი პროდუქტიულობა აღმოაჩნდათ (ჟურნ. „Пчеловодство“, 1956 წ., No 9. გვ. 32—33). 1950 წელს მეფუტკრე იაკუბოვსკის ცნობით ქართულმა რუხმა ფუტკარმა 250%-ით მეტი თაფლი შეაგროვა ადგილობრივ ფუტკართან შედარებით. 1961 წელს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ქ. ერფურტში მებაღეობის საერთაშორისო გამოფენაზე წარმოდგენილი იყო მეფუტკრეობის პროდუქტები. გამოფენაზე ჩხოროწყუს ფუტკრის საჯიშე მეურნეობა დააჯილდოვეს ოქროს მედლით. ჩხოროწყუდან ერფურტში ჩაყვანილმა ორმა ფუტკრის ოჯახმა არახელსაყრელ პირობებში გამოფენის პერიოდში შეაგროვა 97,3 კგ თაფლი, ადგილობრივ ფუტკართან შედარებით გაცილებით უფრო მეტი“ (კუხიანიძე et al. 1972, 7).

„არქანჯელო ლამბერტის ცნობით (ისტორიული მეგზურის ცნობები), საუკეთესო თაფლი ყოფილა კოლხეთში და არ წააგავდა ჩვეულებრივს. ... ასევე სტრაბონი აღნიშნავს რომ კოლხეთის სოფლებში ბერძნების ჯარისკაცებმა დიდძალი სურსათი იპოვეს და აუარებელი ფუტკრის სკები ნახეს“ (გვარამაძე 2011, 21)

საქართველოში მეფუტკრეობის ისტორია და ევოლუცია მჭიდროდ არის გადაჯაჭვული ქვეყნის კულტურულ, გარემოსდაცვით და ეკონომიკურ გარემოსთან. მეფუტკრეობა ამ რეგიონში განვითარდა ხელსაყრელი კლიმატური პირობების და ადგილობრივი ქართული მთის რუხი ფუტკრის არსებობის გამო, რომელიც ცნობილია თავისი უნიკალური ადაპტაციური თვისებებითა და მაღალი პროდუქტიულობით (Kvavadze 2006, 595–96).

ძველად ქართული მეფუტკრეობა ხასიათდებოდა ბუნებრივი რესურსების გამოყენებაზე დაფუძნებული ტრადიციული პრაქტიკით. გაქვავებული თაფლის

გამოყენება პალეოეკოლოგიური რეკონსტრუქციისათვის საშუალებას იძლევა უკეთ გავეცნოთ მეფუტკრეობის უძველეს პრაქტიკას საქართველოში. მრავალფეროვანი ფლორით მდიდარი ლანდშაფტი ფუტკრებს უზრუნველყოფდა მდიდარი საკვებით, ემნიდა მეფუტკრეობისთვის ხელსაყრელ ბუნებრივ გარემოს (რობაქიძე 1955, 5–8; Kvavadze 2006, 595–96).

„1923 წელს ტუტანხამონის პირამიდის აკლდამაში აღმოაჩინეს თაფლის სავსე ჭურჭელი, რომელიც დღემდე ითვლებოდა ყველაზე ძველ თაფლად ქრ. შ. 3300 წ., ეს ვერსია შეცვლა ქართველ მეცნიერთა ჯგუფმა, რომლებმაც საქართველოში, ბორჯომის მუნიციპალიტეტში არსებული კოდიანის მთის ძირში 2003 წელს გათხრების დროს აღმოაჩინეს კერამიკულ ჭურჭელში თაფლი, რომელიც რამდენიმე წლის მეცნიერული შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ საქართველოში აღმოჩენილი ეს თაფლი ტუტანხამონის თაფლზე 12 საუკუნით უფრო ძველია (2003 წელს არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩენილი თაფლი სამცხე-ჯავახეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის არქეოლოგიურ ფონდში ინახება)“ (სტეფანიშვილი 2015, 5).

მეფუტკრეობის ევოლუცია საქართველოში განპირობებული იყო რამდენიმე ფაქტორით, მათ შორის ტექნოლოგიური მიღწევებით, სახელმწიფო პოლიტიკითა და გლობალური ბაზრის მოთხოვნებით. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ დსთ-ს ქვეყნებში თაფლისა და მეფუტკრეობის სხვა პროდუქტების ექსპორტი დაიწყო. ამ ექსპორტის სტატისტიკური ანალიზი გვაჩვენებს ტენდენციებს, რომლებიც მნიშვნელოვანია მეფუტკრეობის ეკონომიკაზე გავლენის დასადგენად.

თანამედროვე ეტაპზე საქართველოში მეფუტკრეობა მრავალი პრობლემის წინაშეა. თუმცა მეფუტკრეობის ეკონომიკური და ბაზარზე ორიენტირებული ანალიზი ცხადყოფს კომპლექსურ მზარდ დინამიკას, რომელიც განპირობებულია როგორც შიდა, ასევე გარე ფაქტორებით. სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორები გადამწყვეტ როლს თამაშობენ მეფუტკრეობის, როგორც მომგებიანი საწარმოს სიცოცხლისუნარიანობის განსაზღვრაში.

აქტუალური გახდა API ტურიზმი და ორგანული საფუტკრე მეურნეობების ჩამოყალიბება და განვითარება. აღნიშნული მიმართულებით შედარებითი ანალიზი

შესაძლებელია გაკეთდეს ისეთ ქვეყნებთან, როგორცაა რუმინეთი და სერბეთი (Jeločnik et al. 2015, 268; Topal et al. 2021, 1–2).

გარდა ამისა, მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა საქართველოში მეფუტკრეობის მარეგულირებელმა ნორმატიულმა და ინსტიტუციურმა ჩარჩომ. ბოლო ათწლეულების განმავლობაში ჩამოყალიბდა გარკვეული სახელმწიფო პოლიტიკა, დაიხვეწა რეგულაციები, რათა თანდათანობით დაუახლოვდეს ადგილობრივი ეროვნული საკანონმდებლო ჩარჩო და სტანდარტები მსოფლიო მოთხოვნებს.

გლობალიზაციის პირობებში ქართული მეფუტკრეობის პროდუქტების კონკურენტუნარიანობა საერთაშორისო ბაზარზე უმთავრესად დამოკიდებულია მის ხარისხზე, ცნობადობასა და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაზე. თანამედროვე გლობალურ ვაჭრობაში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ექსპორტის მხარდაჭერის სახელმწიფო მექანიზმები და საერთაშორისო ბიზნესის მართვის სტრატეგიები (გიორგაშვილი, 2020: 60–64).

ტექნოლოგიურმა მიღწევებმა მნიშვნელოვანი გავლენა იქონია საქართველოში მეფუტკრეობის განვითარებაზე. თანამედროვე ტექნოლოგიების თუნდაც ნაწილობრივმა ინტეგრაციამ არა მხოლოდ გაზარდა დარგის ეფექტიანობა, არამედ გახსნა ახალი პერსპექტივები მეფუტკრეობაში ინოვაციებისა და კვლევებისთვის. აკადემიური და კვლევითი ინსტიტუტების როლი ამ ტექნოლოგიური მიღწევების დანერგვაში უაღრესად მნიშვნელოვანია.

მეფუტკრეობის განვითარების თითოეულმა ეპოქამ, თავისი უნიკალური გამოწვევებით და შესაძლებლობებით საკუთარი წვლილი შეიტანა ქართული მეფუტკრეობის ხანგრძლივ ისტორიაში. ქართული მთის რუხ ფუტკარს, საქართველოს ბუნებას, კულტურასა და ეკონომიკას შორის ურთიერთკავშირი მეფუტკრეობის პერსპექტიული მომავალის წინაპირობაა.

მეფუტკრეობის მომავალი ასევე დაკავშირებულია სახელმწიფოს მხრიდან სტრატეგიულ ინტერვენციებთან, რომლებიც მიზნად ისახავს არსებული პრობლემების გადაჭრას და ამავდროულად არსებული შესაძლებლობების გამოყენებას. მრავალმხრივი მიდგომა, რომელიც მოიცავს ტექნოლოგიურ ინოვაციებს,

სახელმწიფო ეკონომიკური პოლიტიკის რეფორმას, ბაზრის გაფართოებას და მდგრადობას, გადამწყვეტია საქართველოში მეფუტკრეობის განვითარებისთვის. ყველა დაინტერესებული მხარე, ინდივიდუალური მეფუტკრიდან დაწყებული, ეროვნული მთავრობისა და საერთაშორისო პარტნიორების ჩათვლით, მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქართული მეფუტკრეობის განვითარებაში.

ამდენად, მეფუტკრეობის ევოლუცია საქართველოში არის უწყვეტი პროცესი, რომელზეც გავლენას ახდენს მრავალი ფაქტორი. ამ ევოლუციის ისტორიული, კულტურული, გარემოსდაცვითი და ეკონომიკური ასპექტები იძლევა მომავალი პერსპექტივების პროგნოზირების საშუალებას. სწორი ქმედებების პირობებში, პერსპექტივაში მეფუტკრეობა არის არა მხოლოდ ტრადიციული სასოფლო-სამეურნეო დარგი, არამედ მდგრადი, ინოვაციური, მაღალტექნოლოგიური და გლობალურად კონკურენტუნარიანი საექსპორტო დარგი, რომელიც მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს საქართველოს ეკონომიკაში.

„საქართველოში ფაუნის 16,000, ხოლო მცენარეების 6,500 სახეობა აღირიცხება, რომელთა 25 პროცენტი დამახასიათებელია მხოლოდ ჩვენი რეგიონისთვის. ქართული მთის რუხი ფუტკარი სწორედ ამ ჩამონათვალშია“ (UNDP 2020).

ქართული მთის რუხ ფუტკარს (*Apis mellifera caucasica*) (ზოგიერთ ლიტერატურაში მოიხსენება როგორც „კავკასიური მეთაფლია ფუტკარი“) აქვს გამორჩეული მახასიათებლები, რაც ხელს უწყობს საქართველოში მეფუტკრეობის დარგის უნიკალურობასა და მდგრად განვითარებას. ქართული მთის რუხი ფუტკარი ხასიათდება გამოკვეთილი ფიზიოლოგიით, ქცევით და მაღალი პროდუქტიული მახასიათებლებით, რაც ხაზს უსვამს მის გლობალურ უნიკალურობას (Gençer & Firatli 1999, 113; Aktürk et al. 2020, 2143; ლეკიშვილი 1958, 3–7)

„ქართული მთის რუხი ფუტკარი დაჯილდოებულია 3 ოქროს მედალით: 1) 1961 წ. ქ. ერფრუტში (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა) მეზადეობის საერთაშორისო გამოფენა, ოქროს მედალი. 2) 1965 წ. აგვისტო, ქ. ბუქარესტი (რუმინეთის დემოკრატიული რესპუბლიკა) XX საიუბილეო კონგრესი, ოქროს მედალი. 3) 1971 წ., ქ. მოსკოვი, აგვისტო, მეფუტკრეობის XXII საერთაშორისო კონგრესი, ოქროს მედალი“ (NATIONAL GEOGRAPHIC 2015).

ქართული მთის რუხი ფუტკრის ერთ-ერთი გამორჩეული თვისებაა მისი გრძელი ხორთუმი, რომელიც საშუალებას აძლევს მას ეფექტიანად ამოილოს ნექტარი ყვავილების ღრმა გვირგვინებიდან. ეს ფიზიოლოგიური თავისებურება აუმჯობესებს ფუტკრის კვების ეფექტიანობას და ყვავილოვანი რესურსების გამოყენებას, რითაც ზრდის თავლის წარმოების მოცულობასა და ხარისხს - მდიდრდება წარმოებული თავლის გემოვნებითი თვისებები (Yeninar, Akyol, & Sahinler 2009, 995–999; Ceylan, Sevin, & Özgenç 2019, 747).

ქცევითი თვისებები ასევე განსაზღვრავს ქართული მთის რუხი ფუტკრის უნიკალურობას. იგი ცნობილია თვინიერებითა და ნაკლებ აგრესიულობით, ამ ფუტკრების მოვლა უფრო ადვილია, რაც ამცირებს ფუტკრის მოვლასთან დაკავშირებულ რისკებს. ქართული მთის რუხი ფუტკრის მშვიდი ქცევა ხელს უწყობს სკების ეფექტიან ინსპექტირებას და მართვას, ხელს უწყობს მეფუტკრეობის მდგრად განვითარებას (Farshineh Adl et al. 2007, 229–30).

ქართული მთის რუხი ფუტკრის გარემო პირობებთან ადვილად ადაპტაციის უნარი მისი უნიკალურობის კიდევ ერთი ნიშანია. მრავალფეროვან კლიმატსა და გარემო პირობებში, ისინი ავლენენ მედეგობას გარე სტრესის მიმართ. რაც ხაზს უსვამს მათ საიმედოობას და სხვადასხვა გეოგრაფიულ რეგიონებში იძლევა ადვილად მომთაბარეობის საშუალებას (Svistunov et al. 2018, 3185).

ქართული მთის რუხი ფუტკრის მიერ წარმოებული თავლი ცნობილია თავისი შესანიშნავი გემოთი და კვებითი ღირებულებით. თავლის რთული არომატული ნოტები და ინტენსივობა ცხადყოფს საქართველოს მდიდარ ყვავილოვან მრავალფეროვნებას.

გარდა ამისა, აღსანიშნავია ქართული მთის რუხი ფუტკრის დინდგელის გამომუშავების უნარი. დინდგელი, სამკურნალო თვისებების მქონე ფისოვანი ნივთიერება, გამოიყენება სხვადასხვა საწარმოო თუ სამკურნალო პროცესებში, ფარმაცევტული საშუალებების დამზადებიდან კოსმეტიკამდე. ფუტკრის ეფექტიანობა დინდგელის წარმოებაში ზრდის მეფუტკრეობის ეკონომიკურ სარგებლიანობას (Kara, Kara, & Sezgin 2012, 1197; Grzegorz & Olszewski 2010, 43).

ქართული მთის რუხი ფუტკრის პოპულაციების თანდაყოლილი გენეტიკური უპირატესობები ხელს უწყობს მის მედეგობას და პროდუქტიულობას. კერძოდ, ხელს უწყობს ფუტკრის ადაპტაციას, დაავადებებისადმი წინააღმდეგობას. ეკონომიკურ კონტექსტში, ქართული მთის რუხი ფუტკრის უნიკალურობა გამოიხატება მის კონკურენტულ უპირატესობებში მეფუტკრეობის გლობალურ ბაზარზე. თავლისა და ფუტკრის სხვა პროდუქტების განსაკუთრებული თვისებები, განაპირობებს მსოფლიო ბაზარზე საკუთარი ნიშის დაკავებას. ამ უნიკალური პროდუქციის ეკონომიკური ღირებულება განპირობებულია მეფუტკრეობის ტრადიციული მეთოდებისა და ინოვაციური მიდგომების სიმბიოზზე (Uçak Koç & Karacaoğlu 2011, 271).

სამეცნიერო აღმოჩენების ტრადიციულ ცოდნასთან ინტეგრირება აუმჯობესებს მეფუტკრეობის მართვის პრაქტიკას, ზრდის თავლის წარმოების ეფექტიანობას და უზრუნველყოფს ხარისხის შენარჩუნებას.

ამდენად, ქართული მთის რუხი ფუტკარი ბუნებისაგან დაჯილდოვებულია უნიკალური თვისებების კრებულთ, რომელიც განსაზღვრავს ქართული მეფუტკრეობის კონკურენტულ უპირატესობას მსოფლიო ბაზარზე, რის შედეგადაც იძლევა დარგის საექსპორტო პოტენციალს. მისი თითოეული მახასიათებელი, განაპირობებს ქართული თავლისა და მეფუტკრეობისა სხვა დანარჩენი პროდუქტების სპეციფიკურობას, უნიკალურობას. ქართული მთის რუხი ფუტკრის უნიკალურობის გაფრთხილება, მისი შემდგომი კვლევა და მიღებული შედეგების გამოყენება ქართული მეფუტკრეობის მომავალი განვითარების განუყოფელი ნაწილია.


მეფუტკრეობის შედარებითი ანალიზი სოფლის მეურნეობის სხვა მნიშვნელოვან სექტორებთან წარმოაჩენს მის ეკონომიკურ, გარემოსდაცვით და სოციალურ მნიშვნელობას. აღნიშნული ანალიზი ეყრდნობა მეფუტკრეობისა და სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო დარგების ემპირიულ და თეორიულ საფუძვლებს.

ეკონომიკურ სფეროში მეფუტკრეობის წვლილი სცილდება თავლისა და მეფუტკრეობის სხვა პროდუქტების პირდაპირ წარმოებას. ფუტკრის მიერ მცენარეთა დამტვერვა დამატებითი სარგებლის მომტანია სოფლის მეურნეობის სხვა დარგებისათვის. ფუტკარი ამაღლებს მოსავლის ხარისხსა და ზრდის მოსავლიანობას (დათუნაშვილი 2015, 258–62).

მეფუტკრეობა არაა ცალკე მდგარი იზოლირებული სასოფლო-სამეურნეო დარგი. ის პირდაპირაა დაკავშირებული ყველა სხვა დანარჩენ დარგთან.


სქემა N1

მეფუტკრეობის ადგილი სოფლის მეურნეობაში



წყარო: (Колупаев 2022, 20)

მეფუტკრეობის დარგი გარდა სხვა სასოფლო-სამეურნეო სექტორებისა ასევე მჭიდრო ურთიერთკავშირშია სამთავრობო უწყებებთან, სასწავლო დაწესებულებებთან, არასამთავრობო სექტორთან, გადამამუშავებელ და მანქანა-დანადგარების მწარმოებელ ბიზნეს სუბიექტებთან.



წყარო: შემუშავებულია ავტორის მიერ (Чепик 2007, 128)-ის საფუძველზე

თუმცა, მეფუტკრეობის ზრდა და მისი ორგანული კავშირი სოფლის მეურნეობის სხვა დარგებთან ქმნის გარკვეულ პრობლემებს. ფუტკრისათვის დამღუპველია სოფლის მეურნეობის პრაქტიკაში ინსექტიციდების ფართოდ გამოყენება. სოფლის მეურნეობის სხვა დარგების გაზრდილი წარმოების დაბალანსება, ფუტკრის პოპულაციის შენარჩუნებასთან ერთად ხაზს უსვამს მდგრადობის, გარემოსდაცვითი ეთიკისა და ეკონომიკური ოპტიმიზაციის რთულ ურთიერთკავშირს.

მეფუტკრეობის შედარება ისეთ სექტორებთან, როგორცაა აგრონომია და მეცხოველეობა, წარმოაჩენს სხვადასხვა ეკონომიკურ მოდელებს, მოთხოვნებს ინვესტიციებზე და ინვესტიციების „ამოღების“ განსხვავებულ დინამიკას. მიუხედავად იმისა, რომ აგრონომია ხასიათდება ციკლური თესვითა და მოსავლის აღებით, მეფუტკრეობა უზრუნველყოფს მრავალწლიან პროდუქტიულობას, ფუტკრები აწარმოებენ თაფლს და სხვა პროდუქტებს სხვადასხვა სეზონზე.

მეფუტკრეობის მასშტაბურობა წარმოადგენს ეკონომიკურ უპირატესობას. შედარებით დაბალი საწყისი საინვესტიციო დაბანდებით სოფლის მეურნეობის სხვა

სექტორებთან შედარებით, მეფუტკრეობა იძლევა მასშტაბურობის საშუალებას. მეფუტკრეობის ბუნება იძლევა ეტაპობრივი გაფართოების შესაძლებლობას, რითაც ზრდის ბაზრის დინამიკასა და ეკონომიკურ ცვლადებთან მიმართებაში დარგის მოქნილობას და ადაპტაციის უნარს.

გარემოსდაცვითი თვალსაზრისით, შედარებითი ანალიზი გვიჩვენებს მეფუტკრეობის უპირატესობას. მეურნეობის სხვა ტრადიციული დარგები ხშირად ასოცირდება მიწის გამოყენება-გამოფიტვასთან, ტყეების გაჩეხვასთან და გარემოს დეგრადაციასთან, მეფუტკრეობა კი არის ეკოლოგიურად სუფთა საქმიანობა. პირიქით, ხელს უწყობს ბიომრავალფეროვნებას, ახდენს გარემოზე დადებით ზეგავლენას (Malkamäki 2015, 5–9).

ფუტკრების მიერ მცენარეთა დამტვერვა ხელს უწყობს სასოფლო-სამეურნეო კულტურების გენეტიკურ დივერსიფიკაციას, ზრდის მათ მდგრადობასა და ადაპტაციის უნარს კლიმატისა და გარემოს ცვლილებებთან.

„უკრაინელმა მეცნიერებმა ცდების შედეგად დაამტკიცეს, რომ ბალის 1 ჰექტარ ფართობზე ორმა ფუტკრის ოჯახმა ვაშლის მოსავალი 3-ჯერ გაზარდა. ალუბლის და ბლის მოსავალი 7-ჯერ, ჟოლოს, ხურტკმელის და მაცვლის მოსავალი კი - 2-ჯერ. ნუშის მოსავალი 1 ჰექტარზე ფუტკრის დამტვერიანების გარეშე მიღებული იქნა 30 კგ, ხოლო დამტვერიანების შედეგად - 2 ტონა“ (ყიფიანი 2002, 4)

„მეცნიერების მიერ დადგენილია, რომ ჯვარედინი დამტვერვის შედეგად უმჯობესდება ნაყოფის ხარისხობრივი მაჩვენებლები, იცვლება მისი შეფერილობა, მატულობს წონაში, ამასთან მიღებული დადებითი თვისებები მცენარეს მემკვიდრეობით გადაეცემა. ასე მაგალითად: ხეხილოვანი კულტურების მოსავლიანობა იზრდება 60-65%-ით, მრავალწლიანი ნათესი ბალახების თესლისა - 50-80%-ით, ბოსტნეულისა 150-165%-ით, მზესუმზირისა - 30-50%-ით და ა.შ.“ (თაქთაქიშვილი & თაქთაქიშვილი 2010, 138)

სოციალურად, მეფუტკრეობა ხელს უწყობს საზოგადოების ფართო ფენების ჩართულობას საქმიანობაში, ცოდნის გავრცელებას და სოციალური ურთიერთობების ჩამოყალიბებას. მეფუტკრეობისთვის დამახასიათებელი სოციალური კაპიტალი

ამდიდრებს სოციალურ ურთიერთკავშირს, ქმნის ერთიანობას, თანამშრომლობას და საერთო მისწრაფებებს (არაბული 2019, 27–29).

ეკონომიკური მაჩვენებლების შეფასებისას, შემოსავლების ნაკადები, მეფუტკრეობის მომგებიანობა და ეკონომიკური მდგრადობა დამოკიდებულია ფაქტორებზე, მათ შორის ბაზარზე წვდომის, პროდუქტის დივერსიფიკაციისა და დამატებული ღირებულების შესახებ. მაშინ, როცა სოფლის მეურნეობის სხვა სექტორებს ემუქრებათ ბაზრის არასტაბილურობა, ფასების რყევები, ფუტკრის პროდუქტები ხშირად იკავებს ნიშურ ბაზრებს, რომლებიც ხასიათდება პრემიუმ ფასებით და სტაბილური მოთხოვნით (M. Barry, Hirt, & PETRIC 2015, 119–22)

ამდენად, მეფუტკრეობისა და სხვა ძირითადი სოფლის მეურნეობის სექტორების შედარებითი ანალიზი ავლენს ეკონომიკური, გარემოსდაცვითი და სოციალური ურთიერთდამოკიდებულების მდიდარ სურათს. მეფუტკრეობა, თავისი მრავალმხრივი ეკონომიკური წვლილით, გარემოსდაცვითი მდგრადობითა და სოციალური კაპიტალით, მეტია ვიდრე უბრალოდ ერთი ცალკეული სექტორი; არამედ უფრო ფართო სასოფლო-სამეურნეო ეკოსისტემის განუყოფელი კომპონენტი. ამრიგად, სოფლის მეურნეობის ეკონომიკის მომავალი მდგომარეობს სხვადასხვა სექტორების სინერგიულად მუშაობაში, უნიკალური ძლიერი მხარეების ოპტიმიზაციაში, გამოწვევების გადალახვასა და ეკონომიკურად ძლიერი, ეკოლოგიურად მდგრადი და სოციალურად ინკლუზიური სასოფლო-სამეურნეო გარემოს შექმნაში.

ეკონომიკისა და ეკოლოგიის კომპლექსური ურთიერთქმედება მეფუტკრეობაში უფრო მეტად აქტუალურია, ისეთ სექტორებთან შედარებით, როგორცაა მეცხოველეობა და მემცენარეობა. თითოეულ სექტორს აქვს გარემოზე უნიკალური ზემოქმედება, ეკონომიკური პერსპექტივები და მდგრადობის პარადიგმები. მიუხედავად იმისა, რომ მეცხოველეობა ხშირად მოიცავს მიწის, წყლისა და საკვების მნიშვნელოვან მოთხოვნებს, მეფუტკრეობა ხასიათდება რესურსებზე დაბალი მოთხოვნით და მაღალი პროდუქტიულობით. მეფუტკრეობის შედარებით დაბალი მავნე ზემოქმედება გარემოზე, რომელიც ხასიათდება სათბურის გაზების

მინიმალური ემისიით და მიწათსარგებლობით, ხაზს უსვამს მის, როგორც მდგრადი სასოფლო-სამეურნეო დარგის პოზიციას.

ტექნოლოგიური ინოვაციების როლი პროდუქტიულობისა და ეფექტიანობის გაუმჯობესებაში მსგავსია სოფლის მეურნეობის ყველა სექტორისთვის. თუმცა, ტექნოლოგიის გამოყენება და გავლენა მნიშვნელოვნად განსხვავდება. მემცენარეობასა და მეცხოველეობის წარმოებაში ტექნოლოგია ხშირად იკავებს ცენტრალურ ადგილს, ზრდის ეფექტიანობას, პროდუქტიულობას და მასშტაბებს. მეფუტკრეობაში, მიუხედავად იმისა, რომ ტექნოლოგია ასევე მნიშვნელოვანია, ბალანსი ტექნოლოგიურ წინსვლასა და მეფუტკრეობის ბუნებრივი, ორგანული მეთოდების შენარჩუნებას შორის განვითარებულ ქვეყნებში თანდათან ორგანული მეურნეობების სასარგებლოდ იხრება.

ბაზრის დინამიკა და გლობალური ვაჭრობის სტრუქტურა ასევე იძლევა შედარებითი ანალიზის მნიშვნელოვან შესაძლებლობებს. მიუხედავად იმისა, რომ მემცენარეობის და მეცხოველეობის პროდუქტები ხშირად განსაზღვრულია საერთაშორისო სავაჭრო ხელშეკრულებების და ფასების ცვალებადობის, ფუტკრის პროდუქტები, განსაკუთრებით თაფლი, უნიკალურ ადგილს იკავებს. გლობალური მოთხოვნა ბუნებრივ, ორგანულ თაფლსა და ფუტკრის პროდუქტებზე იზრდება, რაც გამოწვეულია მომხმარებელთა მზარდი ცნობიერებით ჯანმრთელობისა და ბიო პროდუქტების სარგებლიანობის შესახებ (Buhociu et al. 2021, 644).

მარეგულირებელი ნორმატივები და პოლიტიკის ჩარჩოები, რომლებიც აწესრიგებს სოფლის მეურნეობის სხვადასხვა სექტორს, არსებითად მრავალფეროვანია და განპირობებულია გარემოსდაცვითი, ეკონომიკური და სოციალური იმპერატივებით. მეფუტკრეობის მარეგულირებელი პოლიტიკა ხშირად ფოკუსირებულია ხარისხის უზრუნველყოფაზე, მეფუტკრეობის ეთიკურ პრაქტიკაზე და გარემოს დაცვაზე. ამის საპირისპიროდ, სხვა სექტორებზე, განსაკუთრებით მემცენარეობაზე, დიდ გავლენას ახდენს პოლიტიკა, რომელიც დაკავშირებულია გენმოდიფიცირებასთან და ქიმიურ ნივთიერებების ფართოდ გამოყენებასთან (კაკრიაშვილი 2019, 7–11).

ეკონომიკური მდგრადობისა და ადაპტაციის თვალსაზრისით, მეფუტკრეობა ავლენს მოქნილობის მაღალ დონეს. ფუტკრის მრავალმხრივი ეკონომიკური სარგებლიანობა, რომელიც სცილდება თაფლის წარმოებას და მოიცავს დამტვერვის მომსახურებას და ფუტკრის სხვა პროდუქტებს, მეფუტკრეებს შემოსავლის დივერსიფიცირებულ წყაროს აძლევს. ასეთი დივერსიფიკაცია ამცირებს ეკონომიკურ რისკებს, რომლებიც დაკავშირებულია ბაზრის რყევებთან და გარემოს ცვლილებებთან, რაც ხელს უწყობს ეკონომიკურ მდგრადობას.

განათლება და უნარ-ჩვევების შექმნა, სოფლის მეურნეობის ნებისმიერი დარგის განვითარების განუყოფელი ნაწილია, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მეფუტკრეობაში. მეფუტკრეობა მოითხოვს უწყვეტ სწავლას, ინოვაციების დანერგვასა და ადაპტაციას (Adgaba et al. 2014, 1876).

არსებითად, შედარებითი ანალიზი ხაზს უსვამს მეფუტკრეობას, როგორც დარგს, რომელიც ხასიათდება ეკონომიკური სიცოცხლისუნარიანობით, გარემოს მდგრადობით და სოციალური პასუხისმგებლობით. მიუხედავად არსებული გამოწვევებისა, დიდია სოფლის მეურნეობის სხვა სექტორებთან ინტეგრაციის, სინერგიისა და თანამშრომლობის შესაძლებლობები. ამრიგად, სოფლის მეურნეობის მომავალი მდგომარეობს ცალკეული დარგების არა იზოლირებულ განვითარებაში, არამედ მათ ყოვლისმომცველ ინტეგრაციაში, რომელთაგან თითოეული თავის უნიკალურ ძლიერ მხარეებს გამოიყენებს ერთიანი, ძლიერი სასოფლო-სამეურნეო ლანდშაფტის შექმნაში. მეფუტკრეობის გამორჩეული თავისებურებები, განსაკუთრებით მისი ეკოლოგიური სისუფთავე და ეკონომიკური სიცოცხლისუნარიანობა აყალიბებს მას, როგორც ძირითად შემაკავშირებელ რგოლს ინტეგრირებულ სასოფლო-სამეურნეო სისტემაში. სხვა სექტორებთან სინერგიისას მეფუტკრეობის უნიკალურობის შენარჩუნება და გაძლიერება მნიშვნელოვანია საქართველოსთვის გლობალურად კონკურენტუნარიანი, ეკოლოგიურად მდგრადი და სოციალურად ინკლუზიური სასოფლო-სამეურნეო მომავლის რეალიზებისთვის.

მეფუტკრეობის ეკონომიკური განზომილება არის მრავალი ეკონომიკური ფაქტორის დინამიური ურთიერთქმედება, რომლებიც ერთიანდება მომგებიანობის, მდგრადობისა და ეკონომიკური ზრდის ცნებების გარშემო. . მიუხედავად იმისა, რომ

ბევრი ცვლადი გავლენას ახდენს მეფუტკრეობის ფინანსურ მხარეზე, უმთავრესი მაინც მეფუტკრეობიდან მიღებული ერთობლივი შემოსავალია .

საბერძნეთში მეფუტკრეობის ანალიზი წარმოაჩენს მის მაღალ ეფექტიანობას და მნიშვნელოვან ეკონომიკურ შემოსავალს, რომელიც დამოკიდებულია ისეთ ცვლადებზე, როგორცაა წარმოების მასშტაბი, ტექნოლოგიების დონე და ბაზრის დინამიკა (Makri et al. 2015, 479–480). ანალოგიურად, იაპონიისა და სამხრეთ კორეის გამოცდილება გვაჩვენებს რომ თაფლის წარმოების ეკონომიკურ სიცოცხლისუნარიანობა და მისი ზრდის ტენდენცია დამოკიდებულია ინოვაციების, დივერსიფიკაციისა და ხარისხის უზრუნველყოფის ფაქტორებზე (Kohsaka, Park, & Uchiyama 2017, 72–73).

მეფუტკრეობას ნეპალში აქვს დამატებითი ეკონომიკური შემოსავლები, რომლებიც არაა დამოკიდებული მხოლოდ უშუალოდ თაფლის წარმოებასთან. ეკონომიკური შემოსავლები გაზრდილია დამატებით სხვა სახის მომსახურებების გაწევიდან, მეფუტკრეობის პროდუქციის დივერსიფიკაციიდან და ბაზრის გაფართოებიდან (Devkota et al. 2022, 713).

მეფუტკრეობიდან მიღებული ეკონომიკური შემოსავალი არ არის წრფივი და დამოკიდებულია ინვესტიციების დინამიკაზე, საოპერაციო ხარჯებზე, ბაზარზე წვდომასა და ფასების რყევებზე. ინოვაციებისა და ტექნოლოგიური პროგრესის როლი საკვანძოა პროდუქტიულობის ოპტიმიზაციის, საოპერაციო ხარჯების შემცირებისა და მეფუტკრეობის პროდუქტების ხარისხის გასაუმჯობესებლად, რითაც იზრდება ეკონომიკური შემოსავლები (Aksoy, Sari, & Terin 2017, 439).

გარდა ამისა, ეკონომიკურ შემოსავლებს ზრდის ფუტკრების მიერ გაწეული დამხმარე მომსახურებები, განსაკუთრებით მცენარეთა დამტვერვა. ფუტკრის მიერ მცენარეთა დამტვერვას აქვს სოფლის მეურნეობის დარგთაშორისი ეკონომიკური ეფექტი. იზრდება სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა, ხარისხი და ბიომრავალფეროვნება, რაც შედეგად იწვევს როგორც მეფუტკრეობის, ისე სოფლის მეურნეობის სხვა სექტორების რენტაბელობის ზრდას (Hatjina et al. 2014, 337).

მსგავსი სიტუაციაა აშშ-ში, მაგალითად ფლორიდის შტატში მეფუტკრეების მხრიდან განსაკუთრებული აქცენტი კეთდება მცენარეთა დამტვერვის მომსახურებაზე. (Hodges et al. 2001, 7).

ეკონომიკური გარემო ასევე დამოკიდებულია სახელმწიფო ეკონომიკურ პოლიტიკაზე, მარეგულირებელ ნორმატივებზე და სახელმწიფოს მხარდაჭერის სისტემებზე. მაგალითად ესვატინის (Eswatini) მცირე მასშტაბის მეფუტკრეობა წარმოდგენილია როგორც სიცოცხლისუნარიანი დარგი, თუმცა მასზე გავლენას ახდენს ისეთი ფაქტორები, როგორცაა ბაზრებზე წვდომა, საოპერაციო პრობლემები და შესაძლებლობების განვითარების აუცილებლობა (Singh, Kibirige, & Malaza 2023, 1–2). აქედან გამომდინარე, ამ საწარმოს ეკონომიკური შემოსავალი დიდწილად დამოკიდებულია სახელმწიფოს მხრიდან მხარდაჭერაზე, რაც ხელს უწყობს დარგის ზრდას, ინოვაციების დანერგვასა და შესაბამის ბაზარზე წვდომას.

მოთხოვნა-მიწოდების კანონზე დაფუძნებული ბაზრის დინამიკა, ფასწარმოქმნის მექანიზმები და მომხმარებელთა ქცევა პირდაპირ გავლენას ახდენენ მეფუტკრეობის ეკონომიკური შემოსავლის ფორმირებაზე. გლობალურმა ტენდენციამ, გადავიდნენ ბუნებრივ, ორგანულ პროდუქტებზე მკვეთრად გაზარდა მოთხოვნა ნატურალურ თაფლზე; შესაბამისად განვითარებული ქვეყნები მეფუტკრეებს სთავაზობენ პრემიუმ ფასებს და სტაბილურ ბაზრებს.

თუმცა, მეფუტკრეობის პროდუქტების ბაზარზე აღიარებასთან დაკავშირებით პრობლემად რჩება მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა, მეფუტკრეთა მხრიდან ეთიკურ პრაქტიკასთან და გარემოს დაცვასთან დაკავშირებული საკითხები. აქედან გამომდინარე, მეფუტკრეობის შემოსავლები დამოკიდებულია როგორც რაოდენობრივ, ასევე ხარისხობრივ ცვლადებზე, რომელთაგან თითოეულს აქვს თავისი გავლენა მეფუტკრეობის ეკონომიკურ შემოსავლებზე.

საფუტკრეების მასშტაბურობა, ანუ დროის მოკლე პერიოდში საფუტკრის ზომის ადაპტირების უნარი იძლევა მისი თანდათანობით გაფართოების საშუალებას საჭიროების შემთხვევაში. აღნიშნული, მეფუტკრეებს ეხმარება მოახდინონ ბაზრის დინამიკის, ტექნოლოგიურ მიღწევების დონის და ფინანსურ შესაძლებლობების შესაბამისად საქმიანობის მასშტაბის დაგეგმვა და მართვა.

ამდენად, მეფუტკრეობიდან მიღებული ეკონომიკური შემოსავალი განისაზღვრება ურთიერთდამოკიდებული ცვლადების რთული ეკოსისტემით. მეფუტკრეობის ეკონომიკური ზრდა დამოკიდებულია ინოვაციების, სახელმწიფო მხარდაჭერის პოლიტიკის, ბაზრის დინამიკის და გარემოს დაცვის სინერგიულ კომბინაციაზე. მაშინ როდესაც გლობალური ტენდენცია მიმართულია ბუნებრივი პროდუქტების მოხმარებისა და ბიომრავალფეროვნების დაცვისაკენ, განსაკუთრებულად აღსანიშნავია რომ მეფუტკრეობას წვლილი შეაქვს ქვეყნის არა მხოლოდ ეკონომიკურ განვითარებაში, არამედ ეკოლოგიური გარემოს გაუმჯობესებასა და ზოგადად საზოგადოების კეთილდღეობის ამაღლებაში.

ექსპორტის შესწავლისას მნიშვნელოვანია მეფუტკრეობის სექტორის ეკონომიკური, სოციალური და გარემოსდაცვითი ასპექტები. მეფუტკრეობის დარგში ექსპორტის როლი სცილდება ტრადიციული ეკონომიკური პარადიგმებს, იგი აგრეთვე კავშირშია ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებთან, სახელმწიფო პოლიტიკის მიმართულებებთან და გლობალურ ტენდენციებთან.

საქართველოს საექსპორტო პოტენციალის ანალიზი წარმოაჩენს ბაზარზე წვდომის, პროდუქციის დიფერენციაციისა და კონკურენტული უპირატესობის მოპოვების სირთულეებს.

მაგალითად სერბი მკვლევარების მეფუტკრეობის დარგის შესაძლებლობების განვითარების ანალიზი ხაზს უსვამს საექსპორტო პოტენციალისა და კონკურენტუნარიანობის კომპლექსურ დინამიკას საერთაშორისო ბაზარზე. ანალიზში ძირითადი ყურადღება გამახვილებულია ხარისხის უზრუნველყოფის, პროდუქციის დივერსიფიკაციისა და ბაზრის გაფართოების სტრატეგიების ელემენტებზე, რაც ქმნის ეკონომიკური სიცოცხლისუნარიანობისა და გლობალური კონკურენტუნარიანობის შესაძლებლობას (Mijajlović & Arsic 2014, 255).

მეფუტკრეობის ეკონომიკური განვითარების შესაძლებლობების კონტექსტში საკვანძოა ექსპორტის როლი. გლობალური ბაზარი იძლევა შესაძლებლობებს უფრო დიდი მასშტაბის, მრავალფეროვნებისა და ეკონომიკური განვითარებისათვის. თუმცა, ეს პოტენციალი დამოკიდებულია სტრატეგიულ განვითარებაზე, ინოვაციების

დანერგვასა და ხარისხის უზრუნველყოფაზე, რათა მეფუტკრეებმა შეძლოს დააკმაყოფილონ საერთაშორისო ბაზარზე მოთხოვნილი მაღალი სტანდარტები.

სტატისტიკური მონაცემები მიუთითებს თაფლის ექსპორტის მზარდ ტენდენციაზე, რასაც განაპირობებს ქართული თაფლის მაღალი ხარისხი და უნიკალურობა. საერთაშორისო ბაზარი ხასიათდება ნატურალურ პროდუქტებზე მზარდი მოთხოვნით, რაც საქართველოს აძლევს კონკურენტულ უპირატესობას თუკი ძირითადი ყურადღება გადატანილი იქნება თაფლის მაღალი ხარისხის უზრუნველყოფაზე.

საექსპორტო პოტენციალის განვითარებისათვის ევროკავშირი დიდ ყურადღებას ამახვილებს მეფუტკრეობის დარგში სახელმწიფო პოლიტიკაზე, რეგულაციებსა და სახელმწიფოს მხრიდან მხარდამჭერ პროგრამებზე (European Commission 2022, 3–4).

ამრიგად, ექსპორტის მონაცემები გვევლინება მეფუტკრეობის დარგის სტრატეგიული, ეკონომიკური და პოლიტიკური დახასიათების ძირითად ელემენტად. ის გვაძლევს არამხოლოდ რაოდენობრივ მაჩვენებლებს, არამედ წარმოაჩენს იმ იდეებს, პერსპექტივებსა და იმპერატივებს, რომლებიც აყალიბებენ მეფუტკრეობის სექტორის განვითარებას გლობალურ აგრარული ეკონომიკაში. ექსპორტის მონაცემები ხაზს უსვამს ინოვაციის, ხარისხის გაუმჯობესების, ბაზრის განვითარების, პოლიტიკის ოპტიმიზაციისა და გლობალური კონკურენტუნარიანობის მნიშვნელობას, რაც საბოლოოდ განაპირობებს მეფუტკრეობის სექტორის პროგრესს.

მეფუტკრეობა ტრადიციულად ჩამოყალიბდა დარგად, რომელიც მჭიდროდაა დაკავშირებული ქვეყნის მდგრადი განვითარების მრავალმხრივ ასპექტებთან. კვლევები და ემპირიული მტკიცებულებები ცხადყოფს ურთიერთკავშირს მეფუტკრეობას, გარემოს დაცვას, ეკონომიკურ მომგებიანობასა და სოციალურ კეთილდღეობას შორის (Devkota 2020, 1–2).

ეთიოპიაში მეფუტკრეობის როლი მნიშვნელოვანია ქვეყნის მდგრად განვითარებაში. ფუტკრის მრავალფეროვნებითა და ხელსაყრელი კლიმატით გამორჩეული ქვეყანა დგას გამოწვევის წინაშე, რათა სწორად გამოიყენოს ეს

ბუნებრივი რესურსები ეკონომიკური შესაძლებლობების გაფართოებისა და გარემოს შესანარჩუნებლად. მეფუტკრეობა არაა მხოლოდ ეკონომიკური საქმიანობა, არამედ ის არის ერთგვარი ინსტრუმენტი ბიომრავალფეროვნების შენარჩუნების, საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებისა და სოციალური ერთობისთვის (Bekuma 2018, 1–2; Gratzner et al. 2021, 10–11).

ანალოგიურად, მალაიზიაში, მეფუტკრეობის განვითარების გზა პირდაპირაა დაკავშირებული ქვეყნის მდგრადი განვითარების მიზნებთან. დარგის ევოლუცია, რომელიც ხასიათდება ახალი ტექნოლოგიების დანერგვით, ინოვაციებითა და დივერსიფიკაციით, პირდაპირ კავშირშია სუფთა გარემოსა და ეკონომიკურ მდგრადობასთან (Wan & Wan 2016, 70–71).

იაპონიასა და სამხრეთ კორეაში მეფუტკრეობის შედარებითი ანალიზი ასევე წარმოაჩენს ამ ორ ქვეყანაში ტექნოლოგიური ინოვაციებზე დაფუძნებული მეფუტკრეობის როლს ამ ორი ქვეყნის განვითარების გზაზე (Kohsaka, Park, & Uchiyama 2017, 72–73). ამავე კვლევაში ხაზგასმულია სახელმწიფოების მხრიდან მარეგულირებელი ჩარჩოების და ბაზრის დინამიკის მნიშვნელოვანი გავლენა მეფუტკრეობაზე.

უკრაინის კონტექსტში, მეფუტკრეობის წვლილი ქვეყნის მდგრად განვითარებაში განიხილება სახელმწიფო უწყებების მხრიდან ინსტიტუციური მხარდაჭერისა და შესაბამისი მარეგულირებელი ჩარჩოს შექმნასთან ერთად. მდგრადი მეფუტკრეობის დარგის შესაქმნელად მნიშვნელოვანია სწორ სახელმწიფო პოლიტიკასთან ერთად, ზოგადად სტრატეგიულ დაგეგმვა და გლობალური საუკეთესო პრაქტიკის ინტეგრაცია მეფუტკრეთა საქმიანობაში (Pyvovar et al. 2021, 33–35).

შესწავლილია აშშ-ში ქალაქ დეტროიტში მეფუტკრეობის როლი. მსგავსი ურბანული გარემოც კი იძლევა პერსპექტივას მეფუტკრეობისათვის, შეიტანოს წვლილი მდგრად განვითარებაში. მეფუტკრეობა არ არის მხოლოდ ეკონომიკური საქმიანობა, არამედ სოციალური აქტივობა, გარემოსდაცვითი განათლების ერთგვარი ინსტრუმენტი და საზოგადოების ჩართულობის კატალიზატორი (Peterson Roest 2019, 1–2; Casanelles-Abella & Moretti 2022, 3).

მნიშვნელოვანია კომპლექსური კავშირები ფუტურის ჯანმრთელობას, გარემო ფაქტორებსა და ადამიანის საქმიანობას შორის. ფუტურის ჯანმრთელობა ხდება მეფუტკრეობის დარგის მდგრადი განვითარების ქვაკუთხედი. ლიისა და სპივაკის ნაშრომში ასევე ხაზგასმულია მეფუტკრეობის კვლევის, ინოვაციების და პოლიტიკის მხარდაჭერის საჭიროება (Lee & Spivak 2018, 4–6).

მეფუტკრეობის როლი ასევე მნიშვნელოვანია სოფლად მაცხოვრებელთათვის საარსებო წყაროს შექმნისა და ეკონომიკური გაძლიერების საქმეში. სიღარიბის დაძლევის, შემოსავლების დივერსიფიკაციისა და სოციალური კეთილდღეობის ერთერთი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია. სოფლის თემების გაძლიერება მეფუტკრეობის მეშვეობით დამოკიდებულია სწორი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებასა და სახელწმიფოს მხრიდან გაწეულ მხარდაჭერაზე (Chirsanova et al. 2021, 112–14).

## 1.2 მეფუტკრეობის ეკონომიკური ეფექტიანობა და მისი განმსაზღვრელი ფაქტორები

მეფუტკრეობის ეფექტიანობის მაჩვენებლები შეიძლება დაიყოს სამ ძირითად კატეგორიად: ტექნოლოგიური, ეკონომიკური და სოციალური (იხ. სქემა N3).



წყარო: შემუშავებულია ავტორის მიერ (Колупаев, 2022: 22)-ის საფუძველზე

მეფუტკრეობის ეკონომიკური მნიშვნელობა დიდწილად იზომება ხარჯ-სარგებლიანობის ანალიზით, რომელიც გვიჩვენებს მის ფინანსურ სიცოცხლისუნარიანობას. გლობალური მოვლენების კვლევა, ცხადყოფს მეფუტკრეობის მსგავს ეკონომიკურ დინამიკას სხვადასხვა ქვეყნებში.

მაგალითად ტანზანიაში ჩატარებული კვლევა ადასტურებს მეფუტკრეობის კრიტიკულ გავლენას შინამეურნეობის შემოსავალზე; კომპლექსურ ურთიერთობებს მეფუტკრეობის პრაქტიკას, შემოსავლის გამომუშავებასა და ეკონომიკურ ეფექტიანობას შორის (Kuboja, Isinika, & Kilima 2017, 1–2). მეფუტკრეობის მომგებიანობაზე დიდ გავლენას ახდენს გაუმჯობესებული სკების გამოყენება, რაც ხაზს უსვამს ტექნოლოგიური ინოვაციების ძირითად როლს ეკონომიკური საქმიანობის გაუმჯობესებაში (Al-Ghamdi et al. 2017, 1075).

ერაყში არსებულ სიტუაცია შესწავლილი აქვს ალ-ბადრის. მისი კვლევა წარმოაჩენს მეფუტკრეობის ფერმების ეკონომიკურ ეფექტიანობას, ხაზს უსვამს სხვადასხვა წარმოების ფაქტორების გამოყენებას. ერაყში მეფუტკრეობის წინაშე მდგარი გამოწვევები მრავალმხრივია, რაც მოიცავს ეკონომიკური, ეკოლოგიური და სოციალური ფაქტორების კომპლექსურ ურთიერთქმედებას. ხარჯ-სარგებლიანობის ანალიზში მნიშვნელოვანია ამ დინამიკის ჰოლისტიკური ხედვა ეკონომიკური მდგრადობისა და მომგებიანობის მიღწევის გზების შესახებ (Al-Badri 2017, 126).

ბაშკირეთის სოციალური ტექნოლოგიების ინსტიტუტის კვლევაში მოცემულია მეფუტკრეობაში წარმოების პროცესების ეფექტიანობის გაზრდის მეთოდოლოგია და პრაქტიკა (Жилин 2009, 27). რომელიც განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებს მეფუტკრეობის ხარჯ-სარგებლიანობის ანალიზზე.

ნეპალში მეფუტკრეობის ეკონომიკურ სარგებლიანობის ერთერთი ძირითადი განმსაზღვრელია მცენარეთა დამტვერვის მართვის პრაქტიკა. მეფუტკრეობა ამ შემთხვევაში არ არის მხოლოდ ეკონომიკური საქმიანობა, არამედ პრაქტიკა, რომელიც ერთდროულად გავლენას ახდენს სოფლის მეურნეობის - მემცენარეობის - პროდუქტიულობაზე, ეკოლოგიურ ბალანსსა და მდგრად განვითარებაზე. ხარჯ-სარგებლიანობის ანალიზი მოიცავს ამ მრავალმხრივი ელემენტების ინტეგრაციას, რაც

ქმნის წარმოდგენას მეფუტკრეობის ეკონომიკური სარგებლიანობის შესახებ (Devkota, Dhakal, & Thapa 2016, 4–5).

ურთიერთობები და კოოპერატივები სოციალურ და შრომით სფეროებში, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობის მუშაკებისთვის, ასევე მნიშვნელოვანია მეფუტკრეობის ეკონომიკური დინამიკის გასაგებად. ახალი საკადრო პოლიტიკის დანერგვა და ეკონომიკური მართვის ინოვაციური ორგანოების შექმნა მეფუტკრეობაში ეკონომიკური ეფექტიანობისა და პროდუქტიულობის გაზრდის განუყოფელი ნაწილია (ქებაძე 2019, 37).

ჩეპიკის მიერ საცდელი საფუტკრეების მონაცემების ანალიზის საფუძველზე შემუშავებულია წარმოებული მეფუტკრეობის პროდუქტების საშუალო წლიური რაოდენობები 1 სკაზე, იმ დაშვებით რომ სკების საშუალო ოდენობა საფუტკრეში შეადგენს 380-400 ოჯახს, სწორედ ეს რაოდენობა მიაჩნია ავტორს ოპტიმალურად საშუალო მოცულობის საფუტკრეებისათვის (Чепик 2007, 248). წარმოებული პროდუქციის მოცემულ საშუალო რაოდენობებზე დაყრდნობით შეგვიძლია შევიმუშაოთ საფუტკრის ეკონომიკური ოპტიმიზაციის მიზნობრივი ფუნქცია:

$$x_1, - \text{სკების რაოდენობა საფუტკრეში } 380 \leq x_1, \leq 400,$$

$x_2$ , - წარმოებული თაფლის მთლიანი რაოდენობა წელიწადში. 1 სკა სტატისტიკური მონაცემებით საშუალოდ წელიწადში თავად მოიხმარს 22 კგ თაფლს და იძლევა 35 კგ სარეალიზაციო თაფლს, აქედან გამომდინარე:

$$x_2, \leq 22 * 400 + 35x_1, \leq 8800 + 35x_1,$$

$x_3$ , - წარმოებული სანთელი, საშუალოდ 1 სკაზე 0,8 კგ:

$$x_3, - \frac{0,8}{57} x_2, \leq 0.$$

$x_4$ , - წარმოებული ფუტკრის დედეები, საშუალოდ 1 სკაზე - 5 დედა:

$$x_4, - \frac{5}{57} * x_2, \leq 0$$

$x_5$  - წარმოებული დინდგელი. საშუალოდ 1 სკაზე 0,1 კგ:

$$x_5 - \frac{0,1}{57} x_2, \leq 0.$$

$x_6$ , - ფუტკრის სადედე რძე, საშუალოდ 1 სკაზე 0,3 კგ:

$$x_6 - \frac{0,3}{57} x_2, \leq 0.$$

$x_7$ , - ფუტკრის პაკეტები, საშუალოდ 1 სკაზე 0,7 პაკეტი:

$$x_7 - \frac{0,7}{57} x_2 \leq 0.$$

აქედან გამომდინარე საფუტკრის ეკონომიკური ოპტიმიზაციის მიზნობრივი ფუნქცია იქნება:

$$F(x_1, x_2, \dots, x_n) = -C x_1 + \sum_{n=1}^6 x_{n+1} * p_{n+1, \rightarrow max}$$

სადაც,  $p_2, p_3, \dots, p_7$  არის შესაბამისი მეფუტკრეობის პროდუქტების  $x_2, x_3, \dots, x_7$ -ის 1 ერთეულის სარეალიზაციო ფასები, ხოლო C მთლიანი დანახარჯები საშუალოდ 1 ფუტკრის ოჯახზე.

ამგვარად, საფუტკრის ეკონომიკური ოპტიმიზაციის მოცემული ფუნქციით, შესაძლებელია გამოთვლილ იქნეს მეფუტკრეობის ძირითადი პროდუქტების წარმოებიდან მიღებული მთლიანი ეკონომიკური სარგებელი.

მეფუტკრეობის თანამედროვე პირობებში ხარჯ-სარგებლიანობის ანალიზი არ არის სტატიკური პროცესი, არამედ მუდმივად განვითარებადი და ცვალებადი. იგი ყალიბდება გლობალური ტენდენციების, ტექნოლოგიური ინოვაციების, გარემოსდაცვითი საკითხებისა და ბაზრის დინამიკის ერთობლიობის სახით (Sain 2017, 1–2).

მეფუტკრეობის ეკონომიკური ანალიზი არ არის უბრალოდ ხარჯებისა და სარგებლიანობის შესწავლა, არამედ ეკონომიკურ, გარემოსდაცვით და სოციალურ ფაქტორებს შორის კომპლექსური ურთიერთკავშირების. მნიშვნელოვანია, ამ ელემენტების ჰარმონიული ბალანსი, რომელთაგან თითოეული ხელს უწყობს მეფუტკრეობის დარგის მდგრადობას, ადაპტირებასა და გარემოსდაცვით საკითხებს (Sumner & Champetier 2018, 15–16).

ამდენად, მეფუტკრეობის ხარჯებისა და სარგებლიანობის ანალიზი მრავალმხრივი, მრავალფაქტორიანია. იგი დამოკიდებულია თითოეული ქვეყნის პერსპექტივებზე და პრობლემებზე, საერთო ეკონომიკურ მდგომარეობაზე. მეფუტკრეობის ეკონომიკის გააზრებისათვის უმნიშვნელოვანესია სწორად

განხორციელებული ხარჯ-სარგებლიანობის ანალიზი, რომელიც არის საფუძველი სწორი გადაწყვეტილებების მიღების და დაგეგმარების.

მეფუტკრეობის სექტორთაშორისი კავშირები და მულტიპლიკატორული ეფექტი გამომდინარეობს ამ დარგის თავისებურებიდან. კერძოდ, მეფუტკრეობას აქვს საბოლოო როგორც ეკონომიკური ეფექტები ასევე, ტექნოლოგიური, ეკოლოგიური და სოციალური. აქედან გამომდინარე მას შეუძლია მრავალმხრივი წვლილის შეტანა სხვადასხვა სექტორში, საზოგადოების კეთილდღეობისათვის (ბაბუხადია 1986, 56–59).

სექტორთაშორისი კავშირები ნათლად არის ჩამოყალიბებული უკრაინული მეფუტკრეობის კონტექსტში, რომელიც აღიქმება მდგრადი განვითარების კატალიზატორად. მეფუტკრეობა არა მხოლოდ თავისთავად წარმოადგენს დარგს, არამედ მჭიდროდ არის გადაჯაჭვული სოფლის მეურნეობის სხვა დარგებთან, ტურიზმთან და უფრო ფართო ეკოსისტემასთან. ნეპალში მეფუტკრეობას მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს დაბალშემოსავლიანი მოსახლეობისათვის საარსებო წყაროს განვითარებაში, რაც ხელს უწყობს ეკონომიკურ და სოციალურ გაძლიერებას (Devkota et al. 2022, 712–13).

მეფუტკრეობის მულტიპლიკატორული ეფექტის კონტექსტში, მეფუტკრეობის კვლევა არგენტინაში წარმოაჩენს ფუტკრეობის მიერ დამატებითი სერვისების გაწევას. საკუთრივ, მცენარეთა დამტვერვა სცილდება მეფუტკრეობის უშუალო სფეროს, რაც გავლენას ახდენს მოსავლის პროდუქტიულობაზე, ბიომრავალფეროვნებაზე და ეკოლოგიურ ბალანსზე. ფუტკარი მნიშვნელოვან როლს ასრულებს სხვადასხვა კულტურების პროდუქტიულობის გაზრდაში, რითაც ხელს უწყობს სასოფლო-სამეურნეო წარმოების გაზრდას და სასურსათო უსაფრთხოებას (Chacoff et al. 2010, 104–5; Nervi 1994, 1–2).

მეფუტკრეობასა და სხვა სექტორებს შორის კავშირის კვლევა ეთიოპიაში ადასტურებს, რომ მეფუტკრეობაში თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვამ არა მხოლოდ გაზარდა ეფექტიანობა, არამედ მნიშვნელოვნად გაზარდა ოჯახების შემოსავალიც. ეს არის მეფუტკრეობის პირდაპირ ეკონომიკურ გავლენა, რომელიც

სცილდება უშუალოდ მეფუტკრეობის სექტორს და უფრო ფართო ეკონომიკურ გავლენას ახდენს მოსახლეობაზე (Belayhun 2014, 18).

ბანგლადეშში მეფუტკრეობის კვლევა ნათლად წარმოაჩენს პოტენციალს, რომლის მიღწევაც შესაძლებელია ახალი ტექნოლოგიების ინტეგრაციით, რაც საჭიროა დარგის პროდუქტიულობისა და მდგრადობის ოპტიმიზაციისთვის. მეფუტკრეობაში ტექნოლოგიების ინტეგრაცია გაზრდის ეფექტიანობას და მოსავლიანობას და შეამცირებს ოპერაციულ ხარჯებს (Rumman, Reybroeck, & Islam 2021, 193).

მნიშვნელოვანია მეფუტკრეობის დარგის მჭიდრო კავშირი ტურიზმთან. თანამედროვე მსოფლიოში და მათ შორის საქართველოში, სულ უფრო პოპულარული ხდება „აპი ტურიზმის“ მიმართულება, რაც გულისხმობს ტურისტებისათვის სპეციალური ტურის მოწყობას საფუტკრეოში, სადაც მათ შეუძლიათ უშუალოდ დააკვირდნენ მეფუტკრეობის მუშაობას, ნახონ ფუტკრის ოჯახები, დააგემოვნონ მეფუტკრეობის პროდუქტები (USAID 2016; Topal et al. 2021, 1–2).

ეკონომიკური თვალსაზრისით, მეფუტკრეობის სარგებელი მხოლოდ თაფლის წარმოებით არ შემოიფარგლება. მეფუტკრეობის სხვა პროდუქტებს: ფუტკრის ცვილს, დინდგელს და ფუტკრის სადედე რძეს, აქვს მნიშვნელოვანი ეკონომიკური ღირებულება. ფუტკრის პროდუქტების დივერსიფიკაცია ზრდის დარგის ეკონომიკურ მნიშვნელობას და ხელს უწყობს მის მდგრადობას (ფილფანი, 2020: 65).

კავშირები მეფუტკრეობასა და სხვა სექტორებს შორის არ არის ცალმხრივი, იგი ხასიათდება ურთიერთგავლენით. მეფუტკრეობა სარგებლობს გარემო და კლიმატური ფაქტორებით, თუმცა ამავე დროს უწყობს ეკოლოგიური ბალანსისა და ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებას. ეს ორმხრივი ურთიერთქმედება ხაზს უსვამს მეფუტკრეობის ინტეგრაციულ ბუნებას, სადაც გარემოსდაცვითი, ეკონომიკური და სოციალური ელემენტები განუყოფლად არის დაკავშირებული (Njukang et al. 2021, 1–2).

ამდენად, მეფუტკრეობის სექტორთაშორისი კავშირები და მულტიპლიკატორული ეფექტები მრავალმხრივი, ურთიერთდამოკიდებული და მნიშვნელოვანია. მეფუტკრეობის მომავალი მდგომარეობს ამ კავშირებისა და

ეფექტების სინერგიულ კვლევაში, სადაც ჰოლისტიკური ზემოქმედება და შედეგები არა მხოლოდ აღიარებულია, არამედ ინტეგრირებულია თითოეული დარგის ევოლუციის სტრატეგიებში.

მეფუტკრეობის განვითარებისათვის უმნიშვნელოვანესია ინსტიტუციური ღონისძიებები, რომელიც მოიცავს მარეგულირებელ ნორმებს, ეკონომიკურ სტიმულებსა და საგანმანათლებლო ინიციატივებს. ეს მექანიზმები არა მხოლოდ საფუძველია დარგის წინსვლისთვის, არამედ მნიშვნელოვან როლს ასრულებენ მეფუტკრეობის წინაშე არსებული კომპლექსური გამოწვევების გადაჭრაში და პერსპექტიული მიმართულებების მხარდაჭერაში.

რუსეთის ფედერაციაში სახელმწიფოს მხრიდან მეფუტკრეობის განვითარებისთვის იყენებს ინტეგრირებული მიდგომას, რომელიც აერთიანებს თეორიას, მეთოდოლოგიასა და პრაქტიკას მეფუტკრეობის განვითარების ეფექტიანობის გასაუმჯობესებლად. ეს ტრიადა არა მხოლოდ ფუნდამენტურია დარგის წინაშე არსებული პრობლემების მოსაგვარებლად, არამედ მნიშვნელოვან როლს ასრულებს მეფუტკრეობის პრაქტიკის უფრო ფართო ეკონომიკურ და გარემოსდაცვით მიზნებთან შესაბამისობის საკითხში (Чепик 2007, 264–67; Сатюкова et al. 2019, 270).

სოფლის განვითარების სტრატეგიების შემუშავებისას მნიშვნელოვანია განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს მეფუტკრეობის მიმართულებას. ამ მიმართულებით მონაცემთა დამუშავების და ანალიტიკის მნიშვნელობა განუზომელია სახელმწიფო პოლიტიკისა და პრაქტიკის ჩამოყალიბებისთვის. ვინაიდან არსებითია მსგავსი ფართო მნიშვნელობის სახელმწიფო ეკონომიკური პოლიტიკის დაფუძნება რეალურ მონაცემებსა და დასკვნებზე, რაც იქნება საფუძველია სოფლად მაცხოვრებელთათვის რეალური დამატებითი შემოსავლების მიღებისა.

უკრაინის მეფუტკრეობის დარგის მდგრადი განვითარებისათვის მნიშვნელოვანია სახელმწიფოს მხრიდან ინსტიტუციური მხარდაჭერის კიდევ ერთი ასპექტი. კვლევაში ხაზგასმულია რომ მეფუტკრეობის დარგის პირველ რიგში მდგრადი განვითარება უნდა იყოს სახელმწიფოს ძირითადი მიზანი ამ

მიმართულებით, და არა მეფუტკრეობის მხოლოდ ეკონომიკურ სარგებლიანობაზე ზრუნვა (Senchuk, Peliukhnia, & Didenko 2022, 175) .

მცირე მეფუტკრეებისათვის ინსტიტუციურ მხარდაჭერა მოიცავს ტექნოლოგიების და ინოვაციური პრაქტიკების წახალისებას. აღსანიშნავია ინოვაციის მნიშვნელობა არა როგორც, იზოლირებული კერძო ინიციატივისა, არამედ როგორც შეთანხმებული ძალისხმევისა, რომელიც აერთიანებს სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებს, მათ შორის მცირე ფერმერებს (მეფუტკრეებს).

მექსიკაში ჩატარებულ კვლევაში, რომელიც შეისწავლიდა ფუტკრისათვის მნიშვნელოვანი ფლორის მრავალფეროვნებას და ყვავილობის ფენოლოგიას, ხაზგასმული ადგილობრივი მეფუტკრეებისათვის ფლორის შესახებ დეტალური ცოდნის მნიშვნელობა. ამ ცოდნის მიწოდება პრაქტიკოსი მეფუტკრეებისათვის დიდწილად დამოკიდებულია ქვეყანაში არსებულ შესაბამის ინსტიტუციებზე - პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებზე (Coh-Martínez et al. 2019, 13–14).

სახელმწიფოს კიდევ ერთი ვალდებულებაა მეფუტკრეობის დარგის გარემოზე გავლენის კვლევა და შეფასება. მეფუტკრეობის ეკოლოგიურ შედეგების ანალიზი.

ამ მრავალფეროვანი საკითხების და ასპექტების სინთეზით შეგვიძლია ჩამოვაყალიბოთ მეფუტკრეობის მხარდაჭერი ინსტიტუციური მექანიზმები რამდენიმე თემატურ მიმართულებად. პირველი, არსებობს მკაფიო კონსენსუსი მეფუტკრეობის განვითარების ინტეგრირებული მიდგომის აუცილებლობის შესახებ, რომელიც აერთიანებს თეორიას, პრაქტიკასა და პოლიტიკას ერთობლიობაში. მეორე, ხაზგასმულია მონაცემთა დამუშავების და ანალიტიკის ცენტრალური როლი, რაც ხაზს უსვამს ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღების როლს მეფუტკრეობისათვის დამახასიათებელი კომპლექსური გამოწვევებისა და შესაძლებლობების განხილვისას. მესამე, მნიშვნელოვანია ინკლუზიურობა; რაც აერთიანებს სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებს, მათ შორის, სახელმწიფო უწყებებს, არასამთავრობო ორგანიზაციებს, პროფესიულ კავშირებს, საგანმანათლებლო დაწესებულებებს, მსხვილ და მცირე საფუტკრე მეურნეობებს ერთიან ურთიერთდაკავშირებულ ინსტიტუციურ სისტემაში.

ამგვარად, მეფუტკრეობის მხარდამჭერი ინსტიტუციური მექანიზმები მრავალფეროვანი და მრავლისმომცველია. ისინი აერთიანებენ მარეგულირებელ, ეკონომიკურ, გარემოსდაცვით და სოციალურ საკითხებს, რათა შექმნან შესაბამისი სახელმწიფო პოლიტიკის, წარმატებული პრაქტიკისა და თანამედროვე მოწინავე ინიციატივების პალიტრა, მეფუტკრეობის დარგის წინსვლისთვის. ზემოგანხილული სხვადასხვა წყაროები ადასტურებენ იმ სირთულეებს და პერსპექტივებს, რომლებიც ახასიათებს ამ მიმართულებით ინსტიტუციურ განვითარებას.

მეფუტკრეობაში სწავლებისა და უნარების განვითარების ინიციატივები მნიშვნელოვანია არა მხოლოდ პროდუქტიულობის ზრდისათვის, არამედ როგორც დარგის მდგრადობის, სიცოცხლისუნარიანობის და ინოვაციების დანერგვისათვის. სასწავლო კომპონენტის გაძლიერებას აქვს მრავალმხრივი გავლენა ეკონომიკურ, სოციალურ და გარემოსდაცვით საკითხებზე, რომელთა წინაშეც დგას თანამედროვე მეფუტკრეობა.

გრაცერის კვლევა ხაზს უსვამს იმ პრობლემებსა და შესაძლებლობებს, რომლებიც ახასიათებს მეფუტკრეობას ეთიოპიაში. მასში განხილულია გარემოსდაცვითი, კლიმატური და ანთროპოგენური ასპექტები, რომლებიც დაკავშირებულია მეფუტკრეობის პრაქტიკასთან. მეფუტკრეთა სწავლება და უნარების განვითარება მნიშვნელოვან როლს თამაშობს ამ მრავალმხრივი გამოწვევების გადაჭრაში, ეხმარება მათ თანამედროვე ცოდნის შექმნაში, უნარების გამომუშავებაში, რაც ასევე ეხმარება მათ არსებული შესაძლებლობების სწორად გამოყენებაში (Gratzer et al. 2021, 1–2).

ასევე მნიშვნელოვანია სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლში აგროტურიზმის სტრატეგია. კვლევაში სწავლა და უნარების განვითარება არ არის იზოლირებული ინიციატივები, არამედ ისინი ჩაქსოვილი არიან განვითარების უფრო ფართო კონცეფციაში; პოზიციონირებენ როგორც ეკონომიკური დივერსიფიკაციის, ინოვაციებისა და მდგრადობის კატალიზატორები (USAID 2016).

უკრაინაში მეფუტკრეობის დარგის მდგრადი განვითარების დეტალური კვლევა ხაზს უსვამს სასწავლო პროგრამებისა და უნარების განვითარების ინიციატივების მნიშვნელოვან როლს დარგის მდგრადი განვითარების ხელშეწყობაში.

ხაზგასმულია ინტერდისციპლინური და სისტემური მიდგომების აუცილებლობა (Senchuk, Peliukhnia, & Didenko 2022, 175–76).

პენზას რეგიონში მეფუტკრეობის პროდუქტების წარმოებისა და ექსპორტის მეთოდოლოგიური მხარდაჭერის მიზნით მეფუტკრეთა სწავლება და პროფესიული განვითარება წარმოდგენილია, როგორც ხარისხისა და სტანდარტების გაუმჯობესების ინსტრუმენტი, გლობალურ ბაზარზე კონკურენტუნარიანობის გაზრდის ძირითადი ფაქტორი. აღნიშნულია სასწავლო კომპონენტების გლობალურ სტანდარტებთან და პრაქტიკასთან შესაბამისობაში მოყვანის აუცილებლობა, რაც ხელს შეუწყობს მეფუტკრეთა პროფესიულ ზრდას (Халивина et al. 2011, 1–2).

გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია ხაზს უსვამს მეფუტკრეობის „კარგი პრაქტიკის“ მნიშვნელობას, გვთავაზობს პრაქტიკულ მითითებებს ფუტკრის საერთო დაავადებების იდენტიფიცირებისა და მართვის შესახებ. ორგანიზაცია ყურადღებას ამახვილებს ფუტკრის ოჯახების ჯანმრთელობისა და პროდუქტიულობის გასაუმჯობესებლად ცოდნისა და უნარების მნიშვნელობაზე (FAO 2020, 3–5).

ამ განხილავებული პერსპექტივების შეჯამებისას ცხადია, რომ მეფუტკრეობის სასწავლო პროგრამები და უნარების განვითარების ინიციატივები მრავალფეროვანი და ჰოლისტიკურია. ისინი მიზნად ისახავს არა უბრალოდ მეფუტკრეთა უნარების გაუმჯობესებას, არამედ ეკონომიკური, გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების კომპლექსურად წარმოდგენას; რაც არის მეფუტკრეობისა დარგის წინსვლის საფუძველი.

ამდენად, ინიციატივები სასწავლო მიმართულებით მნიშვნელოვან როლს თამაშობს ინოვაციების სტიმულირებაში, პროდუქტიულობის გაზრდასა და დარგის მდგრადი განვითარების ხელშეწყობაში. მათი მიზანი უნდა იყოს მეფუტკრეობის აღჭურვა საჭირო ცოდნითა და უნარებით, რომლებიც საჭიროა თანამედროვე მეფუტკრეობაში არსებული რთული გამოწვევების დასაძლევად და უზარმაზარი შესაძლებლობების გამოსაყენებლად.

მეფუტკრეობის დარგის გარშემო არსებული ფინანსური გარემო რთული და მრავალმხრივია და მოიცავს მრავალფეროვან ინსტრუმენტებსა და საკრედიტო

სქემებს, რომლებიც შექმნილია მეფუტკრეობის ბიზნესის ეკონომიკური სიცოცხლისუნარიანობისა და მდგრადობის გასაუმჯობესებლად. ესვატინში მცირე მასშტაბის მეფუტკრეობის დარგის ანალიტიკური შესწავლა იძლევა მისი ეკონომიკური დინამიკის საფუძვლიან გაგებას, რომელიც ახასიათებს მოცემულ დარგს და სასარგებლოა სხვა ქვეყნებში გამოსაყენებლად, მათ შორის საქართველოშიც (Singh, Kibirige, & Malaza 2023, 1–2).

მეფუტკრეობისთვის ხელმისაწვდომ ფინანსურ ინსტრუმენტებსა და საკრედიტო სქემებზე გავლენას ახდენს მრავალი ფაქტორი, მათ შორის ინსტიტუციური და მარეგულირებელი ჩარჩო, რომელშიც ისინი მოქმედებენ. ასეთი ნორმატიული რეგულაციები ხშირად განსაზღვრავენ ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობასა და სარგებლიანობას. მაგალითად, ეთიოპიაში ფინანსებისა და კრედიტის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული პრობლემები მეფუტკრეობის წინაშე არსებულ მთავარ შეზღუდვებს შორისაა. ეს პრობლემები არ არის უცხო სხვა ქვეყნებისთვისაც, რაც ხაზს უსვამს საიმედო და ხელმისაწვდომი ფინანსური მხარდაჭერის მექანიზმების საჭიროებას (Faji & Begna 2017, 58–60).

მეფუტკრეობის უნიკალურ საჭიროებებსა და გამოწვევებზე მორგებული ფინანსური ინსტრუმენტების შექმნა და განვითარება გადამწყვეტია. ასეთი ინსტრუმენტებია: გრანტები, სუბსიდიები, სესხები და სხვა საკრედიტო საშუალებები, რომლებიც სპეციალურად შექმნილია მეფუტკრეობის საქმიანობისთვის. ზოგიერთ ქვეყანაში სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციები უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებენ წარმოების გაზრდის მიზნით მეფუტკრეობისთვის ფინანსური დახმარებისა და სუბსიდიების მიწოდებაში.

თუმცა, ამ ფინანსური ინსტრუმენტების ხელმისაწვდომობა ხშირად დამოკიდებულია ისეთ ფაქტორებზე, როგორცაა: მეფუტკრეობის ცოდნის დონე, მოქმედი რეგულაციები და ფინანსური ინსტიტუტების მონაწილეობა სექტორში. მაგალითად, საკრედიტო სქემები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ მეფუტკრეობის გაძლიერებაში, თანამედროვე ტექნოლოგიებში ინვესტირებასა და მდგრადი პრაქტიკის დანერგვაში. თუმცა, კრედიტზე წვდომას ხშირად აფერხებს ისეთი ფაქტორები, როგორცაა: სესხის უზრუნველყოფისათვის გირაოს/ქონების ნაკლებობა,

მაღალი საპროცენტო განაკვეთები და მსესხებლისათვის წაყენებული მაღალი მოთხოვნები/კრიტერიუმები.

ხელმისაწვდომი ფინანსური ინსტრუმენტების ტიპებისა და მასშტაბების მრავალფეროვნება ხაზს უსვამს მსესხებელზე მორგებული მიდგომის საჭიროებას, რომელიც ითვალისწინებს მეფუტკრეობის სექტორის სპეციფიკურ საჭიროებებს, გამოწვევებსა და შესაძლებლობებს სხვადასხვა კონტექსტში. ამ თვალსაზრისით, სწორი სახელმწიფო პოლიტიკა და ინსტიტუციური მხარდაჭერა უმნიშვნელოვანესია. პოლიტიკა, რომელიც აადვილებს კრედიტზე ხელმისაწვდომობას, ამცირებს საპროცენტო განაკვეთებს და უზრუნველყოფს მეფუტკრეთათვის ფინანსური მენეჯმენტის სწავლებას, შეუძლია მნიშვნელოვნად გაზარდოს მეფუტკრეობის ეკონომიკური შემოსავალი (Amulen et al. 2017, 1–2; Vercelli, Croce, & Mancuso 2020, 11).

გარდა ამისა, ისეთი ინოვაციური ფინანსური გადაწყვეტილებების ბაზარზე გამოჩენა, როგორცაა მიკროსაფინანსო, შემნახველი და საკრედიტო კოოპერატივები, მნიშვნელოვანი სარგებლის მომტანია მცირე მეფუტკრეებისთვის. ეს მექანიზმები არა მხოლოდ უზრუნველყოფს მეფუტკრეებს ფინანსური რესურსებით, არამედ გვთავაზობენ პლატფორმებს ფინანსური მენეჯმენტის სწავლებისათვის, ფინანსურ შესაძლებლობების განვითარებისთვის, რაც ეხმარება მეფუტკრეებს თავიანთი ძალისხმევის ოპტიმიზაციაში ეკონომიკურ სარგებელის გაზრდის მიზნით (Wagner 2019, 4–7).

ქართულ კონტექსტში, ამ მრავალფეროვანი ფინანსური ინსტრუმენტებისა და საკრედიტო სქემების ადაპტაცია და ინტეგრაცია მოითხოვს სპეციფიკურ მიდგომას, რომელიც ითვალისწინებს ქვეყნის განსაკუთრებულ ეკონომიკურ, გარემოსდაცვით და ინსტიტუციურ პირობებს. საქართველოს მეფუტკრეობის სექტორის უნიკალურ გამოწვევებსა და შესაძლებლობებზე ამ ფინანსური ინსტრუმენტების მორგება გაზრდის მათ ეფექტიანობას.

საერთაშორისო თანამშრომლობასა და პარტნიორობას ასევე შეუძლია გადამწყვეტი როლი ითამაშოს საქართველოში მეფუტკრეობის ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებაში. გლობალური საუკეთესო პრაქტიკის შესწავლამ, საერთაშორისო სტანდარტების ინტეგრირებამ და გლობალურ საკრედიტო და

ფინანსურ ქსელებში მონაწილეობამ შეიძლება მნიშვნელოვნად გააფართოოს ქართველი მეფუტკრეებისთვის ხელმისაწვდომი ფინანსური შესაძლებლობები.

ამდენად, სხვადასხვა ფინანსური ინსტრუმენტებისა და საკრედიტო სქემების ხელმისაწვდომობა გადამწყვეტია მეფუტკრეობის დარგის ზრდისა და მდგრადობისთვის. ამასაკთანვე მათი ეფექტიანობა პირდაპირაა დაკავშირებული უფრო ფართო ინსტიტუციურ, მარეგულირებელ და ეკონომიკურ გარემოსთან. საქართველოში მეფუტკრეობის განვითარებისათვის ფინანსური რესურსების სტრატეგიულმა ინტეგრაციამ, რომელიც მორგებული იქნება ქვეყნის უნიკალურ კონტექსტზე და მხარდაჭერილი იქნება შესაბამისი სახელმწიფო პოლიტიკით, შეუძლია მნიშვნელოვნად გააუმჯობესოს მეფუტკრეობის დარგის ეკონომიკური სიცოცხლისუნარიანობა და მდგრადობა.

მეფუტკრეობის საექსპორტო დარგად განვითარებაში მარკეტინგისა და ბრენდინგის როლი საკვანძოა, რომელიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ამ სექტორის ეკონომიკურ ზრდაზე.

მარკეტინგისა და ბრენდინგის სტრატეგიებს ახასიათებთ დინამიზმი. ისეთი თანამედროვე მოწინავე განხრები როგორცაა: ციფრული მარკეტინგი, რეკლამა სოციალური მედიაში და ელექტრონული კომერცია მნიშვნელოვანია მეფუტკრეობის პოპულარიზაციაში გლობალურ ბაზარზე. ტრადიციული და თანამედროვე მარკეტინგული მეთოდების სინთეზი არ არის უბრალოდ თეორიული ხასიათის, არამედ ეფუძნება პრაქტიკულ რეალობას - დღევანდელ მოთხოვნებს.

ბრენდინგი და ბაზარზე შეღწევის მეთოდები დაკავშირებულია კორპორატიულ იდენტობასა და მომხმარებელთა მოთხოვნილებებზე. ასევე მნიშვნელოვანია სერთიფიკატების და ხარისხის სტანდარტების როლი ბაზრის ტენდენციების ჩამოყალიბებაში. სწორ ბრენდინგს უდიდესი პოტენციალი აქვს. საკუთრივ, მანუკას თაფლი პროფესიონალურმა ბრენდინგმა ადგილობრივი პროდუქტიდან აქცია გლობალურ ფენომენად (Hussen, 2023: 26).

ტანხანის მეფუტკრეობის სექტორის კომპლექსურ ანალიზი წარმოაჩენს სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებასა და გარემოს დაცვას შორის ურთიერთობას და დეტალურად განიხილავს როგორც ზრდის, ასევე მდგრადობის პოტენციალს ამ

კონტექსტში. ამის საპირისპიროდ, ამერიკული შეხედულება ხაზს უსვამს საუკეთესო მენეჯმენტის პრაქტიკის მთავარ როლს, მის გავლენას უფრო მაღალი პროდუქტიულობისა და ეკონომიკური მდგრადობის ხელშეწყობაში. თუმცა ორივე კვლევა ადასტურებს სწორი მარკეტინგისა და ბრენდინგის აუცილებლობას მეფუტკრეობის დარგის განვითარებისათვის.

ევროპული მეფუტკრეობა ხასიათდება თავისი ტრადიციულობითა და ეკონომიკური ეფექტიანობის სინთეზით. ხაზგასმულია მეფუტკრეობის შეუცვლელი როლი სოფლის ეკონომიკის გაძლიერებაში. დარგის წინსვლის ერთერთ განმსაზღვრელად ეფექტიანი ბრენდინგია წარმოდგენილი. თურქეთში ყურადღება ექცევა მეფუტკრეობის ორმაგ: გარემოსდაცვით და ეკონომიკურ ასპექტებს. ეკონომიკური ზრდის დეტერმინანტად განიხილება ეკოლოგიურად სუფთა, ევროპული სტანდარტების შესაბამისი მეფუტკრეობის ბიო პროდუქტების წარმოება და სწორი მარკეტინგის საშუალებით საერთაშორისო ბაზარზე საკუთარი ნიშის დაკავება (Uysal 2022, 329–30).

ამდენად, ზემოგანხილული კვლევები ერთიანობაში აყალიბებს მოსაზრებას მეფუტკრეობის განვითარებისათვის მარკეტინგისა და ბრენდინგის მნიშვნელობაზე, რომელიც სცილდება გეოგრაფიულ, კულტურულ და ეკონომიკურ საზღვრებს. თითოეული კვლევა, მიუხედავად იმისა, რომ განსხვავებულია, ხელს უწყობს ყოვლისმომცველ ანალიზს. საბოლოოდ მარკეტინგული და ბრენდინგის სტრატეგიების წარმატება დიდწილად დამოკიდებულია ერთი მხრივ თანამედროვე საბაზრო მოთხოვნების სწორად და დროულად დანახვაზე; მეორე მხრივ კი - მეფუტკრეობის წარმოებული პროდუქციის ბაზარზე სწორ პოზიციონირებაზე - რათა მომხმარებელმა ნათლად დაინახოს ქართული მეფუტკრეობის პროდუქციის უნიკალურობა და პრემიალური ხარისხი.

### **1.3 მეფუტკრეობის მარეგულირებელი და ინსტიტუციური ჩარჩო**

ოდითგანვე მეფუტკრეობა სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკაზე მეტი იყო; ის ჩართული იყო საზოგადოების სოციალურ, კულტურული ურთიერთობებში. მისი მარეგულირებელი წესები გადაჯაჭვული იყო სოციალურ ნორმებთან და

კულტურასთან, რელიგიასთან. თუმცა, მეფუტკრეობის სისტემატიზებული მარეგულირებელი ნორმების ფორმირება ძირითადად იწყება სამეცნიერო, ეკონომიკური და გარემოსდაცვითი მოსაზრებების ინტეგრირებით.

მე-18 და მე-19 საუკუნეებში დაიწყო მეფუტკრეობის მარეგულირებელი წესების შექმნა ეკონომიკურ პრინციპებთან. მეფუტკრეობასთან დაკავშირებული მრავალი გამოწვევა, მათ შორის დაავადებები და გარემოს ცვლილებები, გახდა მიზეზი უფრო სტრუქტურირებულ მარეგულირებელ ჩარჩოს შექმნისა. იმ ეპოქის წესებს, ნორმებს ახასიათებდა ბალანსი ტრადიციულ პრაქტიკასა და ახალ სამეცნიერო აღმოჩენებს შორის (Fava, Sapoznik, & Whelan 2021, 275–76).

საბჭოთა ეპოქამ მნიშვნელოვანი ცვლილებები მოიტანა, რომელიც გამოირჩეოდა ცენტრალური დაგეგმვითა და მკაცრი რეგულაციებით. მეფუტკრეობის დარგი მოექცა ყურადღების ცენტრში და რეგულაციები მიზნად ისახავდა წარმოებისა და ექსპორტის გაზრდას. ამ პერიოდის განმავლობაში სახელმწიფო პოლიტიკა, ნორმატიული რეგულირება ემსახურებოდა ეკონომიკური სარგებლის მაქსიმალურად გაზრდას, თუმცა ხშირად ეკოლოგიური მდგრადობისა და მდიდარი ბიომრავალფეროვნების ხარჯზე.

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველომ გადადგა ნაბიჯები მეფუტკრეობის დარგის განვითარებისათვის. წესები გადაიხედა, რითაც დაიწყო ლიბერალიზაციისა და საერთაშორისო ინტეგრაციის ეპოქა. სახელმწიფო პოლიტიკა ჩამოყალიბდა დარგის მდგრადობაზე, ბიომრავალფეროვნების დაცვასა და ეკონომიკურ სიცოცხლისუნარიანობაზე ფოკუსირებით. თუმცა ჯერ კიდევ ძალიან ბევრი გასაკეთებელი დარგის საერთაშორისო სტანდარტებთან და წარმატებულ პრაქტიკასთან დაახლოვების მიზნით მარეგულირებელი ჩარჩოს სრულყოფის მიმართულებით..

მე-3 ათასწლეულის დადგომამ მეფუტკრეობაში ტექნოლოგიური პროგრესისა და ინოვაციების ეპოქა მოიტანა, რაც მოითხოვს ნაცვლად ხისტი რეგულირებისა ადაპტაციურ რეგულაციას. პოლიტიკას უნდა ახასიათებდეს მოქნილობა, ინკლუზიურობა და აქცენტი ტექნოლოგიურ ინტეგრაციაზე. არსებული რეგულაციები მიზნად ისახავენ ხიდის გადალახვას ტრადიციულ პრაქტიკასა და

თანამედროვე ტექნოლოგიურ იმპერატივებს შორის. წახალისდა სახელმწიფო-კერძო პარტნიორობა და ჩამოყალიბდა რეგულაციები მეფუტკრეობის დარგში ინოვაციებისა და მეწარმეობის ხელშესაწყობად.

2002 წელს მიღებულ იქნა კანონი „მეფუტკრეობის“ შესახებ, რომლის ძირითადი მიზნები და ამოცანები იყო:

➤ „მსოფლიოში აღიარებული, უნიკალური ქართული ფუტკრის დაცვა, ხალასჯიშიანი მოშენება და სელექციური სრულყოფა.

➤ ფუტკრის პროდუქციის წარმოების სტიმულირება, სასოფლო-სამეურნეო კულტურებისა და სხვა მცენარეების დამტვერვაში ფუტკრის ეფექტიანად გამოყენება, მეფუტკრეობაში დასაქმებული ფიზიკური ან/და იურიდიული პირის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების სამართლებრივი უზრუნველყოფა” (საქართველოს პარლამენტი 2002).

ბოლო წლებში მარეგულირებელი ჩარჩო განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს გარემოს მდგრადობაზე, ბიო უსაფრთხოებას და ხარისხის კონტროლზე. აღნიშნული სახელმწიფო პოლიტიკის მიზანია უზრუნველყოს მეფუტკრეობა დარჩეს არა მხოლოდ ეკონომიკურად სიცოცხლისუნარიან დარგად, არამედ ხელი შეუწყოს გარემოსა და ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებას. რეგულაციები სულ უფრო მეტ ყურადღებას ამახვილებს საერთაშორისო სტანდარტებსა და ხარისხის კონტროლზე, ქართული თაფლის კონკურენტუნარიანობის გასაუმჯობესებლად საერთაშორისო ბაზარზე.

სავაჭრო პოლიტიკა და ექსპორტის რეგულაციები ადაპტირებულია საერთაშორისო ბაზრის დინამიურ მოთხოვნებთან. მთავარი აქცენტი მდგომარეობს იმაში, რომ ქართული ფუტკრის პროდუქტები აკმაყოფილებდნენ უმაღლესი ხარისხის სტანდარტებს, რომლებიც ხასიათდება გამორჩეული გემოვნებითი თვისებებით, ეკოლოგიური სისუფთავით და უნიკალურობით. მარეგულირებელი ბაზა ძლიერდება მეფუტკრეობის ფალსიფიცირებული პროდუქტების წინააღმდეგ საბრძოლველად და ქართული თაფლის რეპუტაციის შენარჩუნების უზრუნველსაყოფად საერთაშორისო ბაზარზე (მელიქიძე 2021, 39–47).

მარეგულირებელი პროცესი ხასიათდება უწყვეტი ევოლუციით, ადაპტაციითა და გაუმჯობესებით მრავალმხრივი გამოწვევებისა და შესაძლებლობების გადასაჭრელად. რამდენადაც საქართველოს მეფუტკრეობის დარგი აგრძელებს განვითარებას, მოსალოდნელია, რომ მარეგულირებელი ჩარჩო განვითარდება ეკონომიკური, გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების დასაბალანსებლად.

ამდენად, მეფუტკრეობის რეგულაციების ისტორიული განვითარება საქართველოში არის დარგის მდგრადობის, ადაპტაციის და უწყვეტი განვითარების გზა. თითოეულმა ეპოქამ თავისი წვლილი შეიტანა მიმდინარე მარეგულირებელ ნორმებში. საჭიროა ახალი კანონის მიღება, რადგან 2002 წლის კანონი „მეფუტკრეობის“ შესახებ 2011 წლიდან ძალადაკარგულია. თანამედროვე ეტაპზე კიდევ უფრო საჭიროა საკანონმდებლო ცვლილებები და არსებული ნორმატიული აქტების სრულყოფა, რათა ქვეყანაში შეიქმნას თანამედროვე მოწინავე, ევროპული ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით, ადეკვატური მარეგულირებელი ჩარჩო, რომელიც იქნება გამორჩეული თავისი ბალანსით ეკონომიკურ ეფექტიანობას, გარემოს მდგრადობასა და სოციალურ კეთილდღეობას შორის. რამდენადაც საქართველო აგრძელებს თავისი ნიშის მოპოვებას მეფუტკრეობის გლობალურ ბაზარზე, განახლებული მარეგულირებელი ჩარჩო გადამწყვეტ როლს შეასრულებს ამ დარგის მომავალის ფორმირებაში.

საქართველოში მეფუტკრეობის მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზის ევოლუცია მნიშვნელოვანი მიღწევებითა და გაუმჯობესებით გამოირჩეოდა. მიმდინარე სამართლებრივი გარემო ხაზს უსვამს მრავალმხრივ მიდგომას, რომელიც მოიცავს საერთაშორისო სტანდარტებს, ეროვნულ ინტერესებს და გარემოს მდგრადობას. ამ კრიტიკული ელემენტების გაერთიანება ქმნის ყოვლისმომცველ სამართლებრივ ჩარჩოს, რომელიც მიზნად ისახავს მეფუტკრეობის დარგში ზრდის, ინოვაციების და გლობალური კონკურენტუნარიანობის ხელშეწყობას.

ბოლო პერიოდში საქართველოში მეფუტკრეობასთან დაკავშირებით მიღებულია/მოქმედია შემდეგი ნორმატიული რეგულაციები (დოლობერიძე et al. 2017, 179–80; საქართველოს ბიზნესის ინსტიტუტი 2020, 6):

1. საქართველოს კანონი „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი“

2. საქართველოს კანონი „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი“

3. საქართველოს მთავრობის 2010 წლის 25 ივნისის N173 დადგენილება „ტექნიკური რეგლამენტების - „სურსათის/ცხოველის საკვების ჰიგიენის ზოგადი წესისა“ და „სურსათის/ცხოველის საკვების ჰიგიენის გამარტივებული წესის“ დამტკიცების თაობაზე.

4. საქართველოს მთავრობის 2015 წლის 16 ოქტომბრის N533 დადგენილება „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე“

5. 2014 წლის 26 დეკემბერის საქართველოს მთავრობის N714 დადგენილება - „თაფლის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“.

რეგლამენტის მიზნად ისახავს თაფლის წარმოების, გადამუშავების, დისტრიბუციის ეტაპებზე რეგულირების ერთიანი პრინციპების განსაზღვრას. ტექნიკური რეგლამენტი ადგენს მოთხოვნებს:

ა) თაფლის მიმართ;

ბ) თაფლის მარკირებისა და ეტიკეტირების შესახებ;

გ) თაფლის ბაზარზე განთავსების პირობების შესახებ;

დ) მოთხოვნებს ბიზნეს ოპერატორის მიმართ;

ე) თაფლის შესაბამისობის კონტროლის პროცედურებს (საქართველოს მთავრობა 2014).

6. საქართველოს მთავრობის 2015 წლის 18 დეკემბრის N639 დადგენილება ტექნიკური რეგლამენტი - „ფარმაკოლოგიურად აქტიური ნივთიერებების, მათი კლასიფიკაციისა და ცხოველური წარმოშობის სურსათში ნარჩენების მაქსიმალური ზღვარის შესახებ“

7. საქართველოს მთავრობის 2016 წლის 18 იანვრის N22 დადგენილება ტექნიკური რეგლამენტის - ცოცხალ ცხოველებსა და ცხოველური წარმოშობის

სურსათში ზოგიერთი ნივთიერებისა (სუბსტანციის) და მათი ნარჩენების მონიტორინგის წესის დამტკიცების შესახებ;

8. საქართველოს მთავრობის 2007 წლის 30 მაისის N111 დადგენილება „სურსათისა და სურსათთან დაკავშირებული ტარის ჰიგიენური სერტიფიკატის გაცემის წესის დამტკიცების თაობაზე“

9. საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის N72 დადგენილება „ტექნიკური რეგლამენტის - სურსათთან დაკავშირებული ტარის სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დამტკიცების შესახებ“

10. საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის N441 დადგენილება ტექნიკური რეგლამენტის „სურსათის ეტიკეტირებისადმი დამატებითი მოთხოვნების შესახებ“ დამტკიცების თაობაზე

11. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2001 წლის 16 აგვისტოს ბრძანება #301/ნ „სასურსათო ნედლეულისა და კვების პროდუქტების ხარისხისა და უსაფრთხოების სანიტარიული წესებისა და ნორმების დამტკიცების შესახებ“

12. საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის #58 დადგენილება „სასმელი წყლის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“

13. საქართველოს მთავრობის 2010 წლის 31 დეკემბრის #430 დადგენილება „ცხოველთა, მეცხოველეობის ნედლეულისა და პროდუქტების ექსპორტის დროს გამოსაყენებელი ვეტერინარული სერტიფიკატების ფორმებისა და მათი გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“.

14. 2015 წლის 07 სექტემბრის საქართველოს მთავრობის №461 დადგენილება - „მეფუტკრეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ (საქართველოს მთავრობა 2015).

15. 2017 წლის 07 ივლისის საქართველოს მთავრობის №326 დადგენილება - „მეფუტკრეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ერთიანი საწარმოო უზრუნველყოფის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ (საქართველოს მთავრობა 2017).

16. 2018 წლის 18 მაისის საქართველოს მთავრობის №235 დადგენილება - „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისათვის მეფუტკრეობის მომთაბარეობის მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ (საქართველოს მთავრობა 2018).

აღსანიშნავია, რომ ზემოჩამოთვლილთაგან ბოლო სამი დადგენილება ფაქტობრივად მოქმედებდა მხოლოდ შესაბამის საბიუჯეტო წლებში.

ნორმატიული რეგულაციები ადგენს მკაფიო სახელმძღვანელო პრინციპებს მეფუტკრეობის პრაქტიკასთან, უსაფრთხოების სტანდარტებთან და ხარისხის კონტროლის ზომებთან დაკავშირებით. იგი ახორციელებს მკაცრ კონტროლს ქიმიკატებისა და პესტიციდების გამოყენების შესახებ, რაც უზრუნველყოფს ქართული თაფლის სისუფთავეს და ნამდვილობას. საკანონმდებლო ბაზა ასევე ხელს უწყობს გარემოს, რომელშიც თანამედროვე ტექნოლოგიები შეუფერხებლად არის ინტეგრირებული მეფუტკრეობის ტრადიციულ მეთოდებთან, რაც საბოლოოდ ზრდის პროდუქტიულობას და ხარისხს.

საკანონმდებლო ბაზა სცილდება ეროვნულ საზღვრებს და უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო სტანდარტებსა და პრაქტიკას. ეს ხელს უწყობს ქართული მეფუტკრეობის პროდუქტების ინტეგრაციას გლობალურ ბაზარზე, რომელიც ხასიათდება ხარისხის, უსაფრთხოებისა და ეთიკური სტანდარტების დაცვით. საკანონმდებლო ბაზა ხელს უწყობს საერთაშორისო თანამშრომლობის, სავაჭრო პარტნიორობისა და ცოდნის გაზიარების ხელშემწყობი გარემოს შექმნას, მეფუტკრეობის სექტორში საქართველოს გლობალურ ასპარეზზე წარმოჩენას.

საკანონმდებლო ბაზის ადეკვატურობის შეფასება მოითხოვს ყოვლისმომცველ ანალიზს. დღეს არსებული დინამიური სამართლებრივი გარემო გამოირჩევა აქტუალობით, ადაპტირებით და თანდათანობითი გაუმჯობესებით. სამართლებრივი სტრუქტურის ადაპტირება უზრუნველყოფს მის შესაბამისობას და ეფექტიანობას მეფუტკრეობის სექტორში წარმოქმნილი პრობლემების გადაჭრისა და შესაძლებლობების გამოყენების საქმეში.

კანონთან შესაბამისობის და აღსრულების მექანიზმები მნიშვნელოვანია სამართლებრივი ბაზის ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად. ინსტიტუციური

შესაძლებლობები, ტექნოლოგიური ინტეგრაცია და დაინტერესებული მხარეების თანამშრომლობა გადამწყვეტ როლს თამაშობს სამართლებრივი ნორმების დაცვაში და ასევე დარღვევების დროულ და ეფექტიან გამოსწორების უზრუნველსაყოფში. შესაბამისი სახელმწიფო პოლიტიკის და რეგულაციების შემუშავება და შემდგომში მისი ადეკვატური აღსრულება მნიშვნელოვან წინსვლას მოუტანს საქართველოში მეფუტკრეობის განვითარებას.

ეკონომიკური პერსპექტივიდან გამომდინარე, საკანონმდებლო ბაზა მნიშვნელოვან როლს ასრულებს ზრდის, ინოვაციებისა და კონკურენტუნარიანობის სტიმულირებაში. რაც ქმნის ხელსაყრელ გარემოს მეფუტკრეობის სექტორში ინვესტიციების მოზიდვის და მეწარმეობის გაძლიერებისათვის. ფინანსური წახალისების სახელმწიფო პროგრამები, საგადასახადო რეგულაციები და სუბსიდიები მიზნად უნდა ისახავდეს მეფუტკრეობის ეკონომიკური სიცოცხლისუნარიანობის გაძლიერებას.

ტექნოლოგიებისა და ინოვაციების სამართლებრივ ჩარჩოში მოქცევა მოითხოვს უფრო მოქნილ და ადვილად ადაპტირებად საკანონმდებლო გარემოს. რელევანტური სამართლებრივი ნორმები ხელს უწყობს თანამედროვე ტექნოლოგიების კვლევას, განვითარებას და ინტეგრაციას პროდუქტიულობის, ხარისხისა და გლობალური კონკურენტუნარიანობის გასაუმჯობესებლად.

თუმცა, პრობლემები რჩება. საკანონმდებლო ჩარჩოში არსებული ხარვეზები უნდა გადაიჭრას, განსაკუთრებით სიცხადის, დანერგვისა და გლობალური ბაზრის სწრაფად ცვალებად დინამიკებთან ადაპტაციის თვალსაზრისით. საკანონმდებლო ბაზის უწყვეტი ევოლუცია, გადამწყვეტი მნიშვნელობისაა საქართველოში გლობალურად კონკურენტუნარიანი, მდგრადი და ინოვაციური მეფუტკრეობის დარგის განვითარებისთვის.

ამდენად, მიმდინარე სამართლებრივი ჩარჩო, რომელიც დროთა განმავლობაში ჩამოყალიბდა ხანგრძლივი ევოლუციის შედეგად, თანამედროვე ეტაპზე მოითხოვს დაინტერესებული მხარეების: სახელმწიფო უწყებების, არასამთავრო სექტორის, მეფუტკრეების - აქტიური ჩართულობით ფართო განხილვებსა და შემდგომ სრულყოფას. გათვალისწინებულ უნდა იყოს გლობალური

ბაზრის მოთხოვნები, წარმატებული ქვეყნების უკვე მოქმედი მოდელები, აგრეთვე საქართველოსათვის დამახასიათებელი სპეციფიკა რათა შემუშავდეს მეფუტკრეობის მარეგულირებელი ნორმები რომელიც გაითვალისწინებს და დააბალანსებს ყველა სახის ინტერესებს: ეკონომიკურს, ეკოლოგიურს თუ სოციალურს. რომელიც შედეგად ხელს შეუწყობს ინოვაციური და გლობალურად კონკურენტუნარიანი მეფუტკრეობის დარგის განვითარებას. საკანონმდებლო ბაზის ამგვარი მუდმივი სრულყოფა გადამწყვეტი იქნება საქართველოში მეფუტკრეობის მომავალი წინსვლისათვის და იგი იქნება ეფექტიანი ინსტრუმენტი ქართული მეფუტკრეობის რეპუტაციის დაცვისა და გლობალურ ბაზარზე მისი ცნობადობის ამაღლების და წარმატებისათვის.

რეგიონული და ეროვნული ინსტიტუტების როლი საქართველოში მეფუტკრეობის სექტორში მნიშვნელოვანია დარგის მრავალმხრივი ასპექტების ხელშეწყობის, რეგულირებისა და გაძლიერებისათვის. ეს ინსტიტუტები ემსახურებიან როგორც სახელმწიფო პოლიტიკის ფორმულირებასა და განხორციელებას, კვლევასა და განვითარებას და დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობას. ისინი მნიშვნელოვან როლს ასრულებენ იმის უზრუნველსაყოფად, რომ მეფუტკრეობის სექტორი იყოს არა მხოლოდ ეკონომიკურად სიცოცხლისუნარიანი, არამედ ეკოლოგიურად მდგრადი და გლობალურად კონკურენტუნარიანი.

რეგიონული ინსტიტუტები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ეროვნული პოლიტიკის ადაპტირებაში საქართველოს სხვადასხვა რეგიონის სპეციფიკურ საჭიროებებთან, გამოწვევებთან და შესაძლებლობებთან. ისინი მნიშვნელოვან როლს ასრულებენ იმის უზრუნველსაყოფად, რომ თითოეული რეგიონის უნიკალური გარემოსდაცვითი, ეკონომიკური და სოციალური მახასიათებლები ყურადღებით იქნეს გათვალისწინებული პოლიტიკის შემუშავებისას. რეგიონული ინსტიტუტები ხელს უწყობენ მეფუტკრეობისადმი დეცენტრალიზებულ მიდგომას.

ეროვნულ ინსტიტუტებს ევალებათ ჩამოაყალიბონ ყოვლისმომცველი პოლიტიკა, რეგულაციები და გაიდლაინები, რომლებიც ადგენენ სტანდარტებს მეფუტკრეობის დარგისთვის მთელი ქვეყნის მასშტაბით. ისინი აერთიანებენ, ითვალისწინებენ რეგიონულ განსხვავებებს ერთიან ეროვნულ სტრატეგიაში,

რომელიც მიზნად ისახავს პროდუქტიულობის, ხარისხისა და კონკურენტუნარიანობის გაუმჯობესებას.

ეროვნული ინსტიტუტები ასევე არიან მეფუტკრეობის სფეროში კვლევებისა და განვითარების სათავეში. ისინი ხელმძღვანელობენ ინიციატივებს, რომლებიც მიზნად ისახავს დარგში თანამედროვე ტექნოლოგიების, ინოვაციური პრაქტიკისა და გლობალური სტანდარტების ინტეგრირებას. ამ ინსტიტუტების მიზანია საერთაშორისო თანამშრომლობის, ცოდნის გაცვლისა და ტექნოლოგიების გადაცემის კავშირების და შესაძლებლობების შესწავლა, რაც საქართველოს მეფუტკრეობის სექტორს ხელს შეუწყობს გლობალურ ასპარეზზე პოზიციონირებაში.

რეგიონულ და ეროვნულ ინსტიტუტებს შორის სინერგია ეფუძნება ინტეგრაციულ მიდგომას. მნიშვნელოვანია ერთობლივი ძალისხმევა დარგის განვითარების პოლიტიკის შემუშავებაში. რეგიონული ინსტიტუტები აწვდიან მათ ხელთარსებულ ინფორმაციას, მონაცემებს, ასევე ახდენენ უკუკავშირს ეროვნული მასშტაბის ორგანიზაციებთან, რაც მნიშვნელოვან როლს ასრულებს ეროვნული პოლიტიკის ჩამოყალიბებაში. თავის მხრივ, ეროვნული ინსტიტუტები რეგიონული ორგანიზაციებისათვის უზრუნველყოფენ იურიდიულ, ფინანსურ და ტექნიკურ მხარდაჭერას, რომელიც აუცილებელია ამ პოლიტიკის რეგიონულ დონეზე განსახორციელებლად.

ეკონომიკური ეფექტიანობის ზრდა უმნიშვნელოვანესია ამ ინსტიტუტების საქმიანობაში. მსგავსი ორგანიზაციები მთავარ როლს ასრულებენ მეფუტკრეობის ეკონომიკური სიცოცხლისუნარიანობის გაზრდაში. ფინანსებზე ხელმისაწვდომობის ხელშეწყობა, ბაზრის ხელმისაწვდომობა და შესაძლებლობების გაძლიერება, არის ამ ინსტიტუტების ძირითადი ყურადღების ქვეშ.

რეგიონული და ეროვნული ინსტიტუტებისათვის აგრეთვე ძირითადი მიმართულებაა მეფუტკრეებისათვის შესაძლებლობების შეთავაზება და უნარ-ჩვევების განვითარება. ისინი ხელს უწყობენ სასწავლო პროგრამებს, სემინარებს და ცოდნის გაზიარების პლატფორმებს, რომლებიც მიზნად ისახავს მეფუტკრეების უნარებისა და კომპეტენციის გაუმჯობესებას. ეს ინიციატივები შექმნილია

მეფუტკრეების მრავალფეროვანი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, ტრადიციული პრაქტიკოსობიდან თანამედროვე მეწარმეებამდე.

პოლიტიკისა და რეგულაციების შეფასება ასევე ამ ინსტიტუტების ერთერთი პასუხისმგებლობაა. ისინი ატარებენ პერიოდულ მიმოხილვებს და შეფასებებს პოლიტიკის ეფექტიანობის, შესაბამისობისა და ზემოქმედების დასადგენად. ეს შეფასებები მნიშვნელოვან როლს თამაშობს ხარვეზების, გამოწვევებისა და შესაძლებლობების იდენტიფიცირებაში, ხელს უწყობს პოლიტიკის გაუმჯობესებასა და ინოვაციას.

თანამედროვე გლობალურ გარემოში რეგიონული და ეროვნული ინსტიტუტების როლი საერთაშორისო ურთიერთობებსა და კავშირებში სულ უფრო და უფრო საკვანძო ხდება. ეს ინსტიტუტები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ საერთაშორისო სავაჭრო პოლიტიკის, რეგულაციებისა და პარტნიორობის განვითარებაში. ისინი ხელს უწყობენ ისეთი პირობების შექმნას, რომლითაც ქართული მეფუტკრეობის პროდუქცია შეძლებს საერთაშორისო ბაზრებზე გასვლას, გლობალურ სტანდარტების და მოლოდინების დაკმაყოფილებას.

ამ ინსტიტუტების ადაპტაციური ბუნება, ხაზს უსვამს მათ სურვილს განვითარდნენ გლობალური ტენდენციების, გამოწვევებისა და შესაძლებლობების შესაბამისად. ისინი მოქნილები, ინოვაციური და წინდახედული არიან, რაც უზრუნველყოფს საქართველოს მეფუტკრეობის სექტორის მზადყოფნას მომავლისთვის.

დასასრულს, რეგიონული და ეროვნული ინსტიტუტების როლი ნათელი ხდება მათი მრავალმხრივი მიზნებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე. ისინი პასუხისმგებელი და თანამონაწილენი არიან დარგის განვითარების პოლიტიკის შემუშავებისას და განხორციელებისას; აგრეთვე ეკონომიკურ განვითარებაზე, გარემოს მდგრადობასა და გლობალურ კონკურენტუნარიანობაზე.

საქართველოს მეფუტკრეობის სექტორის დაინტერესებული მხარეები მოიცავს: არასამთავრობო ორგანიზაციებს, კერძო სექტორსა და სამთავრობო უწყებებს. დაინტერესებული მხარეების თითოეული ჯგუფი, თავისი განსხვავებული, მაგრამ

ურთიერთდამოკიდებული ფუნქციებით, ხელს უწყობს მეფუტკრეობის დარგის ეკონომიკური, გარემოსდაცვითი და სოციალური სტრუქტურის ჩამოყალიბებას.

არასამთავრობო ორგანიზაციები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ მეფუტკრეობის და ფართო საზოგადოებრივი ინტერესების ადვოკატირებაში, განათლებასა და კვლევაში. ეს ორგანიზაციები დაკავებული არიან მეფუტკრეობის მდგრადი პრაქტიკის პოპულარიზაციით, ბიომრავალფეროვნების გაუმჯობესებისა და დარგის გარემოსდაცვითი და ეკონომიკური მნიშვნელობის შესახებ ცნობიერების ამაღლებით. ისინი წარმოადგენენ ერთგვარ დამაკავშირებელ რგოლს მეფუტკრეობასა და პოლიტიკის შემქმნელებს შორის, რაც უზრუნველყოფს მეფუტკრეთა შეხედულებებისა და ინტერესების გათვალისწინებას დარგის პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელებისას (Yigezu Wendimu 2021, 21).

არასამთავრობო ორგანიზაციების როლი მნიშვნელოვანია საერთაშორისო თანამშრომლობაში, ცოდნის გაზიარებასა და შესაძლებლობების განვითარებაში. ისინი ხელს უწყობენ პარტნიორობას, რომელიც ამდიდრებს საქართველოს მეფუტკრეობის სექტორს გლობალური ცოდნით, ტექნოლოგიებითა და პრაქტიკით. სწავლისა და ინოვაციების გარემოს შექმნით, არასამთავრობო ორგანიზაციები ხელს უწყობენ მეფუტკრეობის პროდუქტების ხარისხის, პროდუქტიულობისა და კონკურენტუნარიანობის გაუმჯობესებას როგორც ეროვნულ, ასევე საერთაშორისო დონეზე.

კერძო სექტორში დამატებით ჩნდება სხვა ფუნქციები. კომპანიები და მეწარმეები მთავარ როლს ასრულებენ ეკონომიკური ზრდის, ინოვაციებისა და ბაზარზე წვდომის მამოძრავებელ საქმეში. კერძო სექტორის როლი გულისხმობს ინვესტიციებს ტექნოლოგიებში, კვლევებსა და ბაზრის განვითარებაში. ეს ის სტიმულებია, რომლებიც მეფუტკრეობის დარგს მომგებიან ბაზრებზე უბიძგებს, რაც უზრუნველყოფს, ქართულმა თაფლმა და ფუტკრის სხვა პროდუქტებმა დაიკავონ საკუთარი ნიშა კონკურენტულ გლობალურ გარემოში.

კერძო სექტორის ადაპტირება და მდგრადობა საჭიროა ისეთი გამოწვევების წინაშე, როგორცაა კლიმატის ცვლილება, ბაზრის დინამიკა და მარეგულირებელი ცვლილებები, მეფუტკრეობის სექტორის კომპანიები და მეწარმეები მუდმივად

ახდენენ ინოვაციებს და ადაპტირდებიან. მათი როლი ღირებულების შექმნაში, სამუშაო ადგილების შექმნასა და შემოსავლის გაზრდაში ცენტრალურია საქართველოში მეფუტკრეობის დარგის ეკონომიკური აღმავლობისთვის.

სამთავრობო უწყებები მრავალმხრივ როლს ასრულებენ. ისინი არიან პოლიტიკის ფორმულირების, რეგულირებისა და აღსრულების მთავარი სუბიექტები. მთავრობა უზრუნველყოფს, რომ სამართლებრივი და მარეგულირებელი ჩარჩო ხელს უწყობდეს მეფუტკრეობის დარგის ზრდას, მდგრადობასა და კონკურენტუნარიანობას. ისინი ცდილობენ ბალანსის დაცვას მეფუტკრეთა ეკონომიკურ მისწრაფებებს, გარემოს დაცვასა და სოციალურ კეთილდღეობას შორის.

დეტალური განხილვის საგანია მთავრობის როლი საერთაშორისო ვაჭრობასა და პარტნიორობაში. სამთავრობო უწყებები აწარმოებენ მოლაპარაკებებს სავაჭრო ხელშეკრულებებზე, ნერგავენ საერთაშორისო რეგულაციებს ეროვნულ დონეზე და ავითარებენ დიპლომატიურ ურთიერთობებს, რაც აფართოებს ქართული ფუტკრის პროდუქტების გლობალურ პერსპექტივებს. ისინი უზრუნველყოფენ სამართლებრივი და მარეგულირებელი ჩარჩოს საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობას, რაც ხელს უწყობს ქართული თაფლის ცნობადობასა და წარმატებას მსოფლიო ბაზრებზე.

არასამთავრობო ორგანიზაციებს, კერძო სექტორსა და მთავრობას შორის ურთიერთქმედება ხასიათდება თანამშრომლობით, პარტნიორობით და სინერგიით. დაინტერესებულ მხარეთა თითოეულ ჯგუფს აქვს საკუთარი ფუნქციები და მიზნები. არასამთავრობო ორგანიზაციები ახდენენ ფართო მოსახლეობის ინტერესების ადვოკატირებას, მათ ინფორმირებულობას და ჩართულობას; კერძო სექტორი უზრუნველყოფს ინოვაციების, ინვესტიციების და ბაზრის განვითარებას; ხოლო მთავრობა უზრუნველყოფს სახელმწიფო რეგულირებას, პოლიტიკურ ხელმძღვანელობას და საერთაშორისო ინტეგრაციას.

ერთობლივი ძალისხმევა გადამწყვეტია ისეთი გამოწვევების მოსაგვარებლად, როგორცაა კლიმატის ცვლილება, ბაზრის დინამიკა და მარეგულირებელი სირთულეები. დაინტერესებული მხარეების ურთიერთკავშირი ხასიათდება უწყვეტი ევოლუციით, ადაპტაციით და გაუმჯობესებით მეფუტკრეობის სექტორის მრავალმხრივი საჭიროებების დასაკმაყოფილებლად (Bhujel et al. 2022, 99–100).

ამდენად, დაინტერესებული მხარეების ანალიზი ასახავს მრავალფეროვან, დინამიურ და ინტეგრირებულ გარემოს: არასამთავრობო ორგანიზაციები, კერძო სექტორი და სამთავრობო უწყებები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ქართული მეფუტკრეობის დარგის განვითარებაში. მართალია, მათი როლები განსხვავებულია, თუმცა ამავე დროს ურთიერთდამოკიდებული და სინერგიულია. მეფუტკრეობის მომავალი საქართველოში დამოკიდებულია ამ დაინტერესებულ მხარეებს შორის თანამშრომლობის, ინოვაციების დანერგვისა და ადაპტაციის უნარებზე.

საქართველოში მეფუტკრეობის წარმატებულ საექსპორტო დარგად ფორმირებისათვის საჭიროა სწორი ინსტიტუციური მოწყობა. ამისათვის გასათვალისწინებელია დარგის მრავალმხრივი ბუნება, დინამიურობა და ინოვაციურ მიდგომები, რომლებიც საჭიროა ეკონომიკური ზრდისათვის, მდგრადობის გასაძლიერებლად და სექტორის კონკურენტულად პოზიციონირებისთვის გლობალურ ასპარეზზე. ეს კი დაფუძნებულია არასამთავრობო ორგანიზაციების, კერძო სექტორის ორგანიზაციებისა და სამთავრობო უწყებების ერთობლივ ძალისხმევაზე; ამგვარად, საჭიროა პოლიტიკის, პრაქტიკისა და პარტნიორობის ჰარმონიული კომბინაცია.

აღსანიშნავია, რომ ბრაზილიაში სახელმწიფოს მხრიდან წარმატებული ინსტიტუციური რეფორმა მიზნად ისახავდა ფუტკრის პროდუქტების ხარისხისა და უსაფრთხოების სტანდარტების გაუმჯობესებას. ეს ინიციატივა, რომელიც ხასიათდება თანამედროვე ტექნოლოგიების ინტეგრირებით და საერთაშორისო სტანდარტების დანერგვით, შესაძლოა სასარგებლო იყოს აგრეთვე ქართული თაფლის გლობალური მიმზიდველობის გაზრდისათვის.

აფოგნონი აღნიშნავს, რომ არასამთავრობო ორგანიზაციებსა და სამთავრობო უწყებების ერთობლივ ინიციატივაზეა დამოკიდებული მეფუტკრეობის გარემოსდაცვითი მდგრადობა. კვლევა ადასტურებს რომ მათ კოორდინირებულ მოქმედებას აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა ეკონომიკურ ეფექტიანობასა და გარემოს დაცვას შორის ბალანსის მიღწევაში (Affognon et al. 2015, 96–97).

უმნიშვნელოვანესია კერძო სექტორის ორგანიზაციებისა და სახელმწიფო უწყებების ერთობლივი ძალისხმევა მეფუტკრეობის უნარების, ცოდნისა და

კომპეტენციის გასაუმჯობესებლად. არაერთი კვლევა ცხადყოფს, რომ სასწავლო პროგრამებით, პრაქტიკული სწავლებით და ცოდნის გაზიარებით, გააუმჯობესდა მეფუტკრეობის პროდუქციის ხარისხი და კონკურენტუნარიანობა (Manbhar Haldhar et al. 2023, 1–3).

კოფლერის კვლევის შესაბამისად, რომელიც აღწერს მთავრობის ინიციატივას, ხელი შეუწყოს ინოვაციებისა და ახალი ტექნოლოგიების პრაქტიკაში დანერგვას. განხორციელდა ინვესტიციები კვლევით დაწესებულებებში, დამყარდა მჭიდრო თანამშრომლობა საერთაშორისო კვლევით ორგანიზაციებთან და საბოლოოდ ჩამოყალიბდა კვლევაზე დაფუძნებული სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტი დარგის განვითარების მიზნით (Koffler et al. 2021, 959).

დარგის განვითარებისათვის ასევე ძალიან მნიშვნელოვანია მეფუტკრეობის ადეკვატური მარეგულირებელი ჩარჩოს არსებობა. მისი მუდმივად განხილვა, შეფასება და დახვეწა, რათა ის შეესაბამებოდეს ახალ ტენდენციებს, გამოწვევებსა და შესაძლებლობებს.

მეფუტკრეობის პროდუქტების ბაზრის განვითარებისათვის ცენტრალური ადგილი უკავია კერძო სექტორის ინიციატივებს. აღნიშნული ინიციატივები უნდა იყოს მიმართული ქართული მეფუტკრეობის პროდუქტებისათვის გასაღების ბაზრებზე ხელმისაწვდომობის ზრდაზე. სწორი ბრენდინგით, მარკეტინგით და ხარისხის გაუმჯობესებით უნდა გაძლიერდეს ქართული თაფლის პოზიცია შიდა და საერთაშორისო ბაზარზე.

ამდენად, საქართველოს მეფუტკრეობის სექტორში ინსტიტუციური ინტერვენციები მრავალმხრივი, დინამიური და ინტეგრაციული ხასიათისაა. საჭიროა ერთგვარი ჰარმონია სახელმწიფო პოლიტიკას, საზოგადოებრივ ინტერესებსა და მეწარმეების მისწრაფებებს შორის. თითოეული ინტერვენცია, უნიკალური თავისი მიდგომით და ზემოქმედებით, ხელს უწყობს ინოვაციების, ადაპტაციისა და ტრანსფორმაციის პოტენციალს, რომელიც ახასიათებს საქართველოში მეფუტკრეობას.

მიუხედავად საქართველოში მეფუტკრეობის სექტორის ინსტიტუციურ ჩარჩოს მნიშვნელოვანი პროგრესისა, რჩება გარკვეული პრობლემები და ხარვეზები,

რაც უარყოფით გავლენას ახდენს დარგის განვითარებასა და მდგრადობაზე. ეს პრობლემები მრავალმხრივია და გამომდინარეობს მარეგულირებელი, ტექნოლოგიური, ფინანსური და გარემოსდაცვითი სფეროებიდან.

მარეგულირებელი ნორმების ჩარჩო დგას საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის და არსებული ნორმების თანმიმდევრულად აღსრულების გამოწვევების წინაშე. მიღებული პოლიტიკის განხორციელებას ხშირად აბრკოლებს შეზღუდული რესურსები, არარელევანტური შესაძლებლობები და მეფუტკრეობის ეკოსისტემის დინამიური ბუნება.

ტექნოლოგიური განვითარება ხასიათდება დიქტომიით ტრადიციულ პრაქტიკასა და თანამედროვე ინოვაციებს შორის. მიუხედავად იმისა, რომ ტექნოლოგიების დანერგვა იწვევს მაღალ პროდუქტიულობასა და ხარისხის ზრდას, ხელმისაწვდომობასთან და ადაპტირებასთან დაკავშირებული ბარიერები ხელს უშლის მეფუტკრეობის პრაქტიკაში თანამედროვე ტექნოლოგიების ინტეგრაციის პროცესს.

მეფუტკრეობის დარგის ეკონომიკური პოტენციალის მიუხედავად, ფინანსებზე ხელმისაწვდომობა რჩება მნიშვნელოვან ბარიერად ბევრი მეფუტკრისათვის. სპეციალიზებული ფინანსური პროდუქტების ნაკლებობა, მეფუტკრეთა მიერ არსებული ფინანსური მექანიზმების შეზღუდული ცოდნა და მეფუტკრეობასთან დაკავშირებული რისკები აფერხებს ინვესტიციების მოზიდვასა და დარგის გაფართოებას.

გარემოსდაცვითი საკითხები ქმნის მნიშვნელოვან გამოწვევებს. კლიმატის ცვლილების, ბიომრავალფეროვნების განადგურების საფრთხე და გარემოს დაბინძურება მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის ფუტკრის ოჯახების ჯანმრთელობასა და პროდუქტიულობას. გარემოზე ზემოქმედების სტრატეგიები ხშირად ვერ ხორციელდება შეზღუდული რესურსების, ცოდნაში ხარვეზების და გარემოს ცვლილებების არაპროგნოზირებადი ხასიათის გამო (Šerevičienė, Zigmontienė, & Paliulis 2022, 9).

ადამიანური კაპიტალის როლი კრიტიკულად მნიშვნელოვანია მეფუტკრეობის განვითარებისათვის. შესაბამისი უნარების ნაკლებობა, პროფესიულ

სწავლებაზე შეზღუდული ხელმისაწვდომობა და მეფუტკრეების მაღალი საშუალო ასაკი გამოვლინდა, როგორც დარგის ზრდის შემაფერხებელი ფაქტორები. აღსანიშნავია შესაძლებლობების გაძლიერების, ცოდნის გადაცემის და მეფუტკრეობაში ახალგაზრდა თაობების ჩართულობის აუცილებლობა.

მეფუტკრეობის პროდუქტებზე გლობალური მოთხოვნის მიუხედავად, ქართული თაფლისა და მეფუტკრეობის სხვა პროდუქტების წინაშე დგას გამოწვევები, რომლებიც დაკავშირებულია ბაზარზე შესვლასთან, კონკურენციასთან და ხარისხისა და უსაფრთხოების საერთაშორისო სტანდარტების დაკმაყოფილებასთან. აუცილებელია სწორი მარკეტინგული სტრატეგიები, ეფექტური ბრენდინგი და ხარისხის გაუმჯობესება ამ ბარიერების დასაძლევად.

თანამედროვე გადამამუშავებელი საშუალებების, შესანახი ინფრასტრუქტურისა და ლოგისტიკის ნაკლებობა ასევე აფერხებს ფუტკრის პროდუქტების ღირებულების ზრდას; ამ პროდუქტების შენახვას და ტრანსპორტირებას. მეფუტკრეობის დარგის მხარდამჭერი ინფრასტრუქტურის განვითარებაში ინვესტიციას აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა ღირებულების ჯაჭვის გასაუმჯობესებლად, მეფუტკრეობის პროდუქტების მიღების შემდგომი დანაკარგების შესამცირებლად და ბაზრებზე წვდომის გასაუმჯობესებლად.

მნიშვნელოვანია სინერგია სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებს შორის. ეფექტიანი თანამშროლობისათვის საჭიროა გაძლიერებული კოორდინაცია, ინტეგრაცია და პარტნიორობა არასამთავრობო ორგანიზაციებს, კერძო სექტორის ორგანიზაციებსა და სამთავრობო უწყებებს შორის. არაეფექტიანი მიდგომები, სირთულეები კომუნიკაციაში და ერთმანეთთან შეუთანხმებელი ინიციატივები ხშირად ამცირებს დაინტერესებულ მხარეების ინტერვენციების შედეგიანობას.

მეფუტკრეობის დინამიური ბუნება ითხოვს ადაპტირებად და მოქნილ ინსტიტუციური ჩარჩოებს. დარგი ხასიათდება ცვალებადი ტენდენციებით, ახალი გამოწვევებითა და გლობალური მოვლენებით. ამიტომ ხისტი, ბიუროკრატიული, დროში გაწელილი გადაწყვეტილებები ხელს უშლის დროულ ადაპტაციას გაჩენილ საჭიროებებთან და შესაძლებლობებთან.

თითოეული ეს გამოწვევა, რა თქმა უნდა გარკვეულ დაბრკოლებებს ქმნის მეფუტკრეობის განვითარებისათვის. თუმცა ისინი ამავე დროს წარმოადგენენ გაუმჯობესების, ინოვაციისა და ზრდის შესაძლებლობას. ამ გამოწვევების გადაჭრა მოითხოვს ყოვლისმომცველ, ინტეგრირებულ, თანამშრომლობით მიდგომას, რომელიც დაეფუძნება ყველა დაინტერესებული მხარის ძლიერ მხარეებს, რესურსებსა და შესაძლებლობებს.

ამდენად, ზემოგანხილული გამოწვევების და ხარვეზების ანალიზი მნიშვნელოვანია საქართველოში მეფუტკრეობის დარგის ინსტიტუციური ჩარჩოს შეფასების, გაუმჯობესებისა და ამ მიმართულებით ინოვაციების შესაქმნელად. გამოწვევების დაძლევა შესაძლებელია ერთობლივი ძალისხმევით, ინოვაციური სახელმწიფო პოლიტიკის, ტექნოლოგიების ინტეგრაციის, ფინანსური გამჭვირვალობის, გარემოსდაცვითი მდგრადობისა და გლობალური კონკურენტუნარიანობის მეშვეობით. ყოველი გამოწვევა მჭიდროდაა დაკავშირებული ერთმანეთთან და ხაზს უსვამს ეკოსისტემის სირთულეს, რომელიც მოითხოვს მრავალმხრივ, ადაპტირებულ და ინტეგრაციულ გადაწყვეტილებებს ქართული მეფუტკრეობის დარგის წარმატებით განვითარებისათვის.

## I თავის დასკვნები

პირველი თავი მოიცავდა იმ თეორიულ-მეთოდოლოგიურ საფუძვლებს, რომლებიც მნიშვნელოვანია საქართველოში მეფუტკრეობის განვითარებისთვის. კვლევის შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ:

1. ისტორიულმა ანალიზმა გამოავლინა მეფუტკრეობის მრავალსაუკუნოვანი ფესვები საქართველოში. კიდევ ერთხელ გამახვილდა ყურადღება ქართული მთის რუხი ფუტკრის უნიკალურობაზე, როგორც მნიშვნელოვან ფაქტორზე, რომელიც ხელს უწყობს ქართული ფუტკრის პროდუქტების გამორჩეულობას და კონკურენტულ უპირატესობას მსოფლიო ბაზარზე. სხვა სოფლის მეურნეობის სექტორებთან შედარებითმა ანალიზმა გვიჩვენა

მეფუტკრეობის მნიშვნელოვანი ეკონომიკური ღირებულება და მისი როლი ქვეყნის მდგრად განვითარებაში.

2. ხარჯ-სარგებლიანობის ანალიზმა და სექტორთაშორისი კავშირის კვლევებმა ცხადყო მეფუტკრეობის ეკონომიკური სიცოცხლისუნარიანობა. სახელმწიფო მხარდაჭერის ინსტიტუციური ღონისძიებები, პროფესიული სასწავლო ინიციატივები და მეფუტკრეობაზე მორგებული ფინანსური ინსტრუმენტები განისაზღვრა, როგორც მნიშვნელოვანი კატალიზატორები მეფუტკრეობის პროდუქტიულობის და ზოგადად დარგის ეფექტიანობის ასამაღლებლად. თუმცა, არსებობს გარკვეული გამოწვევები და პრობლემებიც, რაც მოითხოვს უფრო პროაქტიულ სტრატეგიულ ინტერვენციებს, ხელშემწყობი ფაქტორების სრულად ოპტიმიზაციისთვის.

3. საქართველოში მეფუტკრეობის სამართლებრივი და ინსტიტუციური ჩარჩოს მიმოხილვამ გამოავლინა კარგად სტრუქტურირებული, თუმცა ჯერ კიდევ განვითარების ეტაპზე არსებული მარეგულირებელი გარემო. დაინტერესებული მხარეების ანალიზმა დაადასტურა ერთობლივი ძალისხმევის მნიშვნელობა არასამთავრობო ორგანიზაციებს, კერძო სექტორსა და სამთავრობო უწყებებს შორის. ხაზი გაესვა სფეროებს, სადაც სინერგია შეიძლება გაძლიერდეს მეფუტკრეობის მარეგულირებელი და მხარდაჭერის ეკოსისტემის გასაძლიერებლად.

ამდენად, საქართველოში მეფუტკრეობის განვითარების თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები მოიცავს, ზოგადად, მეფუტკრეობის მნიშვნელობას ქვეყნის ეკონომიკაში, მისი ეფექტიანობის განმსაზღვრელი მრავალი ფაქტორის ანალიზს და მეფუტკრეობის სახელმწიფო რეგულირების, ინსტიტუციური ჩარჩოს მიმოხილვას. მოცემული თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები მნიშვნელოვანია მეორე თავში ასახული მეფუტკრეობის ეკონომიკური პრობლემების გადასაჭრელად, რათა მაქსიმალურად ეფექტიანად განხორციელდეს იმ შესაძლებლობების გამოყენება, რაც წარმოდგენილია ნაშრომის ბოლო ნაწილში. კვლევის საბოლოო მიზანია საქართველოში მეფუტკრეობის როგორც საექსპორტო დარგის პოტენციალის გაძლიერება, მისი წვლილის ზრდა ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებასა და ზოგადად მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებაში.

## თავი II. მეფუტკრეობის განვითარების მდგომარეობა და ეკონომიკური პრობლემები

წინამდებარე თავში მოცემულია საქართველოში მეფუტკრეობის დარგის ამჟამინდელი მდგომარეობა და მასთან დაკავშირებული ეკონომიკური გამოწვევების საფუძვლიანი ანალიზი, რომელიც დაფუძნებულია რაოდენობრივი და ხარისხობრივი მონაცემების შეფასებაზე. აღნიშნული უზრუნველყოფს დარგთან დაკავშირებული არსებული პრობლემებისა და თანდაყოლილი შეზღუდვების დადგენას.

ქვეთავში 2.1 - **მეფუტკრეობის განვითარების მსოფლიო ტენდენციები და კონკურენცია** - წარმოდგენილია მეფუტკრეობის მდგომარეობა გლობალურ კონტექსტში, შეფასებულია თანამედროვე ტენდენციები და საქართველოს პოზიციონირება საერთაშორისო კონკურენციაში. აგრეთვე, ამ ქვეთავში მოყვანილია გლობალურ ბაზარზე არსებული ძირითადი კონკურენტების, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ბარიერების დეტალური ანალიზი. ბაზარზე წარმატებული პოზიციონირების მქონე ქვეყნების შემთხვევების შესწავლა საშუალებას გვაძლევს შევაფასოთ პერსპექტივა, რომელიც წარმოაჩენს საქართველოს პოტენციალს და გამოწვევებს საერთაშორისო ასპარეზზე.

ქვეთავი 2.2 **ნატურალური თაფლის წარმოების დღევანდელი მდგომარეობა საქართველოში** ასახავს საქართველოში მეფუტკრეობის ამჟამინდელი მდგომარეობის ანალიზს. წარმოების ტენდენციების გამოსაკვეთად, გაანალიზებულია არსებული სტატისტიკა. შედარებულია საქართველოს მეფუტკრეობის დარგის საექსპორტო მახასიათებლები მეზობელ ქვეყნებთან, ნატურალური თაფლის წარმოების შედარებითი უპირატესობის (RCA), საექსპორტო კონკურენტუნარიანობის (ECI) და ექსპორტის დივერსიფიკაციის (EDI) ინდექსების მიხედვით. დაავადების გავლენის, კლიმატის ცვლილების როლის და კონკრეტული შემთხვევების შესწავლა გამოყენებულია პრაქტიკული პერსპექტივის დასანახად. აგრეთვე განხილულია გარემოსდაცვითი საკითხები, ფუტკრის პროდუქტების წარმოებაზე მათი გავლენის დასადგენად.

ქვეთავი 2.3 მეფუტკრეობის ეკონომიკური პრობლემები, ექსპორტის შემზღუდველი ფაქტორები, ეხება მეფუტკრეობის სპეციფიკურ ეკონომიკურ გამოწვევებს, დეტალურად აღწერს სექტორის გაფართოების ფინანსურ, ტექნოლოგიურ და ინფრასტრუქტურულ ბარიერებს. მთავრობის პოლიტიკის, ბაზრის აღქმისა და მეფუტკრეობის გადამზადების ხარვეზების კრიტიკული შეფასება უზრუნველყოფს მეფუტკრეობის წინაშე მდგარი მრავალმხრივი გამოწვევების და მისი, როგორც საექსპორტო დარგის პოტენციური ზრდის შემაფერხებელი ფაქტორების გაგებას.

## 2.1 მეფუტკრეობის განვითარების მსოფლიო ტენდენციები და კონკურენცია

მეფუტკრეობის გლობალურ ინდუსტრიაზე გავლენას ახდენს ტექნოლოგიური, გარემოსდაცვითი და საბაზრო ტენდენციები, რომლებიც აყალიბებენ მის ამჟამინდელ მდგომარეობას და მომავალი განვითარების გზას. ტექნოლოგიური ინოვაციები მეფუტკრეობაში ქმნის დარგის ეფექტიანობის მკვეთრად ზრდის პოტენციალს. . ციფრული ტექნოლოგიების გამოყენება აადვილებს გარემოსდაცვითი სტრესების რეალურ დროში მონიტორინგს, რაც იძლევა დროული ზომების მიღების საშუალებას, დაავადებისა და მავნებლების ზემოქმედების შესამსუბუქებლად. ტექნოლოგიური ინტეგრაცია აუმჯობესებს მეფუტკრეობის ეფექტიანობასა და პროდუქტიულობას, რაც ხელს უწყობს მის მდგრადობას ცვალებადი გამოწვევების წინაშე (Zacepins et al. 2015, 60–61).

ფუტკრის პროდუქტებზე ბაზრის მოთხოვნა განისაზღვრება მომხმარებელთა ინფორმირებულობით ისეთი პროდუქტების კვებითი და თერაპიული ღირებულებების შესახებ, როგორცაა თაფლი, დინდგელი და ფუტკრის სადედე რძე. მომხმარებელთა გაზრდილი ცნობიერებიდან გამომდინარე, იზრდება ორგანულ ფუტკრის პროდუქტებზე მოთხოვნა. გლობალურ ბაზარზე გავლენას ასევე ახდენს მარეგულირებელი სტანდარტები, რომლებიც არეგულირებს ფუტკრის პროდუქტების ხარისხს, უსაფრთხოებას და წარმოების ეთიკურ ასპექტებს (Palmieri et al. 2022, 1–2).

გლობალური მეფუტკრეობის დარგისთვის გარემოსდაცვითი ცვლილებები, წარმოადგენს მრავალმხრივ გამოწვევებს და შესაძლებლობებს. კლიმატის ცვლილების ზემოქმედება, მათ შორის ნალექის ცვლილებები და ექსტრემალური ამინდის სიხშირის მატება, გავლენას ახდენს ფუტკრის ბუნებრივ საარსებო გარემოსა და საკვების ბაზაზე. ადაპტაციის სტრატეგიები, მათ შორის საარსებო გარემოს დაცვა და კლიმატისადმი მგრძობიარე მეფუტკრეობის პრაქტიკის ინტეგრირება, მნიშვნელოვან როლს თამაშობს ფუტკრის პოპულაციების მდგრადობის გაუმჯობესებაში. (Kozyaychev & Tkhorikov 2018, 251–52).

საერთაშორისო ბაზარზე ასევე მნიშვნელოვანია ფუტკრის პროდუქტებით ვაჭრობის მარეგულირებელი პოლიტიკა, რომელიც გავლენას ახდენს ბაზრის ხელმისაწვდომობასა და კონკურენტუნარიანობაზე.

გლობალური ტენდენციების ანალიზი, ხაზს უსვამს ერთობლივი ძალისხმევის მნიშვნელობას, მეფუტკრეობის დარგის წინაშე მდგარი მრავალმხრივი გამოწვევების გადასაჭრელად. დაინტერესებულ მხარეების, მათ შორის მეფუტკრეების, პოლიტიკის შემქმნელების, ეკოლოგების და მკვლევარების ჩართულობა გადამწყვეტია ჰოლისტიკური სტრატეგიების შემუშავებისთვის, რომლებიც დააბალანსებენ გარემოს დაცვას, ეკონომიკურ ეფექტიანობას და საზოგადოების საჭიროებებს (Arnold 2018, 45–47; Labe 2017, 83–84).

მოსალოდნელია, რომ ტექნოლოგიური ინოვაცია, ხელოვნური ინტელექტის, Machine learning (ML)-ის და მონაცემთა ანალიტიკის მეშვეობით ხელს შეუწყობს დარგის განვითარებას. რაც უზრუნველყოფს გაუმჯობესებული მონიტორინგის, მართვისა და გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობებს. ამ ტექნოლოგიებს შეუძლია დაეხმაროს მეფუტკრეობის საქმიანობის ოპტიმიზაციას, წახალისოს ინოვაციები ფუტკრის ჯანმრთელობის მართვაში, თაფლის მოპოვებასა და გადამუშავებაში. ბაზრის ტენდენციები ყალიბდება მომხმარებელთა პრეფერენციების, ტექნოლოგიური ინოვაციების, გარემოსდაცვითი დინამიკისა და რეგულირების შესაბამისად. მეფუტკრეობის მრავალფეროვან პროდუქტზე მოთხოვნის ზრდა, წარმოებასა და მარკეტინგში ტექნოლოგიების ინტეგრაციასთან ერთად, გავლენას ახდენს ბაზრის სტრუქტურებზე, კონკურენციასა და ვაჭრობის დინამიკაზე (Hung 2020, 35; Kotovs & Zacepins 2023, 799–800).

ამდენად, მეფუტკრეობის გლობალური ტენდენციების ანალიზი ხაზს უსვამს ტექნოლოგიური, საბაზრო, გარემო და პოლიტიკური ფაქტორების დინამიურ ურთიერთქმედებას. დარგში არსებული გამოწვევების მოგვარება და შესაძლებლობების გამოყენება მოითხოვს ინტეგრირებულ, ადაპტირებულ და მომავალზე ორიენტირებულ მიდგომას. ტექნოლოგიური ინოვაციების ათვისებისათვის, ბაზრის მოთხოვნებზე რეაგირებისათვის, გარემოზე ზემოქმედების, პოლიტიკისა და მარეგულირებელი ჩარჩოების სრულყოფისათვის ერთობლივი

ძალისხმევა გადამწყვეტია, რათა ქართული მეფუტკრეობის დარგმა შეინარჩუნოს მდგრადობა და გახდეს უფრო კონკურენტუნარიანი საერთაშორისო ბაზარზე.

მეფუტკრეობის გლობალური ბაზარი უაღრესად კონკურენტუნარიანია: ქვეყნები ატარებენ სტრატეგიულ მიდგომებს წარმოების ოპტიმიზაციის, ხარისხის გასაუმჯობესებლად, ბაზრის დაფარვის, გაფართოებისა და მდგრადობის უზრუნველსაყოფად.

ისეთი ქვეყნები, როგორებიცაა ჩინეთი, ბრაზილია და შეერთებული შტატები, გამორჩეული კონკურენტები არიან, რომლებიც იყენებენ სხვადასხვა სტრატეგიებს მეფუტკრეობის გლობალურ ბაზარზე თავიანთი პოზიციის გასამდიერებლად (ბაიაშვილი 2018, 38–41). მაგალითად, ჩინეთი, იყენებს მეფუტკრეობის უზარმაზარ რესურსს, თანამედროვე ტექნოლოგიას და ინოვაციურ მეთოდებს წარმოების ოპტიმიზაციისთვის. ქვეყნის აქცენტი, ტექნოლოგიურ და მეფუტკრეობის თანამედროვე ტექნიკის ინტეგრაციაზე ხაზს უსვამს მის სტრატეგიას ეფექტიანობისა და პროდუქტიულობის გასაუმჯობესებლად. ხარისხის გაუმჯობესება არის კონკურენტული სტრატეგიის ცენტრალური პრინციპი ისეთი ქვეყნებისთვის, როგორიცაა ახალი ზელანდია და ავსტრალია. ახალი ზელანდიური, მანუკას თაფლი ცნობილია თავისი ხარისხით, რაც განპირობებულია ხარისხის მკაცრი კონტროლით, სერტიფიცირებისა და სტანდარტიზაციის მეთოდებით. ქვეყნის ფოკუსირება მაღალი ხარისხის, ორგანული და ეთიკურად წარმოებული ფუტკრის პროდუქტების წარმოებაზე მნიშვნელოვან როლს თამაშობს გლობალურ ბაზარზე მის მიმზიდველობაში.

ძირითადი კონკურენტების ბაზრის გაფართოების სტრატეგიები განსხვავებულია. მაგალითად, შეერთებული შტატები იყენებს ფუტკრის პროდუქტების დივერსიფიკაციას და საერთაშორისო მარკეტინგს. ბრენდინგი და ბაზრის დიფერენციაცია მათთვის მნიშვნელოვანია, რადგან აშშ იყენებს თავის რეპუტაციას ხარისხისა და ინოვაციების თვალსაზრისით, რათა გაამდიერონ ბაზარზე პოზიციონირება (Tubene et al. 2023, 47–48).

მდგრადობა, ინტეგრირებულია წამყვანი კონკურენტების საბაზრო სტრატეგიებში. ბრაზილია, რომელიც ცნობილია თავისი ბიომრავალფეროვნებით,

ფუტურის პოპულაციებისა და ეკოსისტემების შესანარჩუნებლად განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებს მეფუტკრეობის მდგრად პრაქტიკაზე. წარმოებისა და გარემოს დაცვის დაბალანსება წარმოადგენს ქვეყნის მიდგომას, მეფუტკრეობის დარგის გრძელვადიანი სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველსაყოფად (Dos Santos, Otesbelgue, & Blochtein 2018, 9).

კონკურენციის დინამიკა ასევე დამოკიდებულია მარეგულირებელ ჩარჩოსა და საერთაშორისო სავაჭრო პოლიტიკაზე. გლობალური ბაზრის სირთულეების გადახედვისას, ქვეყნები ცვლიან თავიანთ საბაზრო სტრატეგიებს მარეგულირებელი სტანდარტების, ხარისხის მოთხოვნების და სავაჭრო ბარიერების დასაკმაყოფილებლად. ტექნოლოგიური განვითარება მნიშვნელოვან როლს თამაშობს კონკურენტების სტრატეგიების ჩამოყალიბებაში. მეფუტკრეობის წამყვან ქვეყნებში გვხვდება ფუტურის ჯანმრთელობის მონიტორინგთან, მონაცემთა ანალიზთან და წარმოების ოპტიმიზაციასთან დაკავშირებული ტექნოლოგიების ინტეგრაცია. ტექნოლოგიები აადვილებს ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებას, ზრდის ეფექტიანობას და ხელს უწყობს ხარისხის გაუმჯობესებას (Marinković & Nedić 2010, 1–2).

ევროპული ბაზარი, ისეთი ქვეყნებით, როგორცაა ესპანეთი და უკრაინა, ხასიათდება აქცენტით ხარისხზე, ავთენტურობასა და გეოგრაფიულ აღნიშვნებზე. მეფუტკრეობის ტრადიციულ მეთოდებზე აქცენტი თანამედროვე ინოვაციებთან ერთად განსაზღვრავს ევროპელი მწარმოებლების კონკურენტულ უპირატესობას. ერთობლივი ძალისხმევა, კვლევა, განვითარება და ცოდნის გაზიარება ასევე მნიშვნელოვანი ტენდენციებია მთავარ კონკურენტებს შორის. ქვეყნები თანამშრომლობენ კვლევებზე, ტექნოლოგიების ტრანსფერზე და ბაზარზე წვდომაზე, ამლიერებენ თავიანთ კოლექტიური კონკურენტუნარიანობას და აგვარებენ საერთო გამოწვევებს (Журавлева & Сментына 2019, 59–62).

ამგვარად, ძირითადი კონკურენტუნარიანი ქვეყნების ანალიზი და მათი საბაზრო სტრატეგიები გამოკვეთენ ფაქტორების დინამიურ ურთიერთკავშირს და აყალიბებენ მეფუტკრეობის გლობალური დარგის კონკურენტულ გარემოს. ადაპტაცია, ინოვაცია, ხარისხზე ფოკუსირება, ბაზრის გაფართოება და მდგრადობა

არის ძირითადი საკითხები, რომლებიც თავს იყრიან წამყვანი ქვეყნების სტრატეგიებში. გლობალური ბაზრის ცვალებადი მოთხოვნები, მარეგულირებელი ჩარჩოები და გამოწვევები მოითხოვს მოქნილობას, ინოვაციებს და სტრატეგიულ თანამშრომლობას მეფუტკრეობის ქვეყნების მდგრადობისა და კონკურენტუნარიანობის გასაუმჯობესებლად (Salvioni & Champetier 2022, 7–8).

საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ გაეროს ოფიციალურ სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით (დანართი N1, დანართი N2) (UN Comtrade Database 2024), გავიანგარიშეთ 2014-2023 წლებში ნატურალური თაფლის ექსპორტში მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების (დანართი N4) შედარებითი უპირატესობის ინდექსი (Revealed Comparative Advantage index) შემდეგი ფორმულით:

$$RCA_i = \frac{\frac{E_i^{\text{თაფლი}}}{E_i^{\text{სულ}}}}{\frac{E_{\text{მსოფლიო}}^{\text{თაფლი}}}{E_{\text{მსოფლიო}}^{\text{სულ}}}}$$

სადაც:  $E_i^{\text{თაფლი}}$  = თაფლის ექსპორტი კონკრეტული ქვეყნიდან, გამოსახული ღირებულებით;


$E_i^{\text{სულ}}$  = მთლიანი ექსპორტი კონკრეტული ქვეყნიდან, გამოსახული ღირებულებით;

$E_{\text{მსოფლიო}}^{\text{თაფლი}}$  = თაფლის ექსპორტი მსოფლიოში, გამოსახული ღირებულებით;

$E_{\text{მსოფლიო}}^{\text{სულ}}$  = მთლიანი ექსპორტი მსოფლიოში, გამოსახული ღირებულებით;

ცალკე განხილულია საქართველოს პოზიცია, მეზობელ ქვეყნებთან შედარებით (იხ. გრაფიკი N1).

ნატურალური თაფლის ექსპორტში შედარებითი უპირატესობის ინდექსი 2014-2023 წლებში.



წყარო: შედგენილია ავტორის მიერ გაეროს ოფიციალური მონაცემების მიხედვით

ამასთანავე, განვსაზღვრეთ ნატურალური თაფლის ექსპორტში შედარებითი უპირატესობის რეიტინგულ სიებში საქართველოსა და მისი მეზობლების ადგილი (იხ. ცხრილი N1). საიდანაც ნათლად ჩანს, რომ ბოლო წლების განმავლობაში საქართველომ მნიშვნელოვნად გაიუმჯობესა საექსპორტო პოზიცია.

შედარებითი უპირატესობის ინდექსის მიხედვით ქვეყნების ადგილი მსოფლიო რეიტინგში

ნატურალური თაფლის ექსპორტში შედარებითი უპირატესობის ინდექსის მიხედვით ქვეყნების ადგილი მსოფლიო რეიტინგში					
წელი	საქართველო	თურქეთი	სომხეთი	აზერბაიჯანი	რუსეთი
2014	65	36	53	127	79
2015	59	33	49	101	67
2016	83	45	52	102	71
2017	99	36	33	110	76
2018	68	34	42	104	85
2019	73	36	53	105	77
2020	66	32	59	122	83
2021	35	37	33	125	80
2022	24	28	47	109	131
2023	25	26	37	71	134

წყარო: გამოთვლილია ავტორის მიერ გაეროს ოფიციალური მონაცემების მიხედვით

საქართველოსათვის და მიზი მეზობელი ქვეყნებისათვის გამოთვლილია ბოლო 10 წლის განმავლობაში ნატურალური თაფლის ექსპორტზე საექსპორტო კონკურენტუნარიანობის ინდექსი (Export Competitiveness Index (ECI) ):

$$ECI = \left( \frac{\text{თაფლის ექსპორტის ზრდის ტემპი (კონკრეტული ქვეყანა)}}{\text{თაფლის ექსპორტის ზრდის ტემპი (მსოფლიო)}} \right),$$

სადაც,

$$\text{თაფლის ექსპორტის ზრდის ტემპი} = \frac{E_t - E_{t-1}}{E_{t-1}}.$$

საექსპორტო კონკურენტუნარიანობის ინდექსის გაანგარიშებამ წარმოაჩინა ნატურალური თაფლის წარმოებაში საქართველოს მაღალი კონკურენტუნარიანობა მეზობელ ქვეყნებთან შედარებით (იხ. ცხრილი N2).

ცხრილი N2

ნატურალურ თაფლზე საექსპორტო კონკურენტუნარიანობის ინდექსი

საექსპორტო კონკურენტუნარიანობის ინდექსი											
წელი	მსოფ.	საქართველო		თურქეთი		სომხეთი		რუსეთი		აზერბაიჯანი	
	ზრ. ტემპი	ზრ. ტემპი	ECI	ზრ. ტემპი	ECI	ზრ. ტემპი	ECI	ზრ. ტემპი	ECI	ზრ. ტემპი	ECI
2015	-1.5%	34.7%	23.0	32.6%	21.6	89.3%	59.3	148.4%	98.5	"-	"-
2016	-4.2%	-70.9%	17.1	40.4%	9.7	-5.9%	1.4	-33.5%	8.1	19.5%	-4.7
2017	9.6%	-25.8%	-2.7	56.6%	5.9	155.2%	16.1	5.4%	0.6	13.5%	1.4
2018	-5.9%	341.2%	57.5	9.7%	-1.6	-25.2%	4.3	-20.1%	3.4	30.4%	-5.1
2019	-12.1%	-19.0%	1.6	-3.6%	0.3	-38.6%	3.2	20.2%	-1.7	-52.8%	4.4
2020	16.4%	117.7%	7.2	5.6%	0.3	-20.1%	-1.2	-10.4%	-0.6	-83.4%	-5.1
2021	16.4%	436.4%	26.7	19.0%	1.2	25.0%	1.5	25.0%	1.5	25.0%	1.5
2022	-1.9%	78.8%	40.9	48.6%	25.2	-87.5%	45.4	"-	"-	179.6%	93.2
2023	23.1%	-35.2%	1.5	31.0%	1.3	47.5%	-2.1	"-	"-	332.3%	14.4

წყარო: გამოთვლილია ავტორის მიერ გაეროს ოფიციალური მონაცემების მიხედვით

2014-2023 წლების მიხედვით გავანალიზეთ საქართველოს ექსპორტის დივერსიფიკაციის საკითხი, გაეროს ოფიციალური სტატისტიკური მონაცემების (დანართი N3) საფუძველზე გამოვთვალეთ ექსპორტის დივერსიფიკაციის ინდექსი (Export Diversification Index (EDI)):

$$EDI=1-HHI \text{ (Herfindahl-Hirschman Index)}$$

$$HHI = \sum_{i=1}^n s_i^2;$$


სადაც:  $S_i$  არის პროდუქტის წილი მთლიან ექსპორტში;

$n$  ექსპორტირებული პროდუქციის სახეობების რაოდენობა.

ექსპორტის დივერსიფიკაციის ინდექსი 2014-2022 წლებში ხასიათდება ექსპორტის მაღალი დივერსიფიკაციის მაჩვენებლებით, 2023 წელში კი - აღინიშნება ამ მაჩვენებლის მცირედი კლება (იხ. გრაფიკი N2).

გრაფიკი N2

საქართველოდან ექსპორტის დივერსიფიკაციის ინდექსი 2014-2023 წლებში



წყარო: შედგენილია ავტორის მიერ გაეროს ოფიციალური მონაცემების მიხედვით

აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო ორგანიზაციები ასევე მნიშვნელოვან როლს ასრულებენ მეფუტკრეობის გლობალური დარგის ჩამოყალიბებაში. მათი წვლილი მოიცავს სხვადასხვა სფეროს, მათ შორის პოლიტიკის შემუშავებას, მონაცემთა ანალიზს, სტანდარტების დაწესებას და თანამშრომლობას, რომელთაგან თითოეული აუცილებელია დარგის მდგრადობისა და ზრდისთვის.

საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მონაცემთა შეგროვება და ანალიზი იძლევა ფასდაუდებელ ინფორმაციას მეფუტკრეობის სექტორის ტენდენციების, გამოწვევებისა და შესაძლებლობების შესახებ. მაგალითად, FAO-ს მონაცემთა ბაზა გვთავაზობს წარმოების, მოხმარებისა და ვაჭრობის გლობალურ მონაცემებს, რაც

საშუალებას აძლევს დაინტერესებულ მხარეებს მიიღონ ინფორმირებული გადაწყვეტილებები. ეს მონაცემები მნიშვნელოვან როლს ასრულებს ფუტკრის პოპულაციის ჯანმრთელობის, გარემო ფაქტორების ზემოქმედებისა და გლობალური ბაზრების დინამიკაზე დაკვირვებაში.

პოლიტიკის შემუშავება კიდევ ერთი სფეროა, სადაც საერთაშორისო ორგანიზაციებს მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ. ორგანიზაციები, როგორცაა მაგალითად აპიმონდია (**Apimondia**) (მეფუტკრეთა გაერთიანებების საერთაშორისო ორგანიზაცია), არეგულირებენ ხარისხის სტანდარტებს, ეთიკურ პრაქტიკას და გარემოს მდგრადობას. მათი მითითებები და რეკომენდაციები მიღებულია მთელ მსოფლიოში, რაც აყალიბებს მეფუტკრეობის დარგის სპეციფიკურ და ეთიკურ ჩარჩოს

საერთაშორისო ორგანიზაციები ასევე ხელს უწყობენ ერთობლივ ინიციატივებს, აადვილებენ ცოდნის გაცვლას და იჩენენ ერთობლივ ძალისხმევას საერთო პრობლემების გადასაჭრელად. მაგალითად, **Animal Health (OIE)** (ცხოველთა ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია) ხელს უწყობს საერთაშორისო თანამშრომლობას ფუტკრის ჯანმრთელობისა და დაავადების წინააღმდეგ ბრძოლაში, აუმჯობესებს ფუტკრის პოპულაციის მდგრადობას მთელ მსოფლიოში. ეს თანამშრომლობა იძლევა პრაქტიკისა და პოლიტიკის ჰარმონიზაციის საშუალებას, უზრუნველყოფს თანმიმდევრულობას და სინერგიას გლობალურ გამოწვევებთან დაკავშირებით.

სტანდარტების დაწესება პირდაპირაა დაკავშირებული საერთაშორისო ორგანიზაციებთან. Codex Alimentarius კომისია, FAO-სა და WHO-ს ეგიდით, შეიმუშავებს კვების სტანდარტებს, გაიდლაინებსა და კლასიფიკაციას, რომლებიც საფუძვლად უდევს ფუტკრის პროდუქტებით საერთაშორისო ვაჭრობას. ეს სტანდარტები უზრუნველყოფს ფუტკრის პროდუქტების ხარისხისა და უსაფრთხოების მკაცრ კრიტერიუმებს, ზრდის მომხმარებელთა ნდობას და ხელს უწყობს საერთაშორისო ვაჭრობას.

გარდა ზემოხსენებულისა, აქტიურად ფუნქციონირებენ შემდეგი მსოფლიო და რეგიონალური ასოციაციები:

- APISLAVIA (FEDERATION OF BEEKEEPING ORGANIZATIONS) – მეფუტკრეობის ორგანიზაციების ფედერაცია;
- Asian Apicultural Association (მეფუტკრეობის აზიური ასოციაცია);
- Balkan Beekeeping Federation (ბალკანეთის მეფუტკრეობის ფედერაცია);
- FILAPI (იბერიულ-ლათინურ-ამერიკული ასოციაცია);
- Nordic Beekeeper Association (სკანდინავიის ქვეყნების მეფუტკრეთა ასოციაცია);
- EBPA (European Professional Beekeepers Association - ევროპის პროფესიონალ მეფუტკრეთა ასოციაცია);
- ACBO (Association of Caribbean Beekeepers Organisations – კარიბის ქვეყნების მეფუტკრეთა ორგანიზაციების ასოციაცია);
- Arab Beekeepers' Union (არაბ მეფუტკრეთა კავშირი);
- ApiTrade (აფრიკული კავშირი);
- Coloss20 (Colony Losses Scientific Network - ფუტკრის კოლონიების დაღუპვის სამეცნიერო ქსელი);
- IBRA (International Bee Research Association - ფუტკარების შესწავლის საერთაშორისო ასოციაცია);
- IHC (International Honey Commission – თაფლის საერთაშორისო კომისია);
- HIPA (Association of Honey Importers – თაფლის იმპორტიორთა ასოციაცია).
- FEEDM (European Federation of Honey Packers & Distributors – თაფლის ჩამომსხმელთა და დისტრიბუტორთა ევროპული ფედერაცია) (აგრონიუს 2018)

ამ საერთაშორისო ორგანიზაციების როლი ხაზგასმულია მათი სარგებლიანობის კვლევებში, პოლიტიკის ფორმულირებასა და ინდუსტრიულ განვითარებაში. ეს მონაცემები უზრუნველყოფს მეფუტკრეობის ეკოლოგიურ, ეკონომიკურ და სოციალურ ასპექტებს, გვაწვდის ინფორმაციას მდგრადობის, გარემოს დაცვის და ბაზრის გაფართოების სტრატეგიებზე. მონაცემები ასევე ეხმარება ეროვნულ მთავრობებს და დარგის დაინტერესებულ მხარეებს თავიანთი საქმიანობის გლობალურ სტანდარტებთან და ტენდენციებთან შესაბამისობაში.

გარდა ამისა, საერთაშორისო ორგანიზაციები ხელს უწყობენ გლობალური მეფუტკრეობის საზოგადოების შესაძლებლობების და უნარების განვითარებას. მათი სასწავლო პროგრამები და რესურსები აძლიერებს მეფუტკრეობის, პოლიტიკის შემქმნელებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების კომპეტენციას.

ამდენად, საერთაშორისო ორგანიზაციების როლი მეფუტკრეობის დარგის ჩამოყალიბებაში მრავალმხრივია. მათი წვლილი მონაცემთა ანალიზში, პოლიტიკის შემუშავებაში, სტანდარტების ჩამოყალიბებასა და თანამშრომლობაში ზრდის დარგის მდგრადობასა და კონკურენტუნარიანობას. მეფუტკრეობის დარგი აგრძელებს განვითარებას, საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ შემოთავაზებული იდეებით, სახელმძღვანელო პრინციპებითა და თანამშრომლობით. რაც საბოლოოდ უზრუნველყოფს დარგის შესაბამისობაში მოყვანას გლობალურ სტანდარტებთან, ეთიკურ პრაქტიკასთან და მდგრადი განვითარების მიმართულებებთან (Lowore, Meaton, & Wood 2018, 15–16).

მეფუტკრეობა სხვადასხვა ქვეყანაში რეგულირდება რთული სამართლებრივი სისტემებით, რომლებიც აწესებენ მარეგულირებელ შეზღუდვებს. თითოეული ქვეყნის მარეგულირებელი ჩარჩო განისაზღვრება მისი უნიკალური გარემოსდაცვითი, ეკონომიკური და სოციალური პირობებით, რაც იწვევს განსხვავებებს სტანდარტებში, მოთხოვნებსა და შესაბამისობის პროტოკოლებში. ფუტკრის პროდუქტებით საერთაშორისო ვაჭრობა, განსაკუთრებით ზარალდება იმ შეზღუდვებით, რომელიც მეფუტკრეებსა და მოვაჭრეებს სთხოვს, გაიარონ რეგულაციების ლაბირინთი გლობალურ ბაზრებზე წვდომისთვის.

ხარისხისა და უსაფრთხოების სტანდარტები, მიუხედავად იმისა, რომ მნიშვნელოვანია მომხმარებელთა უსაფრთხოებისათვის, შეიძლება წარმოადგენდეს მნიშვნელოვან გამოწვევებს, განსაკუთრებით მცირე მეფუტკრეებისთვის. თანამედროვე ტექნოლოგიებისა და პრაქტიკის ინტეგრირება, ამ მკაცრი სტანდარტების დასაკმაყოფილებლად, ხშირად მოითხოვს მნიშვნელოვან ინვესტიციებს და ტექნიკურ გამოცდილებას. უფრო მეტიც, ხარისხის გლობალური სტანდარტების დინამიური ბუნება მოითხოვს მუდმივ ადაპტაციას და მოდერნიზაციას, რაც გულისხმობს დამატებით სირთულეებს.

ბაზარზე წვდომის ბარიერები მჭიდრო კავშირშია ხარისხის მარეგულირებელ საკითხებთან, რაც კიდევ უფრო ამწვავებს ტარიფებს, სავაჭრო ბარიერებს და ბაზარზე შესვლის მოთხოვნებს. ამ ბარიერებს ხშირად ემატება გეოპოლიტიკური დინამიკა, სავაჭრო პოლიტიკა და საერთაშორისო ურთიერთობები, რომლებიც გავლენას ახდენენ მომგებიან ბაზრებზე წვდომის გამარტივებაზე. განსაკუთრებით მცირე ზომის საფუტკრეები აწყდებიან მკაფიო ბარიერებს და საჭიროებენ მხარდამჭერ პოლიტიკას და შესაძლებლობების განვითარებას გლობალურ ბაზრებზე მათი შეღწევის გამარტივების მიზნით.

გარემოსდაცვითი საკითხები, როგორცაა კლიმატის ცვლილება, ფუტკრისათვის საცხოვრებელი გარემოს დაკარგვა და დაავადებები, მნიშვნელოვან ზეწოლას ახდენს ფუტკრის ჯანმრთელობასა და პროდუქტიულობაზე. გარემოზე მრავალმხრივი ზემოქმედება მოითხოვს სტრატეგიებს, რომლებიც მოიცავს გარემოს დაცვას, მდგრად პრაქტიკას და ინოვაციებს ფუტკრის ჯანმრთელობის მართვაში. გლობალური მასშტაბით საერთაშორისო თანამშრომლობა და კვლევები გადამწყვეტ როლს თამაშობს ამ გარემოსდაცვითი გამოწვევების გადასაჭრელად.

ტექნოლოგიური ხარვეზები, განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში, აფერხებს მეფუტკრეობის პრაქტიკის ოპტიმიზაციას და ზღუდავს კონკურენტუნარიანობას. ამ ხარვეზების გადალახვა მოითხოვს ინვესტიციებს ტექნოლოგიების განვითარებასა და გავრცელებაში. მნიშვნელოვანია საერთაშორისო ორგანიზაციებისა და თანამშრომლობის როლი მსოფლიოში მეფუტკრეობის სფეროში ტექნოლოგიების გადაცემისა და ინოვაციების ხელშეწყობაში.

თითოეული ეს ბარიერი და გამოწვევა ურთიერთდაკავშირებულია და ზემოქმედებს არა მხოლოდ მეფუტკრეობის დარგზე, არამედ გავლენას ახდენს გარემოზე, ეკონომიკურ და სოციალურ შედეგებზე. ამ გამოწვევების გადაჭრა მოითხოვს კოორდინირებულ და ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობას, რომელიც გააერთიანებს პოლიტიკას, პრაქტიკას, კვლევასა და ინოვაციებს, რათა შემუშავდეს გადაწყვეტილებები, რომლებიც მორგებული იქნება მეფუტკრეობის დარგის მრავალფეროვან კონტექსტზე.

დასკვნის სახით, გლობალურ ბაზარზე ბარიერებისა და გამოწვევების ანალიზი ხაზს უსვამს მოქნილობის, ადაპტაციის და სტრატეგიული თანამშრომლობის აუცილებლობას. მეფუტკრეობის გლობალური დარგის განვითარებასთან ერთად, ამ ბარიერების დაძლევა მიმართული იქნება მისი მდგრადობისა და კონკურენტუნარიანობის გასაუმჯობესებლად. რეგულაციებთან შესაბამისობის, ხარისხის გაუმჯობესების, ბაზრის წვდომის, გარემოს დაცვისა და ტექნოლოგიური წინსვლის დაბალანსება არის გასაღები გლობალური ბაზრის სირთულეების დაძლევისა და განვითარების ახალი შესაძლებლობების გამოყენებისთვის.

საქართველოში მეფუტკრეობის დარგის წინაშე არსებული გამოწვევების უკეთ შესწავლის მიზნით, მნიშვნელოვანია, სხვა ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინება. სხვადასხვა ქვეყნებიდან მრავალფეროვანი კონტექსტების მქონე კვლევებმა ცხადყვეს რომ თანამედროვე მეფუტკრეობა, ხასიათდება სტრატეგიული ინოვაციებით, მდგრადობით, ადაპტაციის ძლიერი უნარით, მარეგულირებელი ნორმების ჰარმონიზაციით და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებით. მეფუტკრეობის თითოეული შემთხვევის შესწავლა, აღწერს გამოწვევების, სტრატეგიებისა და წარმატებების უნიკალურ კომბინაციას.

ისრაელი ძალიან ინტენსიური სოფლის მეურნეობის ქვეყანაა. მათ შორის მეფუტკრეობის დარგი ერთერთი გამორჩეული მიმართულებაა. მჭიდრო ურთიერთკავშირი ფუტკარსა და სოფლის მეურნეობის სხვა დარგებს შორის მოითხოვს ფუტკრების კეთილდღეობაზე ზრუნვას. ვინაიდან ქვეყანაში ველური ფუტკარი არაა გავრცელებული, ადგილობრივი ფერმერები სარგებლობენ მეფუტკრეების მიერ შეთავაზებული დამტვერვის მომსახურებებით. მარეგულირებელი ნორმები მკაცრადაა გაწერილი, მაქსიმალურადაა შეზღუდული აგროქიმიკატების გამოყენება სოფლის მეურნეობაში. საფუტკრეების რეგულარული მართვის მიუხედავად, ვაროა და მასთან დაკავშირებული ვირუსები რჩება ისრაელში წარმატებული მეფუტკრეობის მთავარ დაბრკოლებად და ფუტკრის ოჯახების მართვის მთავარ გამოწვევად (Soroker, Yossi, & Chejanovsky 2018, 95).

ბრაზილიამ სამაგალითოდ შეზღო საერთაშორისო ბაზარზე თავის დამკვიდრება. სამიზნე ბაზრების ანალიზმა, მომხმარებელთა პრეფერენციების კარგად გააზრებამ და პროდუქციის შეთავაზებამ ხელი შეუწყო მის პოპულარიზაციას საერთაშორისო ბაზრებზე. ბრაზილია გვთავაზობს ხარისხიან და მრავალფეროვან ფუტკრის პროდუქტებს, რომელიც განკუთვნილია ფართო მომხმარებელზე. (Santana De Figueirêdo & Santana De Figueirêdo Junior 2015, 142–44).

ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სფეროში გამოირჩევა ისეთი ქვეყანა, როგორცაა სამხრეთ კორეა. თანამედროვე ტექნოლოგიების წარმოებაში, გადამუშავებასა და მარკეტინგში ინოვაციების ინტეგრირებამ არა მხოლოდ გაზარდა წარმოების პროდუქტიულობა, არამედ გააუმჯობესა კორეული ფუტკრის პროდუქტების ხარისხი. ტექნოლოგიურმა ინოვაციებმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა წარმოების პროცესების ოპტიმიზაციაში, ხარისხის თანმიმდევრულობის უზრუნველყოფასა და ბაზრის დინამიურ ტენდენციებთან ადაპტაციის ხელშეწყობაში (Kohsaka, Park, & Uchiyama 2017, 72–73).

ევროკავშირში (EU) მკაცრი პოლიტიკისა და რეგულაციების დაცვამ ხელი შეუწყო მეფუტკრეობაში კონკურენციის ზრდას. ევროკავშირის წევრმა ქვეყნებმა ჰარმონიზებული მარეგულირებელი ჩარჩოს ქვეშ უზრუნველყვეს მეფუტკრეობის პროდუქტების ხარისხი და უსაფრთხოების უმაღლესი სტანდარტები. ამ ჰარმონიზებულმა რეგულაციებმა არა მხოლოდ ხელი შეუწვეს ევროკავშირის შიდა ვაჭრობას, არამედ გაზარდეს ევროკავშირის მეფუტკრეობის პროდუქტების კონკურენტუნარიანობა გლობალურ ასპარეზზე (Nikolova, Dimitrova, & Teneva 2023, 37–38; Ruse et al. 2021, 163; Svečnjak et al. 2008, 475) .

თურქეთი ცნობილია თავისი წარმატებით მეფუტკრეობის პროდუქტების გლობალურ ბაზარზე და იგი გამოირჩევა ხარისხის უზრუნველყოფის, ინოვაციებისა და ბაზრის ანალიზის სტრატეგიული კომბინაციით. ქვეყნის მეფუტკრეობის დარგი ხასიათდება წარმოების დიდი შესაძლებლობებით, მეფუტკრეობის პროდუქტების მრავალფეროვნებითა და ხარისხის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობით (Dogan, Karagoz, & Ozbakir 2014, 1577; Tamali & Özkırım 2019, 30–31).

რა თქმა უნდა, თურქეთზე ორიენტირება, როგორც საქართველოსთვის შესაბამისი შემთხვევის შესწავლა, მნიშვნელოვანია მისი გეოგრაფიული და ეკონომიკური მსგავსების გათვალისწინებით.

იმისთვის რომ ფუტკრის პროდუქტები აკმაყოფილებდეს ეკოლოგიურობის, უსაფრთხოებისა და ხარისხის უმაღლეს სტანდარტებს თურქეთმა გაატარა ხარისხის კონტროლის მკაცრი ზომები. ეს ღონისძიებები, ინტეგრირებულია მთლიან წარმოების ჯაჭვში, ფუტკრის მოშენებიდან თაფლისა და სხვა ფუტკრის პროდუქტების გადამუშავებამდე და შეფუთვამდე (Demircan, Sarica, & Sert 2012, 218).

თურქეთში მეფუტკრეობის დარგი ხასიათდება თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვით. ინოვაციებმა სკების მართვაში, თაფლის მოპოვებისა და გადამუშავების ტექნოლოგიებში გაზარდა დარგის ეფექტიანობა და პროდუქტიულობა. ამ ტექნოლოგიურმა მიღწევებმა არა მხოლოდ გააუმჯობესა თურქული მეფუტკრეობის პროდუქტების ხარისხი, არამედ ხელი შეუწყო ბაზრის დინამიურ ტენდენციებთან ადაპტაციას (Diktas-Bulut, Daşdemir, & Bozlar 2022, 1295–96; Güreer & Akyol 2018, 343).

გადამწყვეტი როლი ითამაშა თურქეთის საერთაშორისო ნორმებისადმი ერთგულებამ და ბაზარზე შესვლის სტრატეგიულმა მიდგომებმა. ქვეყანამ ჩადო ინვესტიცია კვლევასა და ბაზრის ანალიზში, რათა გაეგო მომხმარებელთა პრეფერენციები და ბაზრის მოთხოვნები მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში. გარდა ამისა, თურქეთმა დაამყარა მნიშვნელოვანი საერთაშორისო თანამშრომლობები. (Aksoy et al. 2018, 2207; ÇevriMli & Sakarya 2019, 109).

თურქეთის მეფუტკრეობის დარგის განვითარება მნიშვნელოვანი მაგალითია საქართველოს მეფუტკრეობის განვითარებისათვის. ხარისხის უზრუნველყოფის, ინოვაციებისა და მიზნობრივ ბაზარზე შედღწევის სტრატეგიულმა ინტეგრაციამ, თურქეთის მსგავსად, შეიძლება საქართველოსთვისაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს გლობალურ ბაზარზე დამკვიდრებაში. თურქეთის წარმატება ხაზს უსვამს მისი უნიკალური ბიომრავალფეროვნების ათვისებისა და ტრადიციული და თანამედროვე პრაქტიკის შერწყმის მნიშვნელობას. საქართველოს შეუძლია ისწავლოს მის გამოცდილებიდან და რეგულირების შესაბამისობის, ხარისხის გაუმჯობესებისა

და საბაზრო სტრატეგიის დაბალანსების გზით საერთაშორისო ბაზრის სირთულეებთან შეძლოს გამკლავება. თანამშრომლობასა და პარტნიორობას, როგორც რეგიონულ, ისე საერთაშორისო დონეზე, ასევე შეუძლია გადამწყვეტი როლი ითამაშოს ბაზარზე წვდომის ხელშეწყობაში, ცოდნის გაზიარებასა და ინოვაციების დანერგვაში, რაც გააუმჯობესებს ქართული მეფუტკრეობის პროდუქტების კონკურენტუნარიანობას გლობალურ ასპარეზზე.

არსებითად, საქართველოზე მორგებულ მიდგომას, რომელიც ითვალისწინებს საქართველოს უნიკალურ ძლიერ მხარეებს, გამოწვევებსა და შესაძლებლობებს, მეზობელი ქვეყნის, თურქეთის წარმატებების მაგალითზე დაყრდნობით, შეუძლია ხელი შეუწყოს ქვეყნის წინსვლას მეფუტკრეობის პროდუქტების გლობალურ ბაზარზე. ეს მოითხოვს პოლიტიკის, პრაქტიკის, ინოვაციებისა და თანამშრომლობის სინერგიას კონკურენტულ საერთაშორისო გარემოში საკუთარი ნიშის მოსაპოვებლად.

ამდენად, თითოეული შემთხვევის კვლევა ასახავს განსხვავებულ გზას წარმატებისკენ საერთაშორისო ბაზარზე, მაგრამ იკვეთება საერთო მიმართულებები. აუცილებელია ბაზრის ანალიზი, რომელიც მოიცავს ბაზრის დინამიკის, მომხმარებელთა პრეფერენციებისა და კონკურენტული გარემოს შესწავლას, რაც საშუალებას აძლევს მეფუტკრეებს თავიანთი სტრატეგიები და პროდუქტები მოარგონ სამიზნე მომხმარებლების მოთხოვნებს. ასევე, ფუნდამენტურია ხარისხის უზრუნველყოფა, პროდუქტის სრულყოფა და მაქსიმალური ბუნებრიობა საბოლოო ჯამში ქმნის კონკურენტულ უპირატესობას.

## **2.2 ნატურალური თავლის წარმოების დღევანდელი მდგომარეობა საქართველოში**

საქართველოს მეფუტკრეობის დარგის საფუძვლიანი შესწავლა და წარმოების მონაცემების კრიტიკული ანალიზი, საშუალებას გვაძლევს შევაფასოთ დარგის გამოწვევები და შესაძლებლობები. სხვადასხვა წყაროების სიღრმისეული ანალიზი, მათ შორის სტატისტიკური ანგარიშები, კვლევების შედეგები და ინსტიტუციური ანგარიშები ხაზგასმით აღწერს დარგის დინამიურობასა და პოტენციალს.

თაფლის გარდა, ფუტკრის ცვილის, დინდგელის, ფუტკრის სადედე რძის, ფუტკრის შხამის, ნუკლიუსების და სხვა ქვეპროდუქტების წარმოება მრავალმხრივი ინდუსტრიაა და იგი სავსეა როგორც შესაძლებლობებით, ასევე გამოწვევებით. კვლევები ხაზს უსვამს დივერსიფიკაციის საჭიროებას, სადაც მეფუტკრეები ინოვაციებითა და ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით, აწარმოებენ მეფუტკრეობასთან დაკავშირებული პროდუქტების ფართო სპექტრს. წარმოების შიდა მონაცემების და საერთაშორისო სტატისტიკის შედარებითი ანალიზი ნათელს ჰფენს საქართველოს პოზიციონირებას გლობალურ მეფუტკრეობაში. აგრეთვე, ცხადყოფენ ქვეყნის კონკურენტულ უპირატესობებს, საბაზრო ნიშებსა და თანდაყოლილ გამოწვევებს, რომლებიც განსაზღვრავს საქართველოს პოზიციას საერთაშორისო ბაზარზე.

ტექნოლოგიების ინტეგრაციის შესახებ არსებული კვლევები აჩვენებს დადებით კავშირს ტექნოლოგიების გამოყენებასა და წარმოების ეფექტიანობას შორის. ტექნოლოგიების თანდათანობითი პროგრესი აისახება პროდუქტიულობის, ხარისხისა და ფუტკრის პროდუქტების მრავალფეროვნების ზრდაში. ტექნოლოგიების დანერგვა აუცილებელია საქართველოს მეფუტკრეობის დარგის განვითარებისათვის. გარემოს ცვალებადობა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს წარმოების მონაცემებზე. წარმოების მოცულობის ცვლილება განუყოფლად არის დაკავშირებული კლიმატურ პირობებთან, გარემოს დაცვასთან და მეფუტკრეების ადაპტირების სტრატეგიებთან. ინსტიტუციური ჩარჩო და მარეგულირებელი პოლიტიკა ასევე ზემოქმედებენ ფუტკრის პროდუქტების წარმოების დინამიკაზე. აღსანიშნავია, რომ მეფუტკრეობის სექტორის წინსვლა დიდად არის დამოკიდებული სახელმწიფო ინტერვენციებსა და დამხმარე მექანიზმებზე.

მეფუტკრეობის სექტორთან დაკავშირებით საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახური აგროვებს ინფორმაციას ფუტკრის ოჯახების და წარმოებული თაფლის რაოდენობის შესახებ. ასევე ქვეყნების ჭრილში იმპორტირებული და ექსპორტირებული თაფლის რაოდენობისა და ღირებულების შესახებ (საქსტატი, 2024).

საქართველოში ფუტკრის ოჯახების რაოდენობა(ათასებში) და წარმოებული თაფლის ოდენობა (ათას ტონებში) წლების მიხედვით რეგიონების ჭრილში

ფ.ოჯ.-ის რაოდენობა (ათასი) წარ. თაფლი (ათასი ტონა)	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021	2022	2023
აჭარის არ	17.1 0.1	17 0.2	14.1 0.1	14.2 0.1	15.2 0.1	14.6 0.1	16.5 0.2	17.9 0.5	20 0.2	22.4 0.2
იმერეთი	38 0.3	44.1 0.3	41.9 0.3	49.4 0.4	55 0.8	56.9 0.8	45.2 0.8	42.2 0.5	37.4 0.5	39.4 0.5
კახეთი	35.7 0.6	45.4 0.7	45.4 0.8	53.3 0.9	50.5 0.6	51.3 0.6	45.2 0.4	40.9 0.2	38.3 0.3	33.9 0.7
სამეგრელო-ზემო სვანეთი	23.8 0.3	23.4 0.3	28.2 0.3	38.2 0.3	41 0.3	39.3 0.2	34.3 0.3	30.1 0.2	33.8 0.2	32.4 0.2
სამცხე-ჯავახეთი	17.7 0.2	14.7 0.2	17.9 0.2	16.8 0.1	21.9 0.1	19.5 0.1	21.8 0.1	19.7 0.1	19.4 0.2	18.9 0.2
ქვემო ქართლი	13.8 0.1	14.9 0.1	20.2 0.1	24.7 0.3	26 0.1	25.4 0.1	23.6 0.2	24.1 0.2	16.1 0.2	14.1 0.1
შიდა ქართლი	-	-	10.2 0.1	11.8 0.1	13.5 0.1	14.9 0.1	11 0.1	10.2 0.1	9.4 0.1	8.4 0.1
დანარჩენი რეგიონები	44.6 0.3	37.6 0.2	27.4 0.2	32.3 0.3	34.8 0.4	35.2 0.4	30.8 0.4	29.6 0.3	26.3 0.3	23.2 0.3
საქართველო	190.7 1.9	197.1 2.0	205.3 2.1	240.6 2.5	257.8 2.5	257.3 2.5	228.5 2.4	214.8 2.0	200.7 2.0	192.7 2.1

წყარო: შედგენილია ავტორის მიერ საქსტატის მონაცემებზე დაყრდნობით

საქართველოში ფუტკრის ოჯახების რაოდენობა 2014-2023 წლებში საშუალოდ 218,6 ათას შეადგენდა; საშუალო ყოველწლიური ზრდის ტემპი კი - 1%-ს. ფუტკრის ოჯახების რაოდენობა წარმოდგენილია რეგიონების ჭრილში. ყველაზე მეტი ფუტკარი მოშენებულია კახეთში, იმერეთსა და სამეგრელო-ზემო სვანეთში.

საქართველოში 2014-2023 წლებში ჯამურად წარმოებულ იქნა ნატურალური თაფლი 22,0 ათასი ტონა, საშუალოდ წელიწადში კი - 2,2 ათასი ტონა. რეგიონების

ჭრილში წარმოებული თაფლის ოდენობა მოცემულია ცხრილ N3-ში. ამ მხრივ ბოლო 5 წლის განმავლობაში უპირობოდ ლიდერობს იმერეთის რეგიონი.

2009-2023 წლებში საქართველოდან განხორციელდა 644,91 ტონა ნატურალური თაფლის ექსპორტი, აქედან 84% - მხოლოდ ბოლო 3 წელიწადში. ამ პერიოდის განმავლობაში სტატისტიკური მონაცემები გვიჩვენებს თაფლის ექსპორტის მკვეთრ ზრდას, როგორც რაოდენობრივად, ასევე ღირებულებითაც. ამავე, ბოლო 15 წელიწადში იმპორტირებულ იქნა 249,89 ტონა ნატურალური თაფლი, აქედან ბოლო 3 წელიწადზე მოდის საერთო მოცულობის მხოლოდ 19,55% .

ცხრილი N4

ნატურალური თაფლის ექსპორტ-იმპორტი საქართველოში 2009-2023 წლების განმავლობაში

წელი	ექსპორტი (ტონა)	ექსპორტი (1000\$)	იმპორტი (ტონა)	იმპორტი (1000\$)
2009	0.97	6.86	4.24	35.35
2010	5	40	2.65	20.07
2011	8.83	60.82	11.08	78.38
2012	2.69	29.16	10.06	69.74
2013	17	116.68	7.94	48.48
2014	5.43	54.26	28.82	109.4
2015	8.28	73.1	32.38	98.95
2016	3.82	21.27	26.92	80.31
2017	2.25	15.77	45.46	117.52
2018	21.02	69.51	21.83	81.77
2019	6.37	56.29	8.07	46.4
2020	21.71	122.54	1.58	21.74
2021	172.91	657.3	11.68	22.34
2022	258.17	1175.58	31.44	83.56
2023	110.46	762.06	5.74	36.61
<b>სულ:</b>	<b>644.91</b>	<b>3261.2</b>	<b>249.89</b>	<b>950.62</b>

წყარო: შედგენილია ავტორის მიერ საქსტატის მონაცემებზე დაყრდნობით.

2009-2023 წლებში საქართველოდან ნატურალური თაფლის ექსპორტის შესახებ ინფორმაცია ნაშრომში წარმოდგენილია ასევე ქვეყნების ჭრილში. გაანგარიშებულია

ექსპორტირებული თაფლის 1 კგ.-ის საშუალო ფასი აღნიშნული პერიოდის განმავლობაში.

ცხრილი N5

საქართველოდან 2009-2023 წ.წ. ნატურალური თაფლის ექსპორტი ქვეყნების მიხედვით

ქვეყანა	ექსპორტი (ტონა)	ექსპორტი (1000 აშშ დოლარი)	საშუალოდ 1 კგ. თაფლის ფასი (აშშ დოლარი)
საფრანგეთი	204.04	1101.65	5.40
ბულგარეთი	213.45	587.59	2.75
არაბთა გაერთიანებული საამიროები	20.93	179.07	8.56
საუდების არაბეთი	20.35	177.54	8.72
ჩეხეთი	7.02	135.44	19.29
ნორვეგია	21	103.11	4.91
აშშ	11.02	92.89	8.43
ერაყი	15.67	86.39	5.51
აზერბაიჯანი	20.89	72.37	3.46
კანადა	10.41	72.07	6.92
ლიბია	12.9	62.44	4.84
ისრაელი	10.22	61.61	6.03
ესტონეთი	8.83	60.81	6.89
ჰონ-კონგი	7.02	58.06	8.27
ლიბანი	4.24	56.75	13.38
იაპონია	3.98	52.1	13.09
იტალია	10.09	51.27	5.08
ყატარი	7.23	45.37	6.28
გერმანია	6.28	38.17	6.08
სომხეთი	3.3	29.93	9.07
ჩინეთი	3.47	23.65	6.82
ირანი	2.56	22.37	8.74
ყაზახეთი	4.36	21.12	4.84
ქუვეითი	2.23	17.09	7.66
ბურკინა-ფასო	0.51	12.27	24.06
რუსეთი	10	7.53	0.75
ავსტრია	0.5	3.3	6.60
ბაჰრეინი	0.69	3.28	4.75
სხვა დანარჩენი ქვეყნები ჯამში	1.72	25.96	15.09
<b>სულ</b>	<b>644.91</b>	<b>3261.2</b>	<b>5.06</b>

წყარო: შედგენილია ავტორის მიერ საქსტატის მონაცემებზე დაყრდნობით.

2009-2023 წლებში ნატურალური თაფლის იმპორტი ძირითადად ხორციელდებოდა უკრაინიდან, რუსეთიდან და გერმანიიდან. ქვეყნების მიხედვით ჩაშლილი ინფორმაცია მოცემულია ცხრილს N6-ში.

ცხრილი N6

საქართველოში 2009-2023 წ.წ.-ში ნატურალური თაფლის იმპორტი ქვეყნების ჭრილში.

ქვეყანა	ტონა	ღირებულება (1000 აშშ დოლარში)
უკრაინა	118.92	291.44
გერმანია	28.2	225.04
რუსეთი	71.23	193.79
საფრანგეთი	7.23	59.63
ესტონეთი	8.33	55.81
იტალია	4.04	41.81
ესპანეთი	3.55	19.63
ავსტრია	3.25	15.85
ახალი ზელანდია	0.15	15.47
თურქეთი	1.45	7.23
ნიდერლანდები	0.85	5.57
ბელარუსი	0.62	4.23
სომხეთი	0.32	4
ირანი	1.21	3.75
არაბთა გაერთიანებული სამხრეთი	0.1	2.34
ლუქსემბურგი	0.15	2.24
დანია	0.22	1.74
სხვა დანარჩენი ქვეყნებიდან ჯამში	0.07	1.04
<b>სულ</b>	<b>249.89</b>	<b>950.61</b>

წყარო: შედგენილია ავტორის მიერ საქსტატის მონაცემებზე დაყრდნობით.

ამგვარად, საქსტატის მონაცემების მიხედვით 2009-2023 წლებში ფუტკრის ოჯახების რაოდენობა და წარმოებული თაფლის მოცულობა ხასიათდება სტაბილურობით. რაც შეეხება ექსპორტს, სახეზეა ბოლო 3 წლის განმავლობაში მისი მკვეთრი ზრდა.

საქართველოს მეფუტკრეობის დარგში ფუტკრის ოჯახების ჯანმრთელობაზე მოქმედი ფაქტორების ანალიზი მნიშვნელოვანია დარგის განვითარებისათვის. სხვადასხვა სამეცნიერო წყაროები შეიცავენ ფუტკრის ძირითადი დაავადებების

საფუძვლიან გამოკვლევას, მათ მავნე ეფექტებს და ამ ეფექტების საწინააღმდეგოდ გამოყენებულ შემარბილებელ სტრატეგიებს.

„მეფუტკრეობის პროდუქტიულობას, ხარისხს და უვნებლობას მნიშვნელოვნად განსაზღვრავს საფუტკრეთა კეთილსაიმედობა ბაქტერიული, ვირუსული, სოკოვანი, მიკოპლაზმური და რიკეტსიული დაავადებების მიმართ“ (სოხაძე ..., 2016: 3).

ამერიკული სიდამპლის (AFB) გავრცელება აღინიშნა, როგორც მიმდინარე მწვავე პრობლემა (F. Barry et al. 2018, 1186–88). AFB, ბაქტერიული დაავადებაა, რომელიც ზიანს აყენებს ფუტკრის ლარვებს და იწვევს დაავადებულ ოჯახებში სიკვდილიანობის მნიშვნელოვან მაჩვენებელს. „ამერიკული სიდამპლით ავადდება მოზრდილი ასაკის, ე.ი. გადაბეჭდილი ბარტყი, რის გამო მას გადაბეჭდილი ბარტყის სიდამპლესაც უწოდებენ. ასევე უწოდებენ მას ავთვისებიან სიდამპლეს, ვინაიდან იმდენად ასუსტებს ფუტკრის ოჯახს, რომ ხშირად ბოლომდე სპობს კიდევ“ (მათეშვილი 1955, 26). ამერიკულ სიდამპლეს აქვს კასკადური ეფექტი თაფლის წარმოებაზე, დამტვერვის ეფექტიანობასა და ფუტკრის ჯანმრთელობის მთლიან ეკოსისტემაზე. მასთან დაკავშირებული ეკონომიკური ზარალი მნიშვნელოვანია და გავლენას ახდენს არა მხოლოდ ცალკეულ საფუტკრეებზე, არამედ მთელ სასოფლო-სამეურნეო სექტორზე.

ასევე საყურადღებო დაავადებაა ვაროატოზი. „ვაროატოზის გამომწვევი ტკიპა ვაროა 1904 წლიდან 70 წლის განმავლობაში ითვლებოდა ინდოეთის ფუტკრის პარაზიტად... საქართველოში ვაროატოზი პირველად დარეგისტრირდა 1976 წელს, იმავე წელს გაგრისა და ასპინძის რაიონებში დაფიქსირდა ფუტკრის ოჯახების უგზოუკვლოდ დაკარგვის ფაქტები“ (სტეფანიშვილი 2016, 3) .

ვაროა ასევე ვირუსული დაავადებების მატარებელია. ფიზიკური და ვირუსული დაზიანების ორმაგი საფრთხე აძლიერებს მავნე ზემოქმედებას ფუტკრის ოჯახებზე. ვაროატოზის ზემოქმედების შესამცირებლად საჭიროა მავნებლების მართვის ინტეგრირებული სტრატეგიები, ქიმიური, ბიოლოგიური და მექანიკური კონტროლის მეთოდების კომბინირება, რაც მიზნად ისახავს არა მხოლოდ ტკიპების

პოპულაციის შემცირებას, არამედ თანმხლები ვირუსული ინფექციების მინიმუმამდე დაყვანას (FAO 2018, 16–18).

ნოზემატოზი წარმოადგენს მიკროსპორიდიული ინფექციას, რომელიც გავლენას ახდენს ფუტკრის საჭმლის მომნელებელ სისტემაზე და ამცირებს ფუტკრის სიცოცხლის ხანგრძლივობასა და მთლიან პროდუქტიულობას. „ნოზემატოზით ავადდება როგორც დედა, ისე მუშა და მამალი ფუტკარი“. ხშირად მკურნალობა დაგვიანებულია, რაც ნიშნავს იმას რომ პრევენციას და ადრეულ გამოვლენას აქვს უდიდესი მნიშვნელობა (ორმოცამე 1968, 8).

ევროპული სიდამპლის დაავადება, ხასიათდება მისი ნაკლებად მძიმე, მაგრამ არანაკლებ ძლიერი ზემოქმედებით ფუტკრის ლარვებზე. ამ დაავადების კონტროლისთვის მნიშვნელოვანია სკაში ოპტიმალური პირობების შენარჩუნება, ფოკუსირება სისუფთავეზე, სათანადო ვენტილაციასა და აგრეთვე ფუტკრების იმუნური რეაქციების გასაძლიერებლად ეფექტიანი ღონისძიებების გატარებაზე.

ზემონახსენები დაავადებების გამო მნიშვნელოვნად იზრდება დანაკარგები თაფლის წარმოებაში, ფერხდება დამტვერვის სერვისები, მცირდება ფუტკრის პოპულაცია და დაავადების კონტროლსა და პრევენციის ღონისძიებებზე ხარჯები კი - იზრდება. დაავადებების ზემოქმედება კასკადურად გადადის ფართო სასოფლო-სამეურნეო და ბუნებრივ ეკოსისტემებზე (Mancuso, Croce, & Vercelli 2020, 1–2).

დაავადების შედეგების შერბილების სტრატეგიები, ეფუძნება კომპლექსურ მიდგომას. ქიმიური მკურნალობის, ბიოლოგიური კონტროლისა და მართვის გაუმჯობესებული ტექნიკის კომბინაცია ქმნის დაავადების მართვის ჰოლისტიკურ სტრატეგიას (ხაჩიძე 2015, 3–5). ფუტკრის რეზისტენტული შტამების ადაპტაცია, ბუნებრივი „მტაცებლების“ და გამოცდილი ქიმიური საშუალებების გამოყენება გადამწყვეტია დაავადების შედეგების შესამცირებლად. დაავადების კონტროლის მარეგულირებელი სტანდარტების, გაიდლაინებისა და რეგულაციების დაწესება ხაზს უსვამს ინსტიტუციური მექანიზმების როლს დარგის მდგრადობის გაუმჯობესებაში. ეს ჩარჩოები მნიშვნელოვანი მექანიზმია, ხარისხის კონტროლის უზრუნველსაყოფად და მეფუტკრეებს შორის ცოდნისა და რესურსების გაცვლის ხელშეწყობისთვის. ისტორიულმა მიდგომებმა, ხშირად რეაქტიულმა და ინდივიდუალურმა, ადგილი

დაუთმო უფრო პროაქტიულ, ინტეგრაციულ და თანამშრომლობით დაავადების მართვის სტრატეგიებს (FAO 2021, 5–8; Quiralte et al. 2023, 8).

ამდენად, ფუტკრის დაავადებების მავნე ზემოქმედების შესწავლა და მათი შერბილების სტრატეგიების შემუშავება განაპირობებს მეფუტკრეობის დარგის მდგრადობას. საქმე გვაქვს არა ცალკეულ არამედ ურთიერთდაკავშირებულ, მრავალმხრივ პრობლემებთან, რომლებიც საჭიროებენ ყოვლისმომცველ, ინტეგრირებულ გადაწყვეტილებებს. მნიშვნელოვანია არა მხოლოდ არსებულ დაავადებებთან ბრძოლა, არამედ წარმოქმნილი ახალი საფრთხეების თავიდან აცილება, შერბილების ინოვაციური სტრატეგიების დანერგვა და ზოგადად ეკოსისტემის მდგრადობის და ადაპტაციის გაძლიერება.

ასევე კლიმატის ცვალეზადობა გავლენას ახდენს ფუტკრის ჯანმრთელობაზე, პროდუქტიულობასა და მთლიან ეკოსისტემაზე. კლიმატის ცვლილება ხელშესახებად ზემოქმედებს ფუტკრის პოპულაციის ფენოლოგიაზე, მათ განაწილებასა და სიცოცხლისუნარიანობაზე. ტემპერატურის მატება, ნალექის რაოდენობის მერყეობა და ექსტრემალური ამინდი არაა სტატისტიკური ანომალია; იგი გავლენას ახდენს ფუტკრის ეკოლოგიურ, ბიოლოგიურ და ქცევით პარადიგმებზე (Sperandio ..., 2019: 696).

მაღალი (თბილი) ტემპერატურით გამოწვეული ადრეული ყვავილობა, ფუტკრისთვის ნექტრისა და მტკრის შეგროვებას ართულებს, ვინაიდან ფუტკარი ადრეულ გაზაფხულზე ჯერ კიდევ არაა ძლიერი და ვერ ასწრებს თაფლის მოგროვებას, უარესდება მისი ჯანმრთელობა და პროდუქტიულობა. ასევე იცვლება ფუტკრის სახეობების გეოგრაფიული განაწილება. კლიმატის ცვლილება გავლენას ახდენს ისტორიულად განსაზღვრული სახეობების გავრცელების გეოგრაფიულ საზღვრებზე; მაღალი ტემპერატურის გამო ფუტკრის პოპულაციები მიგრირებენ მაღალ სიმაღლეებზე, რაც აიხსნება ოპტიმალური ეკოლოგიური ნიშების ძიებით.

კლიმატის ცვლილებები ზემოქმედებს ფუტკრის ჯანმრთელობაზეც. მავნებლებისა და დაავადებების გაჩენა და გავრცელება, რაც გამოწვეულია მაღალი ტემპერატურით, ფუტკრის პოპულაციას მზარდი საფრთხის ქვეშ აყენებს. შეცვლილ

კლიმატურ პირობებში ვარია და სხვა პათოგენური მიკროორგანიზმები პოულობენ ხელსაყრელ გარემოს მათი გამრავლებისთვის (Mezher et al. 2021, 9–11).

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში მეფუტკრეობასთან დაკავშირებული გარემოსდაცვითი საკითხები რთული და ურთიერთდაკავშირებულია. ამ გამოწვევების გადაჭრა მოითხოვს ინტეგრირებულ მიდგომასა და მრავალ დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობას, რაც დააბალანსებს გარემოს დაცვის, მდგრადი სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკის და ეკონომიკური პროდუქტიულობის საკითხებს. გარემოსდაცვითი გამოწვევების ფონზე, სამეცნიერო კვლევებსა და ტექნოლოგიურ ინოვაციებზე დაფუძნებული პოლიტიკისა და პრაქტიკის შემუშავება და განხორციელება აუცილებელია მდგრადი მეფუტკრეობის დარგის განვითარებისთვის.

## 2.3 მეფუტკრეობის ეკონომიკური პრობლემები, ექსპორტის შემზღვეველი ფაქტორები

საქართველოს მეფუტკრეობის სექტორის წინაშე მდგარი ეკონომიკური გამოწვევები მრავალმხრივია. განსაკუთრებით მცირე საფუტკრეებს, აქვთ მრავალი ფინანსური პრობლემა, რაც ხელს უშლის წარმოების ოპტიმიზაციას, ხარისხის გაუმჯობესებასა და მომგებიან საექსპორტო ბაზრებზე გასვლას.

კრედიტზე ხელმისაწვდომობა რჩება მთავარ ბარიერად. დაფინანსების მოპოვებასთან დაკავშირებული პრობლემები არ არის უნიკალური კონკრეტული რეგიონისთვის და წარმოადგენს საერთო დაბრკოლებას სხვადასხვა ქვეყანაში მეფუტკრეებისთვის. ფინანსურ ინსტიტუტებს ემინიათ მეფუტკრეობის დარგში არსებულ გარემო ფაქტორებთან, დაავადებებთან და ბაზრის რყევებთან დაკავშირებული გაურკვევლობისა, რაც იწვევს სესხის ადების გართულ პროცედურებს, მაღალ საპროცენტო განაკვეთებს და გირაოს/იპოთეკის აუცილებელ მოთხოვნებს.

მეფუტკრეებს ესაჭიროებათ დაფინანსების სპეციალიზებული ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებიც ითვალისწინებენ მათი ბიზნესის ფულადი ნაკადების

სეზონურ ხასიათს, თანამედროვე აღჭურვილობისთვის საჭირო ინვესტიციებს და საერთაშორისო ხარისხის სტანდარტებთან დაკავშირებულ ხარჯებს. სამწუხაროდ, ხელმისაწვდომ ფინანსურ პროდუქტებსა და მეფუტკრეების სპეციფიკურ საჭიროებებს შორის შეუსაბამობა იწვევს დაფინანსების ნაკლებობას (Никулина & Ледовской 2022, 7–10).

გარდა ამისა, მეფუტკრეებს ხშირად აკლიათ ფინანსების მართვის ცოდნა და უნარები. ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში, მათ შორის საქართველოში, მეფუტკრეობის დარგის შესწავლამ აჩვენა, რომ მეფუტკრეებს ხშირად არ აქვთ საჭირო უნარები ფინანსური რესურსების ეფექტიანად მართვისთვის, რაც იწვევს არაოპტიმალური ფინანსური გადაწყვეტილებების მიღებას და კონკურენტუნარიანობის შემცირებას საერთაშორისო ბაზარზე (Гелашვილი 2021, 60–61).

მთავრობის მხრიდან არასაკმარისი მხარდაჭერა ასევე განაპირობებს მეფუტკრეობის სექტორის ფინანსურ პრობლემებს. მეფუტკრეობის დარგის ფინანსური მდგომარეობის ანალიზის მიხედვით, მთავრობის პოლიტიკა ხშირად არ იძლევა საჭირო მხარდაჭერას ფინანსური დაბრკოლებების დასაძლევად. მიზნობრივი სუბსიდიების, გრანტებისა და წახალისების ნაკლებობა, ისევე როგორც ბიუროკრატია, ართულებს კრედიტებსა და სხვა ფინანსურ რესურსებზე წვდომას.

ბაზრის აღქმისა და ბრენდინგის საკითხები ემატება მეფუტკრეების წინაშე არსებულ ფინანსურ გამოწვევებს. ქართული თაფლისა და მეფუტკრეობის სხვა პროდუქტების მკაფიო ბრენდის იდენტობის არარსებობა ართულებს საერთაშორისო ბაზარზე პრემიუმ ფასების სეგმენტში მოხვედრას. თითოეულ მწარმოებელს ან ასოციაციას ხშირად აქვს საკუთარი უნიკალური მიდგომა ბრენდინგისა და ხარისხის უზრუნველყოფის მიმართ, რაც იწვევს ბაზარზე ერთგვაროვნებისა და თანმიმდევრულობის ნაკლებობას. ეს ფრაგმენტაცია ასუსტებს ქართული მეფუტკრეობის პროდუქციის უნარს დაიკავოს მკაფიო ნიშა საერთაშორისო ბაზარზე, სადაც დამკვიდრებული არიან ბრენდები თანმიმდევრული ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებით.

ბაზრის აღქმაზე გავლენას ახდენს არა მხოლოდ ბრენდინგი და ხარისხი, არამედ პროდუქტებთან დაკავშირებული მოლოდინები და ისტორიები. ქართული

ფუტკრის პროდუქტების შემთხვევაში, დამაჯერებელი აღწერილობების/ისტორიების ნაკლებობა, ამცირებს ბრენდის იდენტობას და მომხმარებელთა მხრიდან ლოიალობას.

მომხმარებელთა აღქმაზე ასევე გავლენას ახდენს ისეთი ფაქტორების, როგორცაა გარემოს მდგრადობა და წარმოების ეთიკური მეთოდები. მდგრადი და ეთიკური პრაქტიკა არაა სრულად ინტეგრირებული ქართულ მეფუტკრეობაში, რაც ამცირებს პროდუქტების მიმზიდველობას, განსაკუთრებით მომხმარებელთა იმ მზარდ სეგმენტში, რომლებიც ყიდვის გადაწყვეტილების მიღებისას პრიორიტეტს ანიჭებენ გარემოსდაცვით და ეთიკურ მოსაზრებებს.

ფინანსური პრობლემების გადაჭრაში ასევე გასათვალისწინებელია ტექნოლოგიის როლი. ტექნოლოგიურ მიღწევებს აქვს შესაძლებლობა შეამციროს საოპერაციო ხარჯები, გაზარდოს პროდუქტიულობა და გააუმჯობესოს მეფუტკრეობის პროდუქციის ხარისხი. თუმცა, თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვისთვის საჭირო მნიშვნელოვანი პირველადი კაპიტალდაბანდება, რაც ხშირად დაუძლეველი პრობლემაა მცირე მეფუტკრეებისთვის.

ამგვარად, საქართველოს მეფუტკრეობის დარგის წინაშე მდგარი ფინანსური გამოწვევების მოგვარება მოითხოვს კომპლექსურ მიდგომას. აუცილებელია კრედიტზე ხელმისაწვდომობის გაზრდა, სპეციალიზებული ფინანსური პროდუქტების განვითარება, ფინანსური წიგნიერების გაუმჯობესება და სახელმწიფო მხარდაჭერის გაძლიერება. თანაბრად მნიშვნელოვანია ტექნოლოგიებისა და ინოვაციების გამოყენება დარგის ფინანსური მდგრადობისა და კონკურენტუნარიანობის გასაუმჯობესებლად გლობალურ ბაზარზე.

საქართველოს მეფუტკრეობის დარგში ტექნოლოგიების დანერგვას მნიშვნელოვანი ბარიერები აფერხებს. გარდა მნიშვნელოვანი საწყისი კაპიტალის საჭიროებისა, იკვეთება თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების ცოდნისა და გამოცდილების ნაკლებობა, რაც თავის მხრივ გამოწვეულია სპეციალიზებული სასწავლო პროგრამების ნაკლებობით.

ახალი ტექნოლოგიების დანერგვას ასევე აფერხებს არასაკმარისად განვითარებული ინფრასტრუქტურა სოფლად, მით უფრო დაუსახლებელ

ტერიტორიებზე, გზების, ელექტრომომარაგების და ინტერნეტის მიუწვდომლობა ამცირებს თანამედროვე ტექნოლოგიების ოპერატიულ ეფექტიანობას (Cyraeva 2012, 177).

მეფუტკრეობის დარგში კვლევისა და განვითარების (R&D) მიმართულება საქართველოში შესამჩნევად ჩამორჩება თანამედროვე ტემპებს. R&D სისტემის არარსებობა მნიშვნელოვანი ბარიერია ინოვაციებისთვის. რთულდება გლობალური ტექნოლოგიური ინოვაციების დანერგვა დაადგილობრივ პირობებთან ადაპტაცია (Glavan 2014, 95–98).

იტალიაში ჩატარებულმა კვლევამ გამოავლინა მსგავსი პრობლემები ევროპულ კონტექსტში, სადაც მეფუტკრეებს ექმნებოდათ ბარიერები ტექნოლოგიების დანერგვაში ფინანსური შეზღუდვებისა და მხარდამჭერი პოლიტიკის არარსებობის გამო. აღინიშნა თანამშრომლობითი, მონაწილეობითი მიდგომის აუცილებლობა ამ ბარიერების გადასაჭრელად, აგრეთვე გამოიკვეთა მთავრობის, ფინანსური ინსტიტუტებისა და საერთაშორისო პარტნიორების როლი ტექნოლოგიური პროგრესის წარმართვაში (Salvioni & Cerroni 2023, 1–2).

საქართველოს მეფუტკრეობის დარგის წინაშე დგას ასევე მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული და ლოგისტიკური გამოწვევები, რაც გავლენას ახდენს ღირებულების ჯაჭვის ყველა ელემენტზე. სოფლები, სადაც მეფუტკრეობა გავრცელებულია, ხშირად ხასიათდება არაადეკვატური სატრანსპორტო ქსელებით. ეს ლოგისტიკური ხარვეზები ზღუდავს ბაზრებზე წვდომას, ხელს უშლის ფუტკრის პროდუქტების დროულ ტრანსპორტირებას და ქმნის ხარისხის კონტროლის პრობლემებს.

ანალოგიურად დეფიციტურია ფუტკრის პროდუქტების დამუშავებისა და შენახვის ინფრასტრუქტურა. მეფუტკრეობის მდგრადობის შესახებ ჩატარებულმა კვლევამ ხაზი გაუსვა თანამედროვე შენახვისა და გადამამუშავებელი საშუალებების ნაკლებობას, როგორც ხარისხის კონტროლის მნიშვნელოვან ბარიერს. სათანადო შენახვის პირობების გარეშე, ფუტკრის პროდუქტების შენახვის ვადა და საერთო ხარისხი მცირდება, რაც საფრთხეს უქმნის მათ კონკურენტუნარიანობას როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო ბაზარზე. გარდა ამისა, ეფექტიანობისა და

ხარისხის გასაუმჯობესებლად საჭიროა გაიზარდოს თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი გადამამუშავებელი საშუალებები (Bunde & Kibet 2016, 960).

ლოგისტიკური გამოწვევები ამწვავებს ფუტკრის პროდუქტების უნიკალურ საჭიროებებზე მორგებული სპეციალიზებული სერვისების ნაკლებობას. მეფუტკრეობის პროდუქტების ტრანსპორტირება მოითხოვს განსაკუთრებულ პირობებს, მათი ხარისხისა და მთლიანობის შესანარჩუნებლად. თუმცა, საქართველოში ასეთი სპეციალიზებული ლოგისტიკური სერვისების არარსებობა ხელს უშლის დარგის უნარს დააკმაყოფილოს საერთაშორისო ბაზრების ხარისხის მკაცრი მოთხოვნები.

ინფრასტრუქტურისა და ეფექტიანი ლოგისტიკის გავლენა დიდია ფუტკრის პროდუქტების კონკურენტუნარიანობაზე. განვითარებული ინფრასტრუქტურისა და ეფექტიანი ლოგისტიკის მქონე ქვეყნებს შეუძლიათ მოიპოვონ კონკურენტული უპირატესობა მეფუტკრეობის პროდუქტების გლობალურ ბაზარზე. ამ ქვეყნებმა შეძლეს შეექმნათ ღირებულების ჯაჭვები, რომლებიც უზრუნველყოფენ ხარისხს, ეფექტიანობას და ბაზარზე წვდომას.

ინფრასტრუქტურის განვითარებაში ინვესტიცია ძალიან მნიშვნელოვანია. თუმცა, ფინანსური შეზღუდვები, რომელსაც აწყდება მეფუტკრეობის სექტორი საქართველოში, ხელს უშლის მნიშვნელოვან პროგრესს ამ კუთხით. შეზღუდულია საკრედიტო და ფინანსურ ინსტრუმენტებზე წვდომა ინფრასტრუქტურის განვითარების დასაფინანსებლად, რაც განპირობებულია მეფუტკრეობის დარგთან დაკავშირებული მაღალი რისკებით.

ტექნოლოგიას შეუძლია შეასრულოს ტრანსფორმაციული როლი ინფრასტრუქტურისა და ლოგისტიკური პრობლემების გადაჭრაში. თანამედროვე ტექნოლოგიების ინტეგრაციას გადამამუშავებს, შენახვასა და ლოგისტიკაში შეუძლია გაზარდოს ეფექტიანობა, შეამციროს ხარჯები და გააუმჯობესოს ფუტკრის პროდუქტების ხარისხი (Mushonga et al. 2019, 7–8; Uthoff, Homs, & Von Bergen 2023, 1–2).

ინფრასტრუქტურისა და ლოგისტიკური გამოწვევების მოგვარება აუცილებელია მეფუტკრეობის დარგის ეფექტიანობის გასაუმჯობესებლად და

საქართველოს გლობალური კონკურენტუნარიანობის გასაძლიერებლად. ხელსაყრელი გარემოს შექმნა, რომელიც წახალისებს ინოვაციებს, ინვესტიციებს და ლოგისტიკურ განვითარებას, ხელს შეუწყობს სექტორის მდგრად ზრდას.

ცოდნისა და პროფესიული განვითარების დეფიციტი არის ყველაზე მნიშვნელოვანი დაბრკოლება, რომელიც ზღუდავს ქართული მეფუტკრეობის დარგის ზრდას და კონკურენტუნარიანობას. როგორც ბოლო კვლევებშია ხაზგასმული, განსაკუთრებით მცირე მასშტაბით მომუშავე მეფუტკრეებს, აქვთ მნიშვნელოვანი სირთულეები თანამედროვე სასწავლო პროგრამებზე წვდომისას. არსებული ტრენინგების ინიციატივები ხშირად ფრაგმენტულია და არ აქვს თანაკვეთა დარგის დღევანდელ საჭიროებებთან, შესაბამისად სამუშაო ძალას არ გააჩნია საჭირო უნარები და ცოდნა.

მეფუტკრეობის დინამიკა ცვალებადია და მოიცავს დაავადებების მართვის ახალ მიდგომებს, გარემოს ცვლილებებს და ბაზრის ცვალებად მოთხოვნილებებს, რაც მოითხოვს უფრო კვალიფიციურ და მცოდნე მუშახელს. თუმცა სასწავლო გეგმებს შესაბამისი ცვლილებები არ განუცდია. სპეციალიზებულ სასწავლო პროგრამებს აქვთ შესამჩნევი ხარვეზები. მეფუტკრეები ხშირად ვერ იყენებენ უახლეს ტექნოლოგიას პროდუქტიულობის გასაუმჯობესებლად, დაავადების გასაკონტროლებლად და ხარისხის უზრუნველსაყოფად. მეფუტკრეობაში თანამედროვე ტექნოლოგიების ინტეგრაციას მნიშვნელოვანად აბრკოლებს შესაბამისი სასწავლო პროგრამების ნაკლებობა.

გარდა ამისა, არსებული სასწავლო ინიციატივები ხშირად მიუწვდომელია ყველა მეფუტკრისათვის. გეოგრაფიული, ფინანსური და ინფორმაციული ბარიერები აფერხებს ტრენინგზე ხელმისაწვდომობას, რის გამოც მეფუტკრეების დიდი ნაწილი მუშაობს ტრადიციული და ხშირად მოძველებული მეთოდების გამოყენებით.

ამდენად, საქართველოს მეფუტკრეობის დარგში მეფუტკრეთა სწავლებისა და გადამზადების ხარვეზების აღმოსაფხვრელად საჭიროა დაინტერესებულ მხარეების შეთანხმებული ძალისხმევა, შესაბამისი პოლიტიკის რეფორმა, ინვესტიციები სასწავლო ინფრასტრუქტურაში, მოწინავე ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინებით კურიკულუმების შემუშავება. მეფუტკრეების აღჭურვა

აქტუალური უნარებითა და ცოდნით, უპასუხებს მეფუტკრეობაში დღევანდელ გამოწვევებსა და შესაძლებლობებს, ხელს შეუწყობს დარგის მდგრადობასა და გლობალურ კონკურენტუნარიანობას.

## II თავის დასკვნები

ამ თავში სისტემურად არის გაანალიზებული საქართველოში მეფუტკრეობის დღევანდელი მდგომარეობა და მასთან დაკავშირებული რთული ეკონომიკური პრობლემები. ანალიზმა, რომელიც დაფუძნებულია ემპირიულ და თვისებრივ მონაცემებზე, გამოავლინა საკითხები, რომლებიც მნიშვნელოვანია მეფუტკრეობის სექტორის შემდგომი განვითარებისთვის.

1. საერთაშორისო დონზე მეფუტკრეობა ხასიათდება განვითარებადი ტენდენციებითა და ინტენსიური კონკურენციით. გლობალურ ბაზარზე შესვლას თან ახლავს მნიშვნელოვანი ბარიერები, მათ დასაძლევად და საქართველოს კონკურენტუნარიანობის გასაუმჯობესებლად მნიშვნელოვანია სტრატეგიული პოზიციონირება და აქტიური საერთაშორისო თანამშრომლობა.

2. გაეროს ოფიციალური სტატისტიკის 2009-2023 წლების მონაცემებზე დაყრდნობით განხორციელდა საქართველოსა და მსოფლიოს სხვა ქვეყნებში ნატურალური თაფლის წარმოების შედარებითი უპირატესობის (RCA), საექსპორტო კონკურენტუნარიანობისა (ECI) და ექსპორტის დივერსიფიკაციის (EDI) ინდექსების გაანგარიშება. შედგენილ იქნა ქვეყნების რეიტინგული სია. ამასთანავე ცალკე დეტალურად შედარდა საქართველოს და მისი მეზობელი ქვეყნების - რუსეთის ფედერაციის, თურქეთის, სომხეთისა და აზერბაიჯანის -საექსპორტო პოზიციები ზემოჩამოთვლილი ინდექსების მიხედვით. ანალიზმა ცხადყო საქართველოს საექსპორტო პოზიციების მკვეთრი ზრდა განსაკუთრებით ბოლო წლების განმავლობაში.

3. მეფუტკრეობის ამჟამინდელი მდგომარეობის დეტალური განხილვა წარმოაჩენს დარგში არსებულ გამოწვევებს: ფუტკრის დაავადებები, კლიმატის ცვლილებები, გარემოსდაცვითი პრობლემები. მნიშვნელოვანია, რომ ძლიერ

საერთაშორისო კონკურენციაში, გლობალური ტენდენციების გათვალისწინებით, საქართველო იბრძვის თავისი ნიშის დასაკავებლად და ბაზრის ბარიერების გადასალახად, თუმცა არსებობს ფინანსური, ტექნოლოგიური და ინფრასტრუქტურული ბარიერები. რომლებსაც კიდევ უფრო ამწვავებს მეფუტკრეების არასაკმარისი განათლების დონე და საჭირო უნარების ნაკლებობა, არასაკმარისად შესაბამისი სახელმწიფო პოლიტიკა, კერძო სექტორისა და სამოქალაქო საზოგადოების პასიურობა.

4. მეფუტკრეობის დარგის მარეგულირებელ და ინსტიტუციურ ჩარჩოს, მიუხედავად იმისა, რომ მიზანმიმართულია მეფუტკრეობის განვითარებისაკენ, აქვს ხარვეზები და გამოწვევები. ადგილობრივი და ეროვნული ინსტიტუტებისა და დაინტერესებული მხარეების, მათ შორის არასამთავრობო ორგანიზაციებისა და კერძო სექტორის როლი საკვანძოა და საჭიროებს გაძლიერებას მეფუტკრეობის დარგის მარეგულირებელი და მხარდამჭერი ეკოსისტემის შემდგომი სრულყოფისათვის.

მე-2 თავში შემოთავაზებული საქართველოს მეფუტკრეობის ამჟამინდელი მდგომარეობისა და ეკონომიკური პრობლემების დეტალური ანალიზი და მიღებული დასკვნები წარმოადგენს მე-3 თავის ფუნდამენტურ საფუძველს, რომელიც შეისწავლის მეფუტკრეობის ეფექტიანობის გაუმჯობესების შესაძლებლობებსა და პერსპექტივებს, განვითარების სტრატეგიების განხორციელებას და ეკონომიკური ურთიერთობების გაუმჯობესებას წარმოებული პროდუქციის ზრდისა და ექსპორტის სტიმულირებისთვის.

## თავი III. მეფუტკრეობის განვითარების შესაძლებლობები და პერსპექტივები

ეს თავი ეძღვნება საქართველოში მეფუტკრეობის დარგის განვითარების პერსპექტივებისა და შესაძლებლობების სიღრმისეულ ანალიზს. მასში წარმოდგენილია პოტენციური ეფექტიანობის, თანამედროვე ტექნოლოგიებისა და სტრატეგიული მიმართულებების საფუძვლიანი კვლევა, რომელიც ხელს შეუწყობს სექტორის ზრდას და კონკურენტუნარიანობის ამაღლებას როგორც შიდა, ისე საერთაშორისო დონეზე.

ქვეთავი 3.1 მეფუტკრეობის ეფექტიანობის ამაღლება და თანამედროვე ტექნოლოგიები ეთმობა ტექნოლოგიური მიღწევების საფუძველზე მეფუტკრეობის ეფექტიანობის გაუმჯობესების გზებს. მიმდინარე ტექნოლოგიური მდგომარეობის, ინოვაციებისა და სამეცნიერო მიღწევების ანალიტიკური მიმოხილვა ხორციელდება მეფუტკრეობის პროდუქტიულობისა და ეკონომიკური სიცოცხლისუნარიანობის გაუმჯობესების პოტენციური გზების გამოსავლენად. ასევე განხილულია შესაბამისი პროფესიული სწავლების როლი ტექნოლოგიების დანერგვის ხელშეწყობაში.

ქვეთავი 3.2 მეფუტკრეობის განვითარების სტრატეგიის შემუშავება - ფოკუსირებულია მეფუტკრეობის განვითარების სტრატეგიების ფორმულირებასა და შეფასებაზე. სახელმწიფო პოლიტიკის არსებული ჩარჩოები შეფასებულია მათი ეფექტიანობით. ასევე შესწავლილია მეფუტკრეობის განვითარების ახალი მოდელები. ქვეთავში ხაზგასმულია მდგრადობის და გარემოსდაცვითი საკითხების როლი ინკლუზიური და მოქნილი სტრატეგიების შემუშავებაში.

ქვეთავი 3.3 ეკონომიკური ურთიერთობები და ექსპორტის ზრდის ძირითადი მიმართულებები ეთმობა მეფუტკრეობაში ეკონომიკური ურთიერთობების გაუმჯობესებას და განსაზღვრავს მზა პროდუქციის ექსპორტის ზრდის ძირითად მიმართულებებს. ბაზრის დეტალური ანალიზის საფუძველზე წარმოდგენილია საქართველოს უნიკალური უპირატესობები კონკურენტებთან შედარებით. ქვეთავში

ასევე განხილულია ბრენდინგის, მარკეტინგული სტრატეგიების და ეკონომიკური კავშირების როლი სავაჭრო ურთიერთობების განმტკიცებაში.

მთლიანობაში ეს თავი ეძღვნება წინა თავში აღწერილი მეფუტკრეობის დარგის ეკონომიკური პრობლემების პრაგმატული და ინოვაციური გადაწყვეტილებების პერსპექტივებს. კვლევის შედეგად მიღებული დასკვნები მიზნად ისახავს წვლილი შეიტანოს მტკიცებულებებზე დაფუძნებული, სტრატეგიული და მდგრადი ინტერვენციების განვითარებაში, რომლებიც ხელს შეუწყობს ქართული მეფუტკრეობის დარგის წინსვლას, ეკონომიკურ ზრდასა და საერთაშორისო ბაზარზე განსაკუთრებული ნიშის დაკავებას.

### **3.1 მეფუტკრეობის ეფექტიანობის ამაღლება და თანამედროვე ტექნოლოგიები**

საქართველოს მეფუტკრეობის სექტორში ტექნოლოგიების ინტეგრაციის ამჟამინდელი მდგომარეობა მოიცავს ტრადიციული მეთოდოლოგიებისა და განვითარებადი ინოვაციების ერთობლიობას. მიუხედავად იმისა, რომ დარგში გამოიყენება ძირითადად დროში გამოცდილი პრაქტიკა, შესამჩნევია მეფუტკრეთა მისწრაფება თანამედროვე ტექნოლოგიების მიღებისკენ, რომლებიც მიზნად ისახავს პროდუქტიულობის, ხარისხისა და კონკურენტული უპირატესობის გაზრდას გლობალურ ბაზარზე.

ტექნოლოგიების დანერგვის მასშტაბები განსხვავებულია, მცირე ბიზნესი ხშირად განიცდის ფინანსურ სირთულეებს და თანამედროვე ტექნოლოგიებზე ხელმისაწვდომობის ნაკლებობას. ეს მეწარმეები ძირითადად ეყრდნობიან მეფუტკრეობის მექანიკურ და ტრადიციულ მეთოდებს, რომლებიც, მიუხედავად იმისა, რომ ეკონომიურია, წარმოშობს შეზღუდვებს მასშტაბურობისა და ხარისხის უზრუნველყოფის კუთხით. ამის საპირისპიროდ, უფრო მსხვილ საფუტკრეებს ახასიათებთ თანამედროვე ტექნოლოგიების ინტეგრაციის შედარებით მაღალი დონე, რაც ნაკარნახევია საოპერაციო ეფექტიანობისა და ბაზარზე კონკურენტუნარიანობის ამაღლების სურვილით.

თანამედროვე მსოფლიოში ტექნოლოგიების ინტეგრაცია ეხება ინოვაციური მეთოდებით ფუტურის ოჯახების მართვას, თავლის მოპოვებასა და გადამუშავებას. ავტომატიზებული სისტემები და მონაცემთა ბაზებზე დაფუძნებული მიდგომები სულ უფრო და უფრო მოთხოვნილი ხდება წარმოების ციკლების ოპტიმიზაციის, ფუტურის ოჯახების ჯანმრთელობის მონიტორინგისა და თავლის მაღალი ხარისხის უზრუნველსაყოფად. ტექნოლოგიები, რომლებიც ხელს უწყობენ გარემო პირობებისა და ფუტურის ქცევის მონიტორინგს რეალურ დროში, იქცნენ ინსტრუმენტებად დაავადებებისა და არასასურველი ამინდის პირობებთან დაკავშირებული რისკების შესამცირებლად (Колупаев 2021b, 247–48).

მიუხედავად ამ მიღწევებისა, სექტორი აწყდება გამოწვევებს, რომლებიც ხელს უშლის თანამედროვე ტექნოლოგიების ფართოდ დანერგვას. ფინანსური შეზღუდვები, მეფუტურების მომზადების არაადეკვატური პროგრამები და ტექნოლოგიური განვითარების თანმიმდევრული ეროვნული სტრატეგიის არარსებობა შესამჩნევი დაბრკოლებებია. სექტორის განვითარებას კიდევ უფრო აფერხებს კრედიტზე შეზღუდული ხელმისაწვდომობა და ტექნოლოგიური ინტეგრაციის პოტენციური დივიდენდების შესახებ ინფორმირებულობის დაბალი დონე.

დარგის ტექნოლოგიური განვითარების დონის ანალიზი ცხადყოფს სტრატეგიული ჩარევების აუცილებლობას ამ გამოწვევების დასაძლევად. სახელმწიფო ეკონომიკური პოლიტიკის რეფორმები, მეფუტურეთა შესაძლებლობების განვითარების ინიციატივები და ფინანსური ინტერვენციები საჭიროა ტექნოლოგიური პროგრესისთვის ხელსაყრელი გარემოს შესაქმნელად. ასევე საჭიროა ერთობლივი ძალისხმევა სამთავრობო უწყებების, კერძო სექტორისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მონაწილეობით, რათა ხელი შეუწყონ ქვეყანათა შორის ტექნოლოგიების ტრანსფერს და ინოვაციას.

რაც შეეხება საქართველოს მეფუტურების დარგში ტექნოლოგიების დანერგვის ამჟამინდელი მდგომარეობას, იგი შეიძლება ვთქვათ, ერთგვარ გზაჯვარედინზეა. მოდერნიზაციის გარკვეული მიღწევების მიუხედავად, მნიშვნელოვანი ბარიერები უნდა გადაიჭრას ტექნოლოგიების ინტეგრაციის სრული

პოტენციალის რეალიზაციისთვის. ყოვლისმომცველი მიდგომა, რომელიც მოიცავს სახელმწიფო პოლიტიკის განხილვას, ფინანსურ მხარდაჭერას, შესაძლებლობების განვითარებას და საერთაშორისო თანამშრომლობას, საჭიროა დარგის ტრადიციული პარადიგმებიდან ტექნოლოგიურად განვითარებულ საფეხურზე ასასვლელად, თუმცა, ეს არ უნდა მოხდეს ეკოლოგიური და გარემოსდაცვითი საკითხების უგულვებელყოფის ხარჯზე.

მეფუტკრეობის ტექნოლოგიური განვითარება დაფუძნებულია ინოვაციების გავრცელებაზე, რომლებიც აღმოფხვრის არსებულ ხარვეზებს, პრობლემებს და მიიყვანს დარგს ეფექტიანობისა და პროდუქტიულობის ახალ სიმაღლეებამდე. ზუსტ ინფორმაციებზე დაფუძნებული, ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღების ეპოქაში, მონაცემთა გაციფრულება, ავტომატიზაცია და მათი ანალიტიკა აუცილებელია მეფუტკრეობის ტრადიციული პარადიგმების სრულყოფისათვის (Cota et al. 2023, 15).

ერთ-ერთი თვალსაჩინო მიღწევაა ინტერნეტკავშირის მქონე სენსორების დანერგვა, რომლებიც რეალურ დროში იძლევა ინფორმაციას სკაში არსებული მდგომარეობისა და ფუტკრების ჯანმრთელობის შესახებ (Huet et al. 2022, 1). ეს სენსორები, ხელოვნური ინტელექტის ალგორითმებთან კომბინაციაში, ხელს უწყობენ არსებული მდგომარეობის ანალიზსა და მომავალი პერსპექტივების პროგნოზირებას, რაც საშუალებას აძლევს მეფუტკრეებს დროულად განჭვრიტონ პრობლემები და გადადგან საჭირო ნაბიჯები პროდუქტიულობის მაქსიმიზაციისათვის (Ntawuzumunsi et al. 2023, 367). მოსალოდნელია, რომ დრონები, კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ინოვაცია, მოახდენენ რეკოლუციას მონიტორინგსა და ინსპექტირების პროცესებში საჰაერო ინფორმაციის მიწოდებით და სკების მართვის სიზუსტის გაზრდით (Al Toufailya 2016, 61–68).

თაფლის დაწურვის ავტომატური ტექნოლოგიები შეამცირებს შრომის ინტენსივობას, გაზრდის ეფექტიანობას და ხარისხს. მოსალოდნელია, რომ ეს ტექნოლოგიები, ინტეგრირებული ხელოვნურ ინტელექტთან, არა მხოლოდ გაამარტივებს თაფლის მიღების პროცესს, არამედ მოახდენს დანაკარგების მინიმიზაციასა და მაქსიმალურ მოსავლიანობას. უფრო მეტიც, მოსალოდნელია, რომ

ციფრული ტექნოლოგიები შეასრულებენ მთავარ როლს მონაცემთა ანალიტიკაში, ნედლი მონაცემების გარდაქმნაში სასარგებლო ინფორმაციად ინფორმირებული გადაწყვეტილებების მისაღებად.

შეფუთვის ტექნოლოგიებში ინოვაციები მოსალოდნელია გაზრდის თავლის შენახვის ვადას და ხარისხს. ეს ინოვაციები დააკმაყოფილებს მდგრადი განვითარების იმპერატივებს იმის უზრუნველსაყოფად, რომ ტექნოლოგიურმა პროგრესმა არ დააზარალოს ბუნებრივი გარემო. უფრო მეტიც, მიღწევები შენახვის ტექნოლოგიებში მოახდენს შენახვის პირობების ოპტიმიზაციას, რაც უზრუნველყოფს ფუტკრის პროდუქტების მაღალ ხარისხსა და უსაფრთხოებას (Masuku 2013, 236).

თუმცა ამ პოტენციური მიღწევების საყოველთაოდ დასაწერად საჭიროა, ფინანსური შეზღუდვების, სათანადო ცოდნისა და უნარების ნაკლებობის და არასრულყოფილი მარეგულირებელი ჩარჩოს სახით არსებული გამოწვევების გადალახვა. ამ პრობლემების მოგვარება მოითხოვს მრავალმხრივ მიდგომას, რომელიც მოიცავს სახელმწიფო პოლიტიკის რეფორმებს, სტრატეგიულ ინვესტიციებს და შესაძლებლობების განვითარების ინიციატივებს (Khositashvili et al. 2019, 45).

ამდენად, მეფუტკრეობის სექტორში პოტენციური ტექნოლოგიური მიღწევები გზას უხსნის მეფუტკრეობის მომავალს, რომელიც ხასიათდება ეფექტიანობით, სიზუსტით და მდგრადობით. ეს ინოვაციები, მიუხედავად იმისა, რომ თან ახლავს გარკვეული გამოწვევებით, გვპირდება დარგის გარდაქმნას, თანამედროვე სოფლის მეურნეობის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანას და მის კონკურენტუნარიანობის გაზრდას გლობალურ ბაზარზე. ამ პოტენციალის რეალიზება დამოკიდებულია თანამშრომლობით მიდგომაზე, რომელიც მოიცავს ყველა დონის დაინტერესებულ მხარეს. საჭიროა გაერთიანება არსებული პრობლემების გადასაჭრელად და ინოვაციების დანერგვისთვის ხელსაყრელი გარემოს შესაქმნელად.

მეფუტკრეობის დარგში ინოვაციების კლასიფიცირება შესაძლებელია განხორციელდეს სქემა N4-ის შესაბამისად.



წყარო: შემუშავებულია ავტორის მიერ (Жилин 2009, 47)-ის საფუძველზე

კვლევა და ინოვაცია მეფუტკრეობის დარგის განვითარების ტრანექტორიის განმსაზღვრელი ძირითადი ფაქტორებია. მათი საშუალებით ხდება დარგის სპეციფიკური პრობლემების გადაჭრა და წინსვლა მაღალეფექტიანობისა და პროდუქტიულობისაკენ. ისინი არ არიან იზოლირებულნი; არამედ არსებობენ სიმბიოტურ ურთიერთობაში, სადაც კვლევის შედეგები გზას უხსნის პრაქტიკულ ინოვაციას, ხოლო გამოყენებითი ინოვაციების რეალური შედეგები საფუძველს იძლევა შემდგომი კვლევისთვის.

ფუტკრის ბიოლოგიასთან დაკავშირებული კვლევების ანალიზი გვიჩვენებს კომპლექსურ ქცევებისა და ადაპტირების მექანიზმების მნიშვნელობას. ფუტკრის ბიოლოგიის, გენეტიკის და გარემოზე ზემოქმედების ურთიერთქმედების კვლევა ფუნდამენტურია. ისინი გვაწვდიან კრიტიკულ ინფორმაციას, რომელიც ხელს უწყობს ინოვაციების განვითარებას; შედეგად: აუმჯობესებენ ფუტკრის ჯანმრთელობას,

პროდუქტიულობას და რეზისტენტულობას დაავადებებისა და გარემოსდაცვითი სტრესის მიმართ.

ავტომატური სისტემები, ხელოვნური ინტელექტი, ჰკვიანი მანქანები და მონაცემთა ანალიტიკა ცვლის მეფუტკრეობის ტრადიციულ მეთოდებს. ეს ტექნოლოგიები არაა მხოლოდ ცალკეული ინსტრუმენტები; ეს არის ინტეგრირებული სისტემები, რომლებიც მოიცავენ მეფუტკრეობის ყველა ასპექტს - მონიტორინგიდან და მენეჯმენტიდან დაწყებული მეფუტკრეობის პროდუქტების მიღებით და დამუშავებით დამთავრებული.

ფუტკრის დაავადებები ყოველთვის იყო და გარკვეულწილად დღესაც რჩება მეფუტკრეობის დარგის ერთერთ ყველაზე დიდ გამოწვევად. ამ მიმართულებითაც ინოვაცია და კვლევა მნიშვნელოვან როლს თამაშობს. კვლევის შედეგად დგინდება დაავადების პათოლოგია, გადაცემის დინამიკა და გავლენა. ინოვაციები კი დიაგნოსტიკურ ინსტრუმენტებში, მკურნალობის პროტოკოლებსა და პრევენციულ ზომებში არიან კვლევის შედეგად მიღებული შედეგების პრაქტიკულად გამოყენების ინსტრუმენტები. თავის მხრივ პრაქტიკულად მიღებული შედეგები ასახვას პოვენს უკვე ახალ კვლევებში, ამგვარად, თეორიული აღმოჩენები, გამყარებული პრაქტიკული შედეგებით ამსუბუქებს დაავადებების მავნე გავლენას და ზრდის ფუტკრის ოჯახების მდგრადობას (Aşkan 2023, 1–3; Al Toufailia 2016, 7–14).

კვლევის საგანია ასევე ბაზრის დინამიკა და სამომხმარებლო ტენდენციები. ბაზრის საჭიროებების, მომხმარებელთა პრეფერენციებისა და მარეგულირებელი მოთხოვნების დადგენა მნიშვნელოვანია. სწორედ ამ ტიპის კვლევების საფუძველზე, ხდება მეფუტკრეობის დარგის სტრატეგიებისა და წარმოებული პროდუქციის შესაბამისობა ბაზრის მოთხოვნებთან, რაც უზრუნველყოფს კონკურენტუნარიანობას გლობალურ ბაზარზე.

ინოვაციების ეკოსისტემა კიდევ უფრო მდიდრდება ერთობლივი კვლევებით, რომელშიც სამეცნიერო წრეებთან ერთად ჩართული არიან სახელმწიფო უწყებები, არასამთავრობო სექტორი და ბაზრის ძირითადი მონაწილეები: მსხვილი მწარმოებლები და მომხმარებელთა ასოციაციები. ასეთი თანამშრომლობა აუცილებელია. ეს უზრუნველყოფს კვლევის ყოვლისმომცველობას. კვლევებზე

დაფუძნებული მარეგულირებელი გარემო კი თავისთავად ქმნის ნიადაგს ახალი ტექნოლოგიებისა და ინოვაციების დანერგვისათვის (Druker & Y 1985, 30–35).

ინოვაციასა და კვლევას შორის არსებული ურთიერთკავშირი არაა წრფივი, არამედ ექსპონენციალური. ყოველი კვლევის აღმოჩენა, რომელიც გადაიქცევა პრაქტიკულ ინოვაციად, საფუძველს უყრის შემდგომ კვლევას. ეს არის ურთიერთდამოკიდებული ციკლი, რომელშიც თანამედროვე ინოვაციების მიერ წამოჭრილი კითხვები ხვალისდელი დღის კვლევის თემად იქცევა.

მაგალითად, ხელოვნური ინტელექტის გამოყენება მეფუტკრეობაში აჩენს კითხვებს მონაცემთა უსაფრთხოების, ეთიკური მოსაზრებების და ამ ტექნოლოგიების გრძელვადიანი გავლენის შესახებ ფუტკრის პოპულაციასა და ქცევაზე. ასეთი კითხვები ხდება მომავალი კვლევის საგანი და მიღებული ცოდნა აყალიბებს ინოვაციის შემდეგ ტალღას (Alleri et al. 2023, 11).

პოლიტიკისა და რეგულირების როლი ინოვაციების ფორმირებაში უმნიშვნელოვანესია. პოლიტიკა გავლენას ახდენს კვლევის პრიორიტეტებზე, დაფინანსების განაწილებაზე და ინოვაციების სიჩქარეზე. მათ შეუძლიათ ინოვაციების ეკოსისტემის სტიმულირება ან ბარიერების შექმნა. აქედან გამომდინარე, პოლიტიკისა და მარეგულირებელი ნორმების ზემოქმედების კვლევები უნდა ახდენდნენ ინოვაციების სამართლებრივ და ეთიკური სტანდარტებთან შესაბამისობას (Narang, Kumar, & Gupta 2022, 194).

ამდენად, ინოვაციებისა და კვლევის როლი მეფუტკრეობის დარგში არის დინამიური, გამოირჩევა აღმოჩენებით, გამოწვევებით, გადაწყვეტილებებითა და უწყვეტი სრულყოფის პროცესით. ამ სფეროში მიღებული ყოველი ინოვაცია არის კვლევაზე დაფუძნებული, რომელიც ხელს უწყობს დარგში არსებული ცოდნის ბაზის განვითარებას.

მეფუტკრეობის მომავალი არსებითად დამოკიდებულია კვლევებსა და ინოვაციებზე. რაც ხაზს უსვამს ამ მიმართულებით მუდმივი ინვესტიციების აუცილებლობას, პოლიტიკის რეფორმებს, რათა შეიქმნას ინოვაციური გარემო, და ერთობლივი ძალისხმევა კვლევის შედეგების პრაქტიკულ, მასშტაბურ და გავლენიან ინოვაციებად გადაქცევისთვის.

მეფუტკრეობაში ტექნოლოგიების დანერგვის ემპირიული შესწავლა წარმოაჩენს ამ პროცესზე მოქმედ ისეთ ცვლადებს, როგორცაა ტექნოლოგიის ტიპი, განხორციელების მასშტაბი და ტექნოლოგიით მოგვარებული კონკრეტული პრობლემები. თითოეული თემატური კვლევა ნათელს ჰფენს ტექნოლოგიის მრავალმხრივ გავლენას მეფუტკრეობის ეფექტიანობაზე, პროდუქტიულობასა და ხარისხზე (Колупаев 2021a, 280–282).

ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია Internet of Things (IoT) ტექნოლოგიების გამოყენება ფუტკრის ოჯახების მართვაში. Internet of Things (IoT) ტექნოლოგიები შედგება ინტერნეტის საშუალებით დაკავშირებული ჭკვიანი მოწყობილობებისგან, რომლებიც იყენებენ პროცესორებს, სენსორებს და საკომუნიკაციო აპარატურას, რათა შეაგროვონ, გაგზავნონ და იმოქმედონ გარემოდან მათ მიერ მოპოვებული მონაცემების შესაბამისად (Gillis, 2023: 1). მეფუტკრეობაში ამ ტექნოლოგიის ინტეგრაციის თემატური შესწავლა, ცხადჰყოფს, სკების მდგომარეობის რეალურ დროში მონიტორინგის მნიშვნელოვან გაუმჯობესებას, რაც ინფორმირებული გადაწყვეტილებების და ოპტიმიზირებული ინტერვენციების საფუძველია. ისეთი პარამეტრების დისტანციურმა მონიტორინგმა, როგორცაა ტემპერატურა, ტენიანობა და ფუტკრის აქტივობა, არა მხოლოდ შეამცირა ხელით შრომა, არამედ გაზარდა სკაში ოპტიმალური პირობების შენარჩუნების სიზუსტე (Godifey & Tassew 2016, 38–39).


ხელოვნურმა ინტელექტმა (AI) და Machine learning (ML)-მა მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს დაავადების პროგნოზირებასა და მკურნალობაში. საშუალო მასშტაბის მეფუტკრეობაში ახალი ტექნოლოგიის დანერგვამ შეამცირა ფუტკრის ავადობა. ტექნოლოგია დაკავშირებულია პროგნოზირებულ ანალიტიკასთან, რაც იძლევა დაავადებების პრევენციის საშუალებას. მისმა დანერგვამ ხელი შეუწყო დაავადების მარკერების ადრეულ გამოვლენას, შესაბამისად დროულ ინტერვენციებს. შედეგად შემცირდა დაავადებების გავრცელება და გავლენა (Gilioli et al. 2018, 143).

თაფლის მოპოვებისა და გადამუშავების პროცესის ავტომატიზაცია კიდევ ერთი პრიორიტეტული სფეროა ტექნოლოგიების დანერგვისთვის. მსგავსი ავტომატიზაცია იწვევს წარმოების ეფექტიანობის მკვეთრ გაუმჯობესებას,

პროდუქტის ხარისხის მდგრადობას და შემცირებულ საოპერაციო ხარჯებს. ავტომატურმა სისტემებმა აღმოფხვრა ადამიანური შეცდომა, უზრუნველყო თაფლის მოპოვების პროცესებში თანმიმდევრულობა და გაზარდა წარმოების მასშტაბურობა (Vapa-Tankosić et al. 2020, 11–14).

ფართომასშტაბიანი მეფუტკრეობაში საფუტკრეების საჰაერო მონიტორინგისთვის ეფექტიანია უპილოტო დრონის ტექნოლოგიის ინტეგრაცია. დრონებმა ხელი შეუწყო მონიტორინგს, შეამცირეს ხელით ინსპექტირებასთან დაკავშირებული დრო და შრომა და გაზარდეს სკების ჯანმრთელობისა და გარემო პირობების შესახებ შეგროვებული მონაცემების სიზუსტე (Cota et al. 2023, 15; Zoccali et al. 2017, 1045).

ამდენად, მეფუტკრეობის განვითარებისათვის მნიშვნელოვანია ეფექტიანი ციფრული სისტემების დანერგვა, (იხ. სქემა N5) რომელიც ხელს შეუწყობს მეფუტკრეთა შორის აქტუალური ინფორმაციის გაცვლას, საფუტკრის კონტროლს, სამთავრობო უწყებებთან ურთიერთობებს და სხვა.



წყარო: შემუშავებულია ავტორის მიერ (Колупаев 2022, 79)-ის საფუძველზე

გარემოზე ზრუნვის კუთხით მნიშვნელოვანია ეკოლოგიურად სუფთა ტექნოლოგიების ინტეგრაცია. მაგალითად, სკების დამზადებისას და მეფუტკრეობის პრაქტიკაში ეკოლოგიურად სუფთა მასალების გამოყენებამ იქონია დადებითი გავლენა ფუტკრის ჯანმრთელობასა და პროდუქტიულობაზე. ამ მასალებისა და მეთოდების გამოყენებამ გააუმჯობესა არა მხოლოდ ფუტკრის ოჯახების მდგომარეობა, არამედ გაიზარდა გაყიდვებიც, ვინაიდან მზარდია მომხმარებელთა

უპირატესობა ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტების მიმართ (Колупаев 2021b, 245–247).

ამდენად, მეფუტკრეობაში ტექნოლოგიების დანერგვის წარმატებული შემთხვევების შესწავლა წარმოაჩენს იმ უპირატესობებსა და გამოწვევებს რაც ახლავს ამ ტიპის ტექნოლოგიების დანერგვას მეფუტკრეობის ტრადიციულ პრაქტიკაში. თითოეული შემთხვევა აჩვენებს ტექნოლოგიის პოტენციალს მეფუტკრეობის განვითარებისათვის, რაც ხაზს უსვამს სტრატეგიული ინვესტიციების, მხარდამჭერი პოლიტიკისა და შესაძლებლობების გაძლიერების აუცილებლობას ტექნოლოგიური სარგებლის სრული სპექტრის გამოსაყენებლად.

მეფუტკრეთა სწავლების და პოტენციალის განვითარება მეფუტკრეობაში ეფექტიანი ტექნოლოგიების ინტეგრაციის ქვაკუთხეა. თანამედროვე ტექნოლოგიების დინამიზმი და სირთულე მოითხოვს კარგად სტრუქტურირებულ და ყოვლისმომცველ სასწავლო პროგრამებს, რათა მეფუტკრეებმა ოსტატურად გამოიყენონ ეს ტექნოლოგიები პროდუქტიულობისა და ეფექტიანობის ოპტიმიზაციისთვის.

თანამედროვე სტრუქტურირებული სასწავლო პროგრამები ფოკუსირებულია მრავალმხრივ საგანმანათლებლო მიდგომაზე, რომელიც მოიცავს თეორიულ ცოდნას, პრაქტიკულ უნარებს და განგრძობით სწავლებას. ეს პროგრამები შექმნილია მეფუტკრეობის ტექნოლოგიის სპეციფიკური ნიუანსების გათვალისწინებით, რაც უზრუნველყოფს მეფუტკრეებს საჭირო, პრაქტიკაში გამოსაყენებელი და აქტუალური უნარებით.

სწავლების ერთ-ერთი მთავარი სფეროა ციფრული ხელსაწყოებისა და ტექნოლოგიების გამოყენება სკების მართვისას. ამ ტექნოლოგიების სირთულის გათვალისწინებით, სწავლების ინიციატივები აქცენტირებულია პრაქტიკულ გამოცდილებას, სიმულაციას და რეალურ დროში გამოყენებაზე, რაც უზრუნველყოფს, რომ მეფუტკრეები იყვნენ არა მხოლოდ თეორიის მცოდნენი, არამედ კომპეტენტურნიც (Guiné et al. 2023, 3–5).

გარდა ამისა, ინსტიტუციური მხარდაჭერის როლი სწავლებასა და პოტენციალის განვითარებაში უაღრესად მნიშვნელოვანია. საგანმანათლებლო

დაწესებულებები, სამთავრობო უწყებები და არასამთავრობო ორგანიზაციები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ სასწავლო გეგმების შემუშავებაში, სასწავლო პროგრამების ხელშეწყობასა და უნარების განვითარებისთვის გადამწყვეტი რესურსებით უზრუნველყოფაში.

მეფუტკრეობაში ტექნოლოგიების დანერგვა არ არის ერთჯერადი მოვლენა, არამედ უწყვეტი პროცესი. ამრიგად, შესაძლებლობების განვითარების ინიციატივები ფოკუსირებულია არა მხოლოდ საწყის სწავლებაზე, არამედ უწყვეტ განათლებაზე, რათა მეფუტკრეებმა მუდმივად განიახლონ განვითარებადი ტექნოლოგიების შესახებ ცოდნა და საჭირო პრაქტიკული უნარები. ეს უწყვეტი სწავლის მიდგომა უზრუნველყოფს, რომ მეფუტკრეობის პერსონალი იყოს ადაპტირებული, პასუხისმგებელი და აღჭურვილი ახალი ტექნოლოგიებით წარმოების პროცესის ოპტიმიზაციისთვის(Mwanyoka 2017, 4211).

წარმატებული ტექნოლოგიების ინტეგრაციის წარმატებული შემთხვევები ხაზს უსვამს სწავლების პროცესში ერთობლივი ძალისხმევის ძირითად როლს. ტექნოლოგიების პროვაიდერებს, საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და მეფუტკრეობის ასოციაციებს შორის თანამშრომლობა ხელს უწყობს სწავლების ჰოლისტიკურ მიდგომას, რაც უზრუნველყოფს, რომ ის იყოს ყოვლისმომცველი, ხელმისაწვდომი და აკმაყოფილებდეს მეფუტკრეობის დარგის სპეციფიკურ საჭიროებებს (Alburaki, Madella, & Corona 2021, 11).

სწავლებისა და პოტენციალის გაძლიერების გავლენა ხელშესახები და მრავალმხრივია. ის სცილდება უშუალოდ უნარების განვითარების მიზანს და შედეგად გვაძლევს გაზრდილ პროდუქტიულობას და ფუტკრის პროდუქტების მაღალ ხარისხს. საჭირო უნარების მქონე მეფუტკრეებს შეუძლიათ მოახდინონ ტექნოლოგიური ინსტრუმენტების ოპტიმიზაცია, რითაც გაზრდიან საქმიანობის ეფექტიანობას. ისინი იქნებიან მზად ოსტატურად გამოიყენონ რთული თანამედროვე ტექნოლოგიები საკუთარ პრაქტიკულ საქმიანობაში.

„სასწავლო კურსმა დამანახა, რომ ბიზნესიდან (მეფუტკრეობიდან) მოგების მიღებასა და ფუტკრების სწორ მოვლას შორის წონასწორობა უნდა არსებობდეს. ფუტკრის გარეშე მცენარეც კი არ ხარობს და ჩვენც გემრიელ თაფლს ვერ მივიღებთ“, -

ამბობს ერთერთი ფერმერი მაღალმთიანი რაჭიდან, რომელიც გადამზადდა UNDP-ის მიერ დაფინანსებული პროგრამის ფარგლებში(UNDP 2020).

UNDP-ის დახმარება არის ერთერთი წარმატებული პროექტი მეფუტკრეთა სწავლებისა და შესაძლებლობების განვითარების მიმართულებით, იგი ეყრდნობა „ორ მასშტაბურ პროგრამას - რეგიონული და ადგილობრივი განვითარების პროექტს, რომელიც შვეიცარიისა და ავსტრიის მთავრობების 5.5 მილიონი აშშ დოლარის დაფინანსებით ხორციელდება და შვეიცარიის მიერ 3.2 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით დაფინანსებულ პროექტს, რომელიც პროფესიული განათლების რეფორმის გატარებასა და ფერმერებისთვის განათლებისა და კონსულტაციის (ექსტენციის) სისტემის შექმნას ემსახურება.“ ორივე პროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს მთის ეკონომიკურ მდგრადობას, მაგრამ ამავდროულად შეინარჩუნოს მთის უნიკალური მრავალფეროვნება და დაიცავს ბალანსი ადამიანებსა და გარემოსა დაცვას შორის (UNDP 2020).

ამდენად, სწავლებისა და შესაძლებლობების ამაღლების ინიციატივები აუცილებელია მეფუტკრეობაში თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვისათვის. ხარისხიანი სწავლება ქმნის საფუძველს, რათა ტექნოლოგიური ინოვაციები იქცეს მეფუტკრეთა პრაქტიკულ იარაღად, რომელიც აუმჯობესებს მეფუტკრეობის ეფექტიანობას. რამდენადაც დარგი აგრძელებს განვითარებას, რასაც ხელს უწყობს სწრაფი ტექნოლოგიური მიღწევები, სწავლებისა და მეფუტკრეთა პოტენციალის განვითარების ინიციატივებზეა დამოკიდებული მეფუტკრეობის განვითარების ტემპი და მასშტაბი.

მეფუტკრეობის ეკონომიკური ეფექტი პირდაპირ კავშირშია დარგში არსებულ ტექნოლოგიურ წინსვლასთან. ინოვაციები და ციფრული ტრანსფორმაციები ზრდის პროდუქტიულობას, ოპერაციულ ეფექტიანობასა და ბაზრის კონკურენტუნარიანობას, მაგრამ ასევე თან ახლავს ეკონომიკური მოსაზრებები, რომლებიც მნიშვნელოვანია, მათი ინტეგრაციისა და ოპტიმიზაციისთვის.

ინვესტიციებს თანამედროვე ტექნოლოგიებში აქვს ფუნდამენტური ეკონომიკური მნიშვნელობა. ტექნოლოგიები, როგორცაა ხელოვნური ინტელექტი, Machine learning (ML) და Internet of Things (IoT) მეფუტკრეობაში ინტეგრაციისათვის

საჭიროებენ მნიშვნელოვან ფინანსურ რესურსებს. საწყისი კაპიტალის ხარჯები და მიმდინარე ხარჯები, რომლებიც დაკავშირებულია ტექნოლოგიების განახლებასა და შენარჩუნებასთან, ეკონომიკური დისკურსის განუყოფელი ასპექტებია (Cota et al. 2023, 15).

თუმცა, ინვესტიციის დაბრუნება („ამოღება“) (ROI) ხაზს უსვამს ამ ტექნოლოგიური ინტეგრაციის ეკონომიკურ სიცოცხლისუნარიანობას. სკების გაუმჯობესებული მართვა, თავლის მოსავლიანობის გაზრდა და ხარისხის გაუმჯობესება იწვევს დადებით ROI-ს, რაც გულისხმობს რომ ეკონომიკური სარგებელი აღემატება დაკავშირებულ ხარჯებს. შრომის ინტენსიური პროცესების ავტომატიზაცია იწვევს შრომის ხარჯების დაზოგვას და ოპერაციული ეფექტიანობის გაზრდას.

ეკონომიკური შედეგები არ არის წრფივი და დამოკიდებულია ცვლადებზე, როგორცაა ოპერაციის მასშტაბი, ინტეგრირებული სპეციფიკური ტექნოლოგიები და არსებული ბაზრის დინამიკა. მცირე ზომის საფუტკრეებს შეიძლება შეექმნათ პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია თანამედროვე ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობასთან. მათ ესაჭიროებათ ფინანსური მხარდაჭერის მექანიზმები და სუბსიდიები ეკონომიკური სირთულეების დასაძლევად (წითელაძე 2021, 38-39).

მეფუტკრეთა სწავლებას და განვითარებას, რომელიც დაკავშირებულია ტექნოლოგიების დანერგვასთან, ასევე აქვს ეკონომიკური შედეგები. თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების ოპტიმიზაციისთვის სპეციალიზებული სწავლების საჭიროება მოითხოვს გარკვეული ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია სასწავლო პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებასთან.

ტექნოლოგიები აძლიერებს ბაზარზე კონკურენციას. იგი საშუალებას აძლევს მეფუტკრეებს აწარმოონ საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისი ხარისხის პროდუქტები, გააუმჯობესონ ბრენდინგი და განახორციელონ ეფექტიანი მარკეტინგული სტრატეგიები, რაც იწვევს ბაზრის გაფართოებას და ეკონომიკური შემოსავლების ზრდას. მონაცემთა ანალიზისა და ხელოვნური ინტელექტის გამოყენებით, ბაზრის ტენდენციების რეალურ დროში დადგენისა და შესაბამისი


რეაგირების შესაძლებლობა მეფუტკრეებს საშუალებას აძლევს ოპტიმიზაცია გაუკეთონ ფასების სტრატეგიებს და გააუმჯობესონ მომგებიანობა.

სახელმწიფო პოლიტიკა და მარეგულირებელი ჩარჩო ასევე გავლენას ახდენს ტექნოლოგიის ეკონომიკურ შედეგებზე მეფუტკრეობაში. პოლიტიკა, რომელიც მხარს უჭერს ტექნოლოგიების ინტეგრაციას, უზრუნველყოფს ფინანსურ წახალისებას და ხელს უწყობს ინოვაციებისთვის ხელსაყრელ გარემოს, აუმჯობესებს თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების ეკონომიკურ ეფექტიანობას.

უფრო ფართო ეკონომიკურ კონტექსტში, მეფუტკრეობაში ტექნოლოგიების ინტეგრაცია ხელს უწყობს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას. სამუშაო ადგილების შექმნა, ფუტკრის პროდუქტების გაზრდილი ღირებულება და ბაზრის ახალი სეგმენტების გაჩენა არის მაკროეკონომიკური სარგებელი, რომელიც გამოწვეულია მეფუტკრეობის ტექნოლოგიური განვითარებით.

სქემა N6

მეფუტკრეობაში თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვასთან დაკავშირებული ასპექტები



წყარო: შემუშავებულია ავტორის მიერ

ამდენად, მეფუტკრეობაში თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის პოტენციური ეკონომიკური შედეგები მრავალმხრივი და დინამიურია. ისინი დამოკიდებულია ისეთ ფაქტორებზე, როგორცაა საფუტკრის მასშტაბი, ბაზრის დინამიკა, პოლიტიკური გარემო და გამოყენებული სპეციფიკური ტექნოლოგიები. რამდენადაც მეფუტკრეობის დარგი აგრძელებს ტექნოლოგიური ტრანსფორმაციის გზას, ყოვლისმომცველ ეკონომიკურ ანალიზს, რომელიც მოიცავს ხარჯებისა და სარგებლის შეფასებას, ინვესტიციების დაბრუნებას (ROI) და ფართო მაკროეკონომიკურ შედეგებს, აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა ინფორმირებული გადაწყვეტილებების მისაღებად. ამგვარად მიღებული გადაწყვეტილება იწვევს ეკონომიკური სარგებლის ოპტიმიზაციასა და თანმდევი პრობლემების ეფექტის შერბილებას.

### 3.2 მეფუტკრეობის განვითარების სტრატეგიის შემუშავება

საქართველოში მეფუტკრეობის პოტენციალი განპირობებულია ისტორიული, ეკოლოგიური და ეკონომიკური ფაქტორების ერთობლიობით. ამრიგად, დარგის განვითარების სტრატეგიები უნდა ასახავდეს ამ ასპექტებს დაბალანსებულად, და მიზნად ისახავდეს ფუტკრის პროდუქტების ხარისხისა და რაოდენობის ზრდას, მეფუტკრეების შესაძლებლობების გაძლიერებას და გარემოს მდგრადობის უზრუნველყოფას.

განსხვავებულია მეფუტკრეობაში ევროპული და ამერიკული მიდგომები, საკუთრივ: მიზნები, ტექნოლოგიები, გამოყენებული მეთოდები (იხ. ცხრილი N7).

## ევროპული და ამერიკული მეფუტკრეობის მიდგომები

	ევროპული მიდგომა	ამერიკული მიდგომა
მიზანი	ყველა ოჯახიდან მაქსიმალური პროდუქტიულობა	შრომის მინიმალური დანახარჯები. მაქსიმალური შემოსავალი მთლიანი საფუტკრედან
ნორმა 1 მეფუტკრეზე	300 ფუტკრის ოჯახი	რამდენიმე ათასი ფუტკრის ოჯახი
ტექნოლოგია	ინტენსიური, ნექტარის შეგროვების უნარის გასაზრდელად.	მაქსიმალურად მარტივი
წარმოებული პროდუქცია	საშუალოდ 100 კგ-იან პროდუქტიულობისას, 180 ოჯახიდან 15-18 ტონა თაფლი	საშუალოდ 41 კგ-იან პროდუქტიულობისას, 2400 ოჯახიდან 97 ტონა თაფლი

წყარო: (Колупаев, 2022: 21).


სხვადასხვა ქვეყნებში მოქმედი მეფუტკრეობის განვითარების სტრატეგიები ასახავს ფართო სასოფლო-სამეურნეო, ეკონომიკურ და გარემოსდაცვით კონტექსტს. სახელმწიფო ეკონომიკური პოლიტიკა, ინიციატივა თუ ინტერვენცია არ არის იზოლირებული, არამედ ურთიერთკავშირშია ეროვნულ და საერთაშორისო მიზნებთან. ამ სტრატეგიების ეფექტიანობა კრიტიკულად მნიშვნელოვანია, რადგან პირდაპირ მათზეა დამოკიდებულია მეფუტკრეობის დარგის მდგრადი განვითარება და მისი წვლილი ეროვნულ ეკონომიკასა და გარემოს ბალანსში.

მეფუტკრეობა, როგორც საკმაოდ ფაქიზი და მგძნობიარე დარგი, სათანადო სახელმწიფო ხელშეწყობას საჭიროებს, ამისათვის მნიშვნელოვანი მექანიზმია სახელმწიფო-კერძო პარტნიორობა (PPP), რომელიც მოიცავს მეფუტკრეებთან ერთად სახელმწიფო სტრუქტურების აქტიურ მონაწილეობას, რაც საბოლოო ჯამში ორივე მხარისათვის მნიშვნელოვანი სარგებლის მომტანია: იხვეწება მეფუტკრეობის პრაქტიკა, იზრდება მწარმოებლურობა, დარგის სტაბილური და მდგრადი განვითარება გავლენას ახდენს ეკონომიკურ ზრდაზე, განსაკუთრებით იზრდება სოფლად მცხოვრები მოსახლეობის შემოსავლები და მცირდება სიღარიბე.

მეფუტკრეობაში სახელმწიფო-კერძო პარტნიორობა (PPP) შეიძლება განხორციელდეს ისეთ სფეროებში, როგორცაა მეფუტკრეობის კვლევა და განვითარება, მეფუტკრეთა სწავლება და გადამზადების პროგრამები, ფინანსური მხარდაჭერა სუბსიდიებისა და გრანტების სახით, განსაკუთრებით მცირერიცხოვანი დამწყები საფუტკრეებისა. აგრეთვე მნიშვნელოვანია პარტნიორობა საკანონმდებლო, ნორმატიული ბაზის შემუშავებისას და გარემოს დაცვითი საკითხების დარეგულირებისას. საქართველოში სახელმწიფო-კერძო პარტნიორობა (PPP) საკანონმდებლო დონეზე დარეგულირებულია 2018 წლის „საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონით. (საქართველოს პარლამენტი, 2018).

სქემა N7

მეფუტკრეობაში სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის პოტენციური სფეროები, სარგებელი და მაგალითები.



წყარო: შემუშავებულია ავტორის მიერ

მეფუტკრეობაზე ასევე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს გლობალურ პროცესებს. მაგალითად, მსოფლიო ორგანიზაცია აპიმონდიას მიერ შემუშავებულია საერთაშორისო სტანდარტები, რომელიც არაა უბრალოდ გზამკვლევი მეფუტკრეობის პრაქტიკის გასაუმჯობესებლად, არამედ მოიცავს მითითებებს ეროვნული ეფექტიანი სტრატეგიების შესამუშავებლად. ამრიგად, საქართველოში მეფუტკრეობის დარგის

განვითარებისათვის საჭიროა, ადგილობრივი სპეციფიკაციის გათვალისწინებით, გლობალური სტანდარტებისა და საუკეთესო პრაქტიკის დანერგვა.

მეფუტკრეობის განვითარების წარმატებული სტრატეგიები ასევე ეხება დარგის როლს გარემოსა და ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებაში. მაგალითად, ეთიოპიაში, BEE-LIEVE პროექტი ასახავს ამ მიდგომას - ხდება მეფუტკრეობის არამხოლოდ როგორც ეკონომიკური საქმიანობის მხარდაჭერა, არამედ როგორც გარემოსდაცვითი მექანიზმისაც (“Ethiopia (BEE-LIEVE)” 2022, 1–3).

მეფუტკრეობის ადაპტირება კლიმატთან და გარემოს ცვლილებებთან ხაზს უსვამს ეფექტიანი სტრატეგიების დინამიურ ბუნებას. ისინი ვითარდებიან მიმდინარე გარემოსდაცვითი, ეკონომიკური და სოციალური ცვლილებების მიხედვით. მაგალითად, COVID-19-ის პანდემიამ წარმოაჩინა, გლობალური ეკონომიკური და ჯანდაცვის შოკების ფონზე, მეფუტკრეობის მნიშვნელობა მდგრადი საარსებო წყაროს უზრუნველსაყოფად (Ayandokun et al. 2021, 109; Putritamara et al. 2023, 1–2; Mohan, Santhanam, & Wan 2023, 1–2).

ტექნოლოგია და ინოვაცია ეფექტიანი მეფუტკრეობის სტრატეგიის განუყოფელი კომპონენტებია. სამყაროში, სადაც ტექნოლოგია აღწევს ცხოვრების ყველა ასპექტში, მეფუტკრეობა არ არის გამონაკლისი. თანამედროვე ტექნოლოგიების ინტეგრირება გადამწყვეტია პროდუქტიულობის ზრდისათვის, ხარისხის უზრუნველსაყოფად და რთულ საერთაშორისო ბაზრებზე ნავიგაციისთვის. თუმცა, ტექნოლოგიური მიღწევების დანერგვა არ არის გამოწვევების გარეშე და თითოეული ტექნოლოგიური ინტერვენციის ეფექტიანობა დამოკიდებულია მის ადაპტირებასა და ხელმისაწვდომობაზე (Jahan et al. 2021, 383).

ამდენად, რაც უფრო ღრმაა არსებული სტრატეგიებისა და მათი ეფექტიანობის ანალიზი, მით უფრო ნათელი ხდება საქართველოში მეფუტკრეობის მრავალმხრივი ბუნება: არსებული თუ შესაძლო გამოწვევები და პრობლემები, პოტენციალი და პერსპექტივები. საჭიროა ჰოლისტიკური ხედვა. რამდენადაც საქართველო მიიწევს მეფუტკრეობის განვითარებისაკენ, მსოფლიო პრაქტიკაში არსებული სტრატეგიების ეფექტიანობიდან მიღებული გაკვეთილები ფასდაუდებელ ინფორმაციას გვაწვდის. ისინი ერთგვარი სარკეებია, რომლებიც გვაჩვენებს არსებულ ხარვეზებს,

შესაძლებლობებსა და ძლიერ მხარეებს. ამ გაკვეთილების გულდასმით გაანალიზებითა და ინტეგრაციით, საქართველოს აქვს პოტენციური მეფუტკრეობა ტრადიციული პრაქტიკიდან გარდაქმნას ძლიერ, ექსპორტზე ორიენტირებულ, დარგად, რომელიც ხასიათდება ინოვაციებით, მდგრადობითა და ეკონომიკური სიცოცხლისუნარიანობით. რა თქმა უნდა, ეს გზა არ არის რისკებისა და გამოწვევების გარეშე, მაგრამ ეს შესაძლებელია არსებული სტრატეგიების გააზრებით და სხვა ქვეყნების განვლილი გზის დეტალური ანალიზით.

მეფუტკრეობის განვითარებაზე მოქმედი ფაქტორების მრავალფეროვნება მოითხოვს პოტენციური განვითარების მოდელების ყოვლისმომცველ გამოკვლევას, რომლებიც მოიცავს სხვადასხვა ელემენტებს, მათ შორის ტექნოლოგიას, ეკონომიკურ სიცოცხლისუნარიანობას, გარემოს მდგრადობას და პოლიტიკურ მხარდაჭერას. სხვადასხვა ქვეყნებში გამოყენებული დარგის განვითარების განსხვავებული მოდელების ანალიზის მიზანია მომავალში საქართველოს რეალობისათვის ყველაზე მეტად შესაბამისი და ეფექტიანი სახელმწიფო სტრატეგიის შემუშავებისათვის ნიადაგის მომზადება.

სამხრეთ აფრიკაში დიდი აქცენტი კეთდება მეფუტკრეობის მნიშვნელობაზე სოფლად მცხოვრები ოჯახების ეკონომიკურ გაძლიერებისათვის, შემოსავლების ზრდისათვის (Ncetani 2016, 1–2). მეფუტკრეობის განვითარების ეს მოდელი აქცენტირებულია მეფუტკრეობის ეკონომიკურ ზემოქმედებაზე, განსაკუთრებით სოფლად. იგი ხაზს უსვამს სახელმწიფო პოლიტიკის მნიშვნელობას მეფუტკრეობის მეშვეობით შემოსავლების ზრდას.

ნეპალში მეფუტკრეობის განვითარება ხასიათდება დამატებითი ღირებულების შექმნის შესაძლებლობების ათვისებით. აქცენტი კეთდება არა მხოლოდ მეფუტკრეობის ძირითად, პირველად პროდუქტებზე, არამედ მათი შემდგომი გადამუშავების გზით ღირებულების დამატებაზე, მარკეტინგზე, მეფუტკრეობის, როგორც პროფესიის, ეკონომიკური სიცოცხლისუნარიანობის გაზრდაზე და მის წვლილზე მშპ-ში (Devkota et al. 2022, 711–12).

ბერძნული მოდელი გამოირჩევა ეკოლოგიურ დინამიკაზე დაფუძნებული მეფუტკრეობის წარმატებით. იგი ყურადღებას ამახვილებს სიმბიოზურ

ურთიერთობაზე ფუტკარს, ნათესებსა და გარემოს შორის, ხაზს უსვამს შესაბამისი პოლიტიკისა და პრაქტიკის საჭიროებას, რომელიც ხელს უწყობს გარემოს მდგრადობას და ბიომრავალფეროვნებას (Carydi, Koutsianas, & Desyllas 2023, 430).

რუსეთში მეფუტკრეობის განვითარებას ახასიათებს არსებული პრობლემების იდენტიფიცირება და მათი მოგვარება სისტემური მიდგომის საფუძველზე; ასევე ხდება არსებული შესაძლებლობების გამოყენება საერთაშორისო ბაზრებზე კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად. აქცენტი კეთდება პრაგმატული მიდგომის აუცილებლობაზე, ფუტკრის პროდუქტების ხარისხისა და რაოდენობის ზრდის მიზნით. ასევე მნიშვნელოვანია შესაბამისი ორგანიზაციული და ეკონომიკური მექანიზმები, რომელიც საფუძვლად უდევს წარმატებულ მეფუტკრეობას. ეს მიუთითებს კარგად სტრუქტურირებული ორგანიზაციული სტრუქტურებისა და ეკონომიკური პოლიტიკის აუცილებლობაზე, რომელიც პასუხობს მეფუტკრეობის დარგის ცვალებად საჭიროებებსა და გამოწვევებს (Колупаев 2022, 69–72; Набиева 2022, 9–11).

ბელორუსიის მიდგომა ხაზს უსვამს მეფუტკრეობის ინტეგრაციას მთლიანად აგროსამრეწველო კომპლექსის თანდაყოლილი ეკონომიკური, ეკოლოგიური და სოციალური პრობლემების მოგვარების საქმეში. ამ მოდელის ეფექტიანობა მდგომარეობს მის კომპლექსურ მიდგომაში, რომელიც მეფუტკრეობას არ განიხილავს იზოლირებულად, არამედ უფრო ფართო სასოფლო-სამეურნეო და ეკოლოგიური ეკოსისტემის ნაწილად. ეს ხაზს უსვამს ჰოლისტიკური მიდგომის აუცილებლობას, რომელიც აკავშირებს მეფუტკრეობას უმთავრეს ეკონომიკურ და გარემოსდაცვით მიზნებთან (Pyl & Ganus 2022, 85–86).


თურქეთში ჩატარებული თაფლის საექსპორტო პოტენციალის ანალიზი ხაზს უსვამს მეფუტკრეობის განვითარებაში საერთაშორისო ბაზრის დინამიკის ფაქტორს. მოდელი ცხადყოფს საერთაშორისო სტანდარტებთან და ბაზრის დინამიკასთან შესაბამისობაში მყოფი სტრატეგიების აუცილებლობას, რათა უზრუნველყოს კონკურენტუნარიანობა და ბაზარზე შეღწევა (Akdeniz & Kantar 2022, 60).

მეფუტკრეობის დარგის განვითარების სტრატეგიის შემუშავებისას, მნიშვნელოვანია, გათვალისწინებულ იქნეს მეფუტკრეობის მართვის

ორგანიზაციულ-ეკონომიკური მექანიზმი, რომელიც გულისხმობს მეფუტკრეობის დარგში: მმართველი სუბიექტების, მართვის ობიექტების, საბაზრო მექანიზმებისა და მართვის მეთოდების ერთობლიობას. საჭიროა, მათი კომპლექსური ურთიერთკავშირის ანალიზის საფუძველზე მიღებული შესაბამისი დასკვნების და მიგნებების გამოყენება სტრატეგიის დაგეგმვისას (Усенко & Чепик 2020, 80–82).

სქემა N8

მეფუტკრეობის მართვის ორგანიზაციულ-ეკონომიკური მექანიზმი



წყარო: (Колупаев, 2022: 18)

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, საქართველოში მეფუტკრეობის განვითარების ეფექტიანი მოდელი უნდა იყოს ინკლუზიური და ადაპტირებული. ის უნდა მოიცავდეს ტექნოლოგიურ ინოვაციებს ეფექტიანობის, ხარისხისა და პროდუქტიულობის გასაუმჯობესებლად. ეკონომიკური პოლიტიკა მიზნად უნდა ისახავდეს მეფუტკრეობის ეკონომიკური სიცოცხლისუნარიანობის გაუმჯობესებას, ფოკუსირებული იყოს კრედიტის ხელმისაწვდომობაზე, საბაზრო კავშირებსა და დამატებით ღირებულების შექმნაზე. გარემოს მდგრადობა ასევე უნდა იყოს ერთერთი ცენტრალური საკითხი - ეკოლოგიური მიმართულებით სახელმწიფო პოლიტიკა და პრაქტიკა მიზნად უნდა ისახავდეს ფუტკრის ბუნებრივი საარსებო

გარემოს შენარჩუნებას და ბიომრავალფეროვნების ხელშეწყობას. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია საერთაშორისო ბაზრის დინამიკა და უნდა შემუშავდეს სტრატეგიები, რათა უზრუნველყოფილი იყოს ქართული მეფუტკრეობის პროდუქტების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობა და კონკურენტუნარიანობა გლობალურ ასპარეზზე. ასევე ამ მოდელის წარმატებული განხორციელების განუყოფელი ნაწილია სახელმწიფო მხარდაჭერის პოლიტიკა, დაინტერესებული მხარეების ჩართულობა, მუდმივი კვლევა და განვითარება.

მეფუტკრეობის სტრატეგიაში აგრეთვე უმნიშვნელოვანესია მდგრადობის ჩართვა დარგის გრძელვადიანი სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველსაყოფად. ეს გულისხმობს ეკონომიკურად მომგებიანი, ეკოლოგიურად და სოციალურად სამართლიანი პრაქტიკის ინტეგრირებას. მდგრადი მეფუტკრეობა უზრუნველყოფს, რომ ამ პრაქტიკასთან დაკავშირებული რესურსების გამოყენება არ დააზარალებს ფუტკრის პოპულაციის ჯანმრთელობას, პროდუქტის ხარისხს და ეკოსისტემას.

ეკონომიკური თვალსაზრისით, მეფუტკრეობაში მდგრადობა მიზნად ისახავს პროდუქტიულობისა და მომგებიანობის გაზრდას, ხარჯების და რისკების შემცირებას. რაც გულისხმობს წარმოების პროცესების ოპტიმიზაციას, დამატებითი ღირებულების შექმნას და ბაზარზე წვდომას იმის უზრუნველსაყოფად, რომ მეფუტკრეობა იყოს არა მხოლოდ პროდუქტიული, არამედ ეკონომიკურად ეფექტიანიც.

გარემოსდაცვითი პერსპექტივიდან, მდგრადი მეფუტკრეობა პრიორიტეტს ანიჭებს პრაქტიკას, რომელიც ინარჩუნებს ფუტკრის ბუნებრივ საარსებო გარემოს, აუმჯობესებს ბიომრავალფეროვნებას და ამცირებს გარემოზე მავნე ზემოქმედებას. ეს მოიცავს რესურსების პასუხისმგებლობით გამოყენებას, ნარჩენების გადამუშავებას და დაბინძურების და გარემოს დეგრადაციის სხვა ფორმების შემცირებას.

სოციალურად, მეფუტკრეობაში მდგრადობა გულისხმობს სოციალური სამართლიანობის, მუშაკთა კეთილდღეობის, საზოგადოების განვითარებისა და ეთიკური სტანდარტების ხელშეწყობას. მეფუტკრეობის შემოსავლების სამართლიანად გაზიარება ხელს უწყობს ჩართული თემების საერთო კეთილდღეობას.

სოფლად დასვენებისა და ბიზნესის პერსპექტიულ ტურისტულ სახეობად ყალიბდება აპიტურიზმი, რომელიც აერთიანებს მეფუტკრეობას და (Сарафанова & Сарафанов 2022, 16; ЗОРИН et al. 2019, 128–35; Плотникова & Федоров 2020, 1508). პოლონეთში მეფუტკრეობის სექტორში ცვლილებებისა და ევოლუციის შესწავლა მიმდინარეობს ცალკეული რეგიონების მიხედვით, რაც იძლევა მდგრადი პრაქტიკის ინტეგრაციის საშუალებას, ევროკავშირში არსებული სტანდარტების შესაბამისად. (Borowska 2016, 74).

ორგანული მეფუტკრეობის პრაქტიკის კვლევა რუმინეთში ხაზს უსვამს მდგრადი განვითარების მნიშვნელობას და პერსპექტივებს. მეფუტკრეობის დარგი ფოკუსირებულია ეკოლოგიურად სუფთა მეთოდებზე, რომლებიც აკმაყოფილებს ორგანულ პროდუქტების სტანდარტებს. ორგანული მეფუტკრეობაზე - „ეკოლოგიურად სუფთა მეთოდებზე“ - გადასვლა არა მხოლოდ პროდუქტიული, არამედ მდგრადია (Pocol et al. 2021, 14–15).

გარდა ამისა, სხვადასხვა ფერმერული მეურნეობების მდგრადობის შეფასების მეთოდების მიმოხილვა მეფუტკრეობის კონტექსტში, იძლევა მეფუტკრეობის პრაქტიკის მდგრადობის შეფასებისა და გაუმჯობესებისათვის საჭირო მეთოდოლოგიას და ინსტრუმენტებს (Panța 2018, 3–4).

ინდოეთში ინოვაციებზე ფოკუსირებით იკვლევენ სკების და მეფუტკრეობის ტექნიკის გაუმჯობესებებს, რომლებიც ზრდის პროდუქტიულობას და უზრუნველყოფს ფუტკრის პოპულაციის კეთილდღეობას (Abbott 2016, 5; Abrol 2016, 4–6).

ამდენად, ისევე როგორც სხვა ქვეყნებში საქართველოშიც მეფუტკრეობის განვითარების სტრატეგიაში პრიორიტეტული უნდა იყოს მდგრადი განვითარების ასპექტი. ზემოგანხილული ქვეყნების მეფუტკრეობის მდგრადობის განმაპირობებელი ფაქტორების ანალიზი იძლევა ღირებულ პერსპექტივებს, რომელთა ადაპტირება და ინტეგრირება შესაძლებელია ქართულ კონტექსტში. დაბალანსებული მიდგომა, რომელიც ითვალისწინებს მდგრადობის ეკონომიკურ, ეკოლოგიურ და სოციალურ ასპექტებს, უზრუნველყოფს, რომ მეფუტკრეობა საქართველოში იყოს არა მხოლოდ

პროდუქტიული და მომგებიანი, არამედ მდგრადი და პასუხისმგებლიანი, რაც ხელს შეუწყობს ეკოსისტემისა და საზოგადოების საერთო კეთილდღეობას.

მეფუტკრეობის განვითარების სტრატეგიების შემუშავებისთვის ერთერთი ცენტრალური მნიშვნელობისაა გარემოსდაცვითი საკითხები. მეფუტკრეობას, ეკოლოგიას და ფუტკრის პროდუქტების ხარისხს შორის პირდაპირი კავშირი განაპირობებს მეფუტკრეობის გარემოსდაცვით მდგრადობასთან შესაბამისობის აუცილებლობას.

მეფუტკრეობის გარემოზე გავლენა მნიშვნელოვანი ფაქტორია. ფუტკრის ოჯახების ჯანმრთელობა და პროდუქტიულობა დაკავშირებულია მათ საარსებო გარემოსთან. მეფუტკრეობის განვითარების სტრატეგიები აქცენტს უნდა აკეთებდეს ფუტკრებისათვის საკვები ბაზის („თაფლოვანი სავარგულები“ (მაყაშვილი 1973, 71)) შენარჩუნებაზე, ქიმიური ნივთიერებების მოხმარების შემცირებასა და კლიმატის ცვლილების შედეგების შერბილებაზე. თურქეთში ეგეოსის რეგიონში მეფუტკრეობის ეკონომიკური ანალიზი ხაზს უსვამს გარემო ფაქტორების მნიშვნელობას მეფუტკრეობის მომგებიანობისა და მდგრადობის განსაზღვრაში (ÇevriMli & Sakarya 2019, 113–15).

კლიმატის ცვლილება, რომელიც ხასიათდება ტემპერატურისა და ნალექების ცვლილებებით, მნიშვნელოვან გამოწვევებს ქმნის. ეს კლიმატური ცვალეზადობა გავლენას ახდენს ყვავილების რესურსების ხელმისაწვდომობასა და ხარისხზე, რაც გავლენას ახდენს ფუტკრის ჯანმრთელობასა და პროდუქტიულობაზე. ამიტომ, სტრატეგიები უნდა მოიცავდეს შესაბამის ადაპტაციურ ზომებს კლიმატის ცვლილების პირობებში მეფუტკრეობის პრაქტიკის მდგრადობის გასაუმჯობესებლად. მნიშვნელოვანია ყვავილების მრავალფეროვნების ხელშეწყობა, ბუნებრივი საარსებო გარემოს დაცვა და კლიმატის ცვლილებებისადმი მდგრადი მეფუტკრეობის პრაქტიკის დანერგვა (Vasukidevi et al. 2021, 557–58).

წყლის რესურსების გაფრთხილება ასევე უმნიშვნელოვანესია. ფუტკარს სჭირდება სუფთა წყალზე წვდომა სხვადასხვა ფიზიოლოგიური პროცესისთვის. სუფთა წყლის წყაროების ხელმისაწვდომობა გავლენას ახდენს არა მხოლოდ ფუტკრის ჯანმრთელობაზე, არამედ თაფლისა და ფუტკრის სხვა პროდუქტების ხარისხზეც.

სტრატეგიის შემუშავება უნდა მოიცავდეს წყლის ობიექტების შენარჩუნებისა და აღდგენის ზომებს, წყლის დაბინძურების შედეგების შესამცირებლად და წყლის მდგრადი გამოყენების პრაქტიკის ხელშეწყობის მიზნით.

ბიომრავალფეროვნება, განსაკუთრებით ყვავილოვანი მრავალფეროვნება, კიდევ ერთი საფუძველია მეფუტკრეობის დარგის განვითარებისა. მრავალფეროვან ეკოსისტემებში მეფუტკრეობის დინამიკის კვლევა ხაზს უსვამს ყვავილების მრავალფეროვნების როლს ფუტკრის ჯანმრთელობისა და პროდუქტიულობის გაუმჯობესებაში. სტრატეგიებმა ხელი უნდა შეუწყოს ბიოლოგიური მრავალფეროვნებით მდიდარი სასოფლო-სამეურნეო ლანდშაფტების შენარჩუნებას, საარსებო გარემოს აღდგენას და განვითარებას. მრავალფეროვანი ყვავილების მოშენება, ადგილობრივი ფლორის შენარჩუნება და დეგრადირებული საარსებო გარემოს აღდგენა კრიტიკულად მნიშვნელოვანია.

ქიმიკატების გამოყენება, განსაკუთრებით მავნებლებისა და დაავადებების კონტროლისთვის, ორლესული ხმალია. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი ქიმიკატი აუცილებელია მავნებლებისა და დაავადებების მართვისათვის, ხშირად ისინი საზიანოა ფუტკრისა და გარემოსთვის. დაბალანსებული მიდგომა, რომელიც აერთიანებს ქიმიკატების ზომიერ გამოყენებას გარემოს დაცვასთან, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. სახელმწიფო პოლიტიკამ უნდა შეუწყოს ხელი ეკოლოგიურად სუფთა ქიმიკატების გამოყენებას, მავნე ორგანიზმების ინტეგრირებულ მართვას და ორგანულ მეფუტკრეობას, სადაც ეს შესაძლებელია (ნებიერაძე & ბალიაშვილი 2008, 6–12; Dirimanova & Stoeva 2020, 147–49).

თანამედროვე მეფუტკრეობის გლობალური ტენდენციები ხაზს უსვამს პარადიგმის ცვლას მდგრადი პრაქტიკისკენ, რომელიც ხასიათდება თანამედროვე ტექნოლოგიების ტრადიციულ ცოდნასთან ინტეგრირებით, გარემოს დაცვის პრიორიტეტით. ნათელია საერთაშორისო ორგანიზაციების როლი მდგრადი მეფუტკრეობის სტანდარტებისა და გაიდლაინების ჩამოყალიბებაში. ეს გაიდლაინები ხშირად აქცენტს აკეთებს ბალანსზე პროდუქტიულობასა და გარემოს დაცვას შორის (Altunel & Olmez 2019, 6017).

ამდენად, მეფუტკრეობის განვითარების სტრატეგიების შემუშავებისას გარემოსდაცვითი მოსაზრებები მრავალმხრივია. ისინი მოიცავს რესურსების დაცვას- მოფრთხილებას, კლიმატის ცვლილებების გავლენის შერბილებას, ბიომრავალფეროვნების დაცვას და ქიმიკატების გონივრულ გამოყენებას. ამ ელემენტების ინტეგრაცია უზრუნველყოფს მეფუტკრეობის დადებით წვლილს გარემოს გაუმჯობესებაში, გლობალური მდგრადი განვითარების მიზნებთან შესაბამისობაში და მაღალი ხარისხის ფუტკრის პროდუქტების წარმოებაში. თანამედროვე სამეცნიერო ინოვაციების სინთეზი ტრადიციულ ეკოლოგიურ ცოდნასთან წარმოადგენს მდგრადი მეფუტკრეობის მომავალს.

დაინტერესებული მხარეების აქტიური ჩართულობა მეფუტკრეობის დარგის განვითარების სტრატეგიის შემუშავებასა და განხორციელებაში კრიტიკულად მნიშვნელოვანია. მეფუტკრეობის სიცოცხლისუნარიანი, მდგრადი და პროდუქტიული სექტორის შესაქმნელად საჭიროა ინტეგრირებული მიდგომა, რომელიც აერთიანებს სხვადასხვა დაინტერესებული მხარის იდეებს, ინტერესებს და შესაძლებლობებს.

მეფუტკრეები ამ ეკოსისტემის წინა პლანზე არიან. მეფუტკრეობის დარგი, თავისი რთული გამოწვევებითა და შესაძლებლობებით, ყველაზე უკეთ შეიძლება დავინახოთ მეფუტკრეთა გამოცდილების ლინზიდან. მათი პრაქტიკული გამოცდილება გვთავაზობს პრაგმატულ პერსპექტივას, სტრატეგიის ჩამოყალიბებასა და განხორციელებას რეალურ გარემოში. მეფუტკრეთა აქტიური ჩართულობის მექანიზმები, რომლებიც ხელს უწყობს მეფუტკრეთა შეხედულებების გათვალისწინებას, მნიშვნელოვანია დარგის განვითარების სტრატეგიების რეალობასთან ადაპტირებისა და ეფექტიანობისათვის.

სამთავრობო უწყებები მთავარ როლს ასრულებენ დარგის განვითარების სტრატეგიის შემუშავებასა და განხორციელებაში. ეთიოპიის შემთხვევის შესწავლა ხაზს უსვამს მთავრობის ჩარევის მნიშვნელობას მეფუტკრეობის სექტორში არსებული გამოწვევების მოგვარებასა და შესაძლებლობების გამოყენებაში. მეფუტკრეობის განვითარების სტრატეგიის შესაბამისობა ეროვნულ პოლიტიკასთან, საკანონმდებლო ჩარჩოებთან და ქვეყნის მდგრადი განვითარების პროგრამებთან, ხელს უწყობს ხელსაყრელი გარემოს შექმნას დარგის ზრდისთვის. სამთავრობო უწყებებთან

ერთობლივი ძალისხმევა უზრუნველყოფს ადეკვატური მარეგულირებელი ნორმატიული ჩარჩოს არსებობას. ასევე მნიშვნელოვანია სამთავრო უწყებების როლი პირველ ეტაპზე დარგის სუბსიდირების, ხელმისაწვდომი ფინანსური რესურსებით მხარდაჭერის მიმართულებით (Bihonegn & Begna 2021, 1–2; Delena & Kayamo 2021, 6).

კვლევითი ინსტიტუტები არიან ინოვაციებისა და ტექნოლოგიური პროგრესის ლოკომოტივები. სოფლის მეურნეობაში და მეფუტკრეობაში კვლევა და სამეცნიერო ცოდნის დანერგვა არის კატალიზატორი დარგის ტრანსფორმაციისთვის. კვლევის შედეგების სტრატეგიებში გათვალისწინება უზრუნველყოფს, რომ სტრატეგიები იყოს მტკიცებულებებზე დაფუძნებული, ინოვაციური და ტექნოლოგიების მიმდინარე ტენდენციების შესაბამისი. აკადემიურ დაწესებულებებთან პარტნიორობა ხელს უწყობს კვლევისა და განვითარების ინტეგრაციას, რაც ხელს უწყობს დარგის განვითარებას.

არასამთავრობო ორგანიზაციების როლი მეფუტკრეთა და მოსახლეობის ფართო ფენების მობილიზებისა და მათი ინტერესების ადვოკატირების საქმეში შეუცვლელია. მათ აქტიურობას ემყარება მეფუტკრეობის სტრატეგიების სოციალურ მდგრადობა. ინკლუზიური მიდგომები, რომლებიც აერთიანებს საზოგადოების იდეებს, უზრუნველყოფს სოციალურ მიმღებლობას და საზოგადოებრივ საკუთრებას - მეფუტკრეობის დარგის მდგრადი განვითარების მნიშვნელოვანი ასპექტებია. (კონცელიძე 2018, 20–23)

მომხმარებელთა პრეფერენციები და ბაზრის ტენდენციები მეფუტკრეობის განვითარების სტრატეგიების ჩამოყალიბების განუყოფელი ნაწილია. ბაზრის ანალიზი ევროპულ კონტექსტში ასახავს დინამიურ ურთიერთქმედებას მომხმარებელთა პრეფერენციებს, ბაზრის ტენდენციებსა და მეფუტკრეობის პრაქტიკას შორის. წარმატებულია სტრატეგიები, რომლებიც ითვალისწინებენ ბაზრის დინამიკას და მომხმარებელთა საჭიროებების გააზრებას. ასეთი სტრატეგიები იძლევიან სტიმულს დარგის ზრდისათვის და მეფუტკრეობის პროდუქტების კონკურენტუნარიანობის ამაღლებისათვის (Vrabcová & Hájek 2020, 1–2).


სტრატეგიების შემუშავება და მათი რეალიზაცია ეს არის ერთობლივი ძალისხმევის შედეგი. სოფლის მეურნეობის სექტორში ორგანიზაციული

თანამშრომლობის კვლევა ხაზს უსვამს მრავალ დაინტერესებულ მხარეთა პარტნიორობის სინერგიულ ეფექტებს. მრავალფეროვანი იდეების, გამოცდილების და რესურსების ინტეგრირება აძლიერებს სტრატეგიების შედეგიანობას, რაც ხელს უწყობს დარგის მდგრადობას.

გარდა ამისა, საერთაშორისო თანამშრომლობა და კავშირები აძლიერებს მეფუტკრეობის დარგის გლობალურ პოზიციონირებას. საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთკავშირი, ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობა და გლობალურ სტანდარტებთან შესაბამისობა ზრდის დარგის კონკურენტუნარიანობას, ასტიმულირებს საექსპორტო პოტენციალს და გლობალურ ბაზარზე შეღწევის შესაძლებლობას.

შეჯამების სახით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ზოგადად მეფუტკრეობის დარგის ეფექტიანობის ამაღლებაზე მოქმედი ფაქტორები შეიძლება დაიყოს 4 ძირითად კატეგორიად: ტექნოლოგიური, ეკონომიკური, ეკოლოგიური და სოციალური (იხ. სქემა N9).

მეფუტკრეობის ეფექტიანობის ამაღლებაზე მოქმედი ფაქტორები



წყარო: შემუშავებულია ავტორის მიერ (Жилин 2009, 42)-ის საფუძველზე

ამდენად, მეფუტკრეობის დარგის განვითარების სტრატეგიის შემუშავება და განხორციელება მოითხოვს ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობას - მეფუტკრეების, სამთავრობო უწყებების, კვლევითი ინსტიტუტების, არასამთავრობო ორგანიზაციების და ფართო საზოგადოების წვლილი უნიკალური და მნიშვნელოვანია. ინტეგრირებული მიდგომა, რომელიც ხასიათდება ინკლუზიურობით, თანამშრომლობით და ბაზრის ტენდენციებთან შესაბამისობით, საფუძველად უდევს მეფუტკრეობის განვითარების სტრატეგიების ეფექტიანობას. დაინტერესებულ მხარეთა შორის სიმბიოზური ურთიერთობა და დარგის განვითარების სტრატეგიის ერთობლივად რეალიზება არის მდგრადი და გლობალურად კონკურენტუნარიანი მეფუტკრეობის დარგის საფუძველი.

### 3.3 ეკონომიკური ურთიერთობები და ექსპორტის ზრდის ძირითადი მიმართულებები

ბაზრის დეტალური ანალიზი პოტენციური ექსპორტისთვის მნიშვნელოვანესია საქართველოს მეფუტკრეობის გლობალურ ბაზარზე ინტეგრაციისთვის. იგი მნიშვნელოვან როლს ასრულებს ბაზრის დინამიკის, მარეგულირებელი ჩარჩოებისა და მომხმარებელთა პრეფერენციების კომპლექსური ურთიერთქმედების განსაზღვრაში, რაც ქმნის საერთაშორისო ბაზრის შესაძლებლობებს ქართული მეფუტკრეობის პროდუქტებისთვის.

ბაზრის ზომისა და სეგმენტაციის ანალიზი ფუნდამენტურია. თითოეული საექსპორტო მიმართულება წარმოადგენს ბაზრის დინამიკის უნიკალურ კომბინაციას, რომელიც მოითხოვს პროდუქტის სპეციფიკაციის, მარკეტინგისა და განაწილების მიმართ ინდივიდუალურ მიდგომებს.

სამომხმარებლო პრეფერენციები არის ბაზრის ანალიზის ცენტრალური საკითხი. მომხმარებელთა ქცევის, საჭიროებებისა და პრეფერენციების გაგება ძირითად როლს თამაშობს ფუტკრის პროდუქტების შერჩევაში ბაზრის სხვადასხვა მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. აუცილებელია მომხმარებელთა პრეფერენციების დინამიურ ბუნების და პროდუქციის ხარისხის, შეფუთვისა და ბრენდინგის ბაზრის მოლოდინებთან შესაბამისობა, რაც ზრდის ბაზრის მიმზიდველობას და უზრუნველყოფს ქართული მეფუტკრეობის პროდუქტების კონკურენტულ უპირატესობას.

სამართლებრივი და მარეგულირებელი ჩარჩო რთული და კრიტიკულად მნიშვნელოვანი ასპექტებია. სამიზნე საექსპორტო ბაზრებზე მარეგულირებელი ჩარჩოს ანალიზი მნიშვნელოვან როლს ასრულებს ბაზარზე შესვლისა და შესაბამისობის მოთხოვნების ბარიერების გადალახვაში. თითოეულ ბაზარს აქვს უნიკალური მარეგულირებელი გარემო, სპეციფიკური სტანდარტებით, სერთიფიკატებით და საკანონმდებლო მოთხოვნებით, რომლებიც არეგულირებენ ბაზარზე წვდომას და ოპერაციებს. ყოვლისმომცველი ანალიზი უზრუნველყოფს, რომ

ფუტკრის პროდუქტები აკმაყოფილებდეს მარეგულირებელ მოთხოვნებს, რაც ხელს უწყობს ბაზარზე შესვლას და მდგრადად ოპერირებას.

არსებული კონკურენციის ანალიზი კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია. მეფუტკრეობის გლობალურ სამყაროში, კონკურენტები იყენებენ სხვადასხვა სტრატეგიას ბაზრის ნიშების დასაკავებლად და საკუთარი ბრენდის დომინირებისათვის. კონკურენტების სტრატეგიების, ძლიერი და სუსტი მხარეების დეტალური შესწავლა იძლევა ბაზართან დაკავშირებული გამოწვევებისა და პერსპექტივების დადგენის შესაძლებლობას. იგი განსაზღვრავს ქართული მეფუტკრეობის პროდუქტების სტრატეგიულ პოზიციონირებას, ხაზს უსვამს კონკურენტულ უპირატესობებს და აყალიბებს სტრატეგიებს ბაზარზე დომინირების გასაძლიერებლად.

საერთაშორისო ვაჭრობის დინამიკა საექსპორტო პოტენციალის განმსაზღვრელი ფაქტორია. ევროპული თაფლის ბაზრის შესწავლა ნათელს ჰფენს იმპორტის/ექსპორტის ტენდენციების, ტარიფებისა და სავაჭრო ხელშეკრულებების როლს ბაზრის შესაძლებლობების ჩამოყალიბებაში. ინფორმაცია სავაჭრო ნაკადებისა და ბაზარზე დაშვების პირობების შესახებ იძლევა საფუძველს სავაჭრო სტრატეგიების შემუშავებისთვის, რომელიც ითვალისწინებს ბაზრის შესაძლებლობებსა და გამოწვევებს. იგი განსაზღვრავს პოტენციურ საექსპორტო მიმართულებებს, სავაჭრო პარტნიორობას და ბაზრის დივერსიფიკაციის შესაძლებლობებს (აჩელაშვილი 2019, 3–5).

გარდა ამისა, აშკარაა ტექნოლოგიური ინოვაციების როლი ფუტკრის პროდუქტების გლობალური. ტექნოლოგიური მიღწევები წარმოებაში, გადამამუშავებასა და შეფუთვაში ზრდის პროდუქტის ხარისხს და მიმზიდველობას. ინოვაციების ხელშეწყობით ხორციელდება მეფუტკრეობის პროდუქტების დიფერენციაცია მაღალკონკურენტულ საერთაშორისო ბაზრებზე. პროდუქტების განვითარებასა და მარკეტინგში ტექნოლოგიების ინტეგრირება ზრდის ბაზარზე პროდუქციის ცნობადობას და მიმზიდველობას, ზრდის საექსპორტო პოტენციალს.

ამდენად, ბაზრის დეტალური ანალიზი პოტენციური ექსპორტისთვის მრავალმხრივია. ის აერთიანებს ინფორმაციას ბაზრის ზომის, მომხმარებელთა

პრეფერენციების, მარეგულირებელი ჩარჩოს, კონკურენტული გარემოს და სავაჭრო დინამიკის შესახებ. თითოეული ელემენტი ხელს უწყობს ქართული მეფუტკრეობის პროდუქტების შესაძლებლობების სრულყოფილ გააზრებას საერთაშორისო ბაზარზე. ამ ფაქტორების სინთეზი ემსახურება ბაზარზე შესვლისა და გაფართოების ეფექტიანი სტრატეგიების შემუშავებას ქართული მეფუტკრეობის პროდუქტების გლობალური კონკურენტუნარიანობისა და საექსპორტო პოტენციალის გასაძლიერებლად. ამგვარი კომპლექსური მიდგომა ხაზს უსვამს სხვადასხვა საბაზრო მონაცემების სტრატეგიულ ინტეგრაციას, რაც ხელს უწყობს ქართული მეფუტკრეობის პროდუქტების პოზიციონირებას გლობალურ ბაზარზე.

საქართველოს უნიკალური გეოგრაფია და კლიმატური პირობები ხელს უწყობს მეფუტკრეობის პროდუქციის შესანიშნავ ხარისხს. ქვეყანას ახასიათებს მრავალფეროვანი ფლორა, რომელიც ქმნის უნიკალური გემოს, ტექსტურის და სამკურნალო თვისებების მქონე თაფლის სახეობების წარმოების შესაძლებლობას. ეს ბიომრავალფეროვნება არის ბუნებრივი ფასეულობა, რომელიც უნიკალურობასა და მრავალფეროვნებას ანიჭებს ქვეყანაში წარმოებულ მეფუტკრეობის პროდუქტებს. საერთაშორისო ბაზარი, რომელიც ხასიათდება მრავალფეროვანი პრეფერენციების მქონე მომხმარებლებით, ამ მრავალფეროვნებას მიმზიდველად მიიჩნევს.

თაობიდან თაობაში შემონახული მეფუტკრეობის ტრადიციული მეთოდები განაპირობებს ქართული მეფუტკრეობის პროდუქციის ავთენტურობას. ფუტკრის მოვლის და ბუნებრივი დამუშავების ტრადიციული მეთოდების გამოყენება ხაზს უსვამს პროდუქციის ორგანულ და ავთენტურ ბუნებას. საერთაშორისო ბაზარზე სულ უფრო მეტად მოთხოვნადი ხდება ორგანული პროდუქტები, აქედან გამომდინარე საქართველოს ერთგულეობა ტრადიციული ბიო მეფუტკრეობისადმი აძლიერებს მის კონკურენტულ უპირატესობას.

„საქართველოში პირველად, აჭარის ოცდაოთხმა ჯარას მეფუტკრემ (მათ შორის, გოდერძის ალპური ბადის საფუტკრემ) წარმატებით გაიარა ბიოსერტიფიცირების პროცესი, რის შედეგად მათი 2020 წლის ჯარას თაფლის მოსავალი (დაახლოებით 3 ტონა) ბიო-სერტიფიცირებულია. ბიო სერტიფიცირებული ჯარას თაფლის კომერციულ შეგროვებას აჭარის რეგიონში, ქედის მუნიციპალიტეტში

მდებარე შპს კახური ტრადიციული მეღვინეობა აგრო-ქედას საწარმო (ბრენდი ნენა) ახდენს. ადგილობრივ და საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით შეფუთული და ეტიკეტირებული „ნენას“ ჯარას თაფლი ხელმისაწვდომია როგორც ადგილობრივ, ასევე, საერთაშორისო ბაზარზე. აღსანიშნავია, რომ ჯარას თაფლი ექსპორტზე გავიდა არაბეთის გაერთიანებულ სამეფოსა (2019) და აშშ-ში (2020)“ (აგრომეწარმეობა 2020; ჯარას მეფუტკრეთა ასოციაცია 2020, 4–5)

„ჯარას – ხის მორისგან გამოთლილ სკას უწოდებენ ადგილობრივები. ეს არის ნახევრად-ველური (გეჯური) მეფუტკრეობა. უძველეს დროში მონადირეებს ფუტკრის ძლიერი ოჯახები ტყიდან სახლში მიჰყავდათ და შემდეგ ხისგან გამოთლილი მორით ან თიხის სპეციალური ჭურჭლით ტყეში ან კლდეზე წინასწარ განსაზღვრულ ადგილას ათავსებდნენ. გეჯური მეფუტკრეობა მსოფლიოში არც ისე ბევრგანაა შემორჩენილი. მეფუტკრეობის ეს სახეობა საქართველოშიც ძალიან იშვიათია. ამ მხრივ განსაკუთრებით გამორჩეული მაღალმთიანი აჭარაა. 2018 წლამდე ჯარას თაფლის კომერციული შეგროვება არ ხდებოდა. თუმცა, ბოლო წლებში ჩატარებული კვლევების თანახმად, მსოფლიო ბაზარზე მოთხოვნა მაღალი ხარისხის, მათ შორის ეკოლოგიურად სუფთა ბიო თაფლზე დღითიდღე იზრდება. ჯარას თაფლი კი თავისი ისტორიით, ეკოლოგიურად სუფთა გავრცელების არეალითა და სრულიად ბუნებრივი ფიჭით, მარტივად აკმაყოფილებს ბიო სერტიფიცირების მოთხოვნებს, რაც მას კონკურენტულს ხდის საერთაშორისო ბაზარზე როგორც მაღალი ხარისხის უნიკალურ პროდუქტს“ (აგრომეწარმეობა 2020; პაპავა 2022, 37–38)

ხარისხიანი პროდუქციის წარმოება წარმოადგენს საქართველოს მეფუტკრეობის დარგისათვის პრიორიტეტულ პერსპექტიულ მიმართულებას. კვლევა ხაზს უსვამს ხარისხის კონტროლის მკაცრ ზომებს, რომლებიც გამოიყენება წარმოებისა და დამუშავების ეტაპებზე. ეს ღონისძიებები, რომელიც შეესაბამება ხარისხის საერთაშორისო სტანდარტებს, უზრუნველყოფს ქართული ფუტკრის პროდუქტების ხარისხის, უსაფრთხოებისა და სისუფთავის მკაცრ კრიტერიუმებს. ხარისხისადმი ამგვარი დამოკიდებულება ეხმიანება საერთაშორისო მომხმარებლებების გაზრდილ მოთხოვნას, რაც ხელს უწყობს პროდუქციის გლობალურ მიმზიდველობას.

ქვეყანა, მიუხედავად იმისა, რომ ერთგულია მეფუტკრეობის ტრადიციული მეთოდებისა, იყენებს თანამედროვე ტექნოლოგიებსა და ინოვაციებს მეფუტკრეობაში. ტრადიციისა და ინოვაციების სიმბიოზი უზრუნველყოფს, რომ წარმოებული პროდუქცია იყოს არა მხოლოდ ავთენტური, არამედ აკმაყოფილებდეს წარმოების ეფექტიანობისა და ხარისხის თანამედროვე მოთხოვნებს. ტრადიციისა და ინოვაციების ეს კომბინაცია მნიშვნელოვანი მიღწევაა, რომელიც ქართული მეფუტკრეობის პროდუქციას უნიკალურ საბაზრო ნიშაში აყენებს, თუმცა რა თქმა უნდა ეს ეხება მეფუტკრეთა მცირე ნაწილს. იმისათვის რომ მთელი ქვეყნის მასშტაბით განხორციელდეს ტრადიციული ბიო მეთოდებითა და თანამედროვე ინოვაციური მიდგომებით ფუტკრის ოჯახების მოვლა და მოშენება, აუცილებელია მეფუტკრეობის დარგის განვითარების შესაბამისი სტრატეგიის შემუშავება და რეალიზება ყველა დაინტერესებულ მხარის აქტიური მონაწილეობით.

ამდენად, საქართველოს უნიკალური კონკურენტული უპირატესობები საერთაშორისო ბაზარზე მრავალმხრივია. ისინი ეფუძნება ქვეყნის მდიდარ მეფუტკრეობის მემკვიდრეობას, მრავალფეროვან ფლორას, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებს, ინოვაციებს და მდგრადობისადმი ერთგულებას. თითოეული ეს ელემენტი ხელს უწყობს ქართული მეფუტკრეობის პროდუქტების მკაფიო პოზიციონირებას მსოფლიო ბაზარზე. ამ უპირატესობების სტრატეგიულად გაძლიერება მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქვეყნის გლობალურ ბაზარზე შეღწევადობის, კონკურენტუნარიანობისა და ბრენდის ავტორიტეტის გაძლიერებაში.

ქართული მეფუტკრეობის პროდუქტების საექსპორტო პოტენციალის გაზრდაში გადამწყვეტ როლს თამაშობს სწორი ბრენდინგი და მარკეტინგული სტრატეგიები. ემპირიულ მტკიცებულებებზე და ინოვაციურ პრაქტიკაზე დაფუძნებული ყოვლისმომცველი მიდგომა აუცილებელია გლობალური ბაზრის სირთულეების დასაძლევად.

ძლიერი ბრენდის - პროდუქტის ცნობადობის - შექმნა უმნიშვნელოვანესია. ხარისხს და ბუნებრიობას, ორგანულ წარმომავლობას უმთავრესი მნიშვნელობა აქვს თავლის ბაზარზე მომხმარებლის არჩევანის ფორმირებისას. აუცილებელია ქართული ფუტკრის პროდუქტების ბრენდინგისას ხაზი გაესვას მათ ხარისხსა და ბუნებრივ

წარმოშობას. ბრენდინგი უნდა ეფუძნებოდეს პროდუქციის ავთენტურობას, ქვეყნის განუმეორებელ ბუნებას, ხელუხლებელ პეიზაჟებს, ქართული მთის რუხი ფუტკრის უნიკალურობასა და მეფუტკრეობის ტრადიციულ მეთოდებს.

მარკეტინგში შეუცვლელი ინსტრუმენტებია თანამედროვე ციფრული ონლაინ პლატფორმები, ისინი მნიშვნელოვანია დეტალური ინფორმაციის გავრცელებისათვის. გლობალურ დონეზე ციფრული მარკეტინგის ინსტრუმენტების გამოყენების სტრატეგიული მიდგომა, მათ შორის SEO, სოციალური მედია და კონტენტ მარკეტინგი, აუცილებელია ბრენდის ცნობადობის გაზრდისთვის.

მომხმარებელთა პრეფერენციების გაგება აგრეთვე მნიშვნელოვანი მარკეტინგული ამოცანაა. გემოვნება, ბრენდის აღქმა და შეფუთვა მნიშვნელოვან როლს თამაშობს მომხმარებლის არჩევანზე. ამრიგად, ბაზრის კვლევაზე დაფუძნებული მომხმარებელთა პრეფერენციების მიხედვით, მარკეტინგული სტრატეგიების ადაპტაცია ხელს შეუწყობს ქართული ფუტკრის პროდუქტების შესვლას და დამკვიდრებას საერთაშორისო ბაზრებზე.

საერთაშორისო ორგანიზაციებთან და ინსტიტუტებთან თანამშრომლობა და პარტნიორობა ბრენდის ავტორიტეტის გაძლიერების გასაღებია. საერთაშორისო სერთიფიკატები და აკრედიტაცია ემსახურება პროდუქციის ხარისხისა და უსაფრთხოების დადასტურებას. გარდა ამისა, საკანონმდებლო და მარეგულირებელ ჩარჩოებთან შესაბამისობა სტრატეგიულად მნიშვნელოვანია მომხმარებელთა ნდობის გასამყარებლად და ბაზარზე შესვლის გასაადვილებლად (Bero 2017, 68).


მარკეტინგში ინოვაციური ტექნოლოგიების ინტეგრაცია - მონაცემთა ანალიტიკა და ხელოვნური ინტელექტი იდენტიფიცირებულია, როგორც კრიტიკული ელემენტები მარკეტინგის ეფექტიანობის გასაუმჯობესებლად. რაც საშუალებას იძლევა გაკეთდეს მომხმარებლისათვის პერსონიზირებული, მიზანმიმართული შეთავაზებები და რეკლამა (Novelli, Vercelli, & Ferracini 2021, 675). ამიტომ, მარკეტინგულ სტრატეგიებში ტექნოლოგიების ჩართვა აუცილებელია ინვესტიციების დაბრუნების (ROI) ოპტიმიზაციისა და ქართული მეფუტკრეობის პროდუქტებზე გლობალური წვდომის გაფართოებისთვის.

ამდენად, სწორი და ძლიერი ბრენდინგის, სტრატეგიული ციფრული მარკეტინგის, მომხმარებელზე ორიენტირებული მიდგომების, რეგულაციებთან შესაბამისობის და ინოვაციური მარკეტინგული ტექნოლოგიების კომბინაცია უმნიშვნელოვანესია ქართული მეფუტკრეობის პროდუქტების საექსპორტო პოტენციალის გაზრდისთვის. თითოეული ელემენტი საგულდაგულოდ უნდა იყოს შემუშავებული და შესრულებული, ემპირიული ცოდნისა და ინოვაციური პრაქტიკის საფუძველზე, რათა გაიზარდოს დარგის ეფექტიანობა და ქართული მეფუტკრეობა გლობალური ცნობადობის გაზრდითა და ბაზარზე შეღწევით ავიდეს ახალ სიმაღლეზე. ემპირიულ მტკიცებულებებზე და ინოვაციურ პრაქტიკაზე დაყრდნობით, დარგის განვითარების სტრატეგია უნდა იყოს ადაპტირებადი, მოქნილი და შეფასებაზე დაფუძნებული, რათა ეფექტიანად განხორციელდეს დარგის წინსვლა სწრაფად ცვალებადი გლობალური ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით.

შეჯამებისათვის, ბაზრის დეტალურ ანალიზსა, მარკეტინგისა და ბრენდინგის სტრატეგიებს და საერთაშორისო ბაზარზე ქართული მეფუტკრეობის პროდუქტების პოზიციონირებას შორის არსებული ურთიერთკავშირი სქემატურად შესაძლებელია შემდეგი სახით გამოვხატოთ:

სქემა N10

საექსპორტო ბაზრების ანალიზიდან, საკუთარი ნიშის დაკავებამდე



წყარო: შემუშავებულია ავტორის მიერ

ეკონომიკური კავშირები და საერთაშორისო ურთიერთობები უმთავრეს როლს თამაშობს ქართული მეფუტკრეობის პროდუქციის საექსპორტო შესაძლებლობების გაძლიერებაში. საჭიროა მრავალმხრივი მიდგომა, რომელიც მოიცავს სტრატეგიულ საერთაშორისო თანამშრომლობას, მსოფლიო სავაჭრო სტანდარტებთან შესაბამისობას და საერთაშორისო არხების ეფექტიანად გამოყენებას.

აუცილებელია აქტიური მონაწილეობა საერთაშორისო ვაჭრობასა და სტრატეგიულ ალიანსებში საქართველოს საექსპორტო შესაძლებლობების გასაფართოებლად. ევროსტანდარტებთან შესაბამისობის მიღწევა და საწარმოო შესაძლებლობების განვითარება საერთაშორისო ბაზარზე კონკურენტული უპირატესობების განმტკიცების განუყოფელი ნაწილია.

მნიშვნელოვანია ეკონომიკური კავშირების როლი საერთაშორისო ვაჭრობის ჩარჩოს მართვაში. ეს სტრუქტურები აწესებენ საერთაშორისო ვაჭრობის მარეგულირებელ წესებსა და სტანდარტებს, რომელთა დაცვას აქვს უდიდესი მნიშვნელობა ბაზარზე დაუბრკოლებლად შესვლისა და ხელსაყრელი საექსპორტო გარემოს შესაქმნელად.

ასევე მნიშვნელოვანია საერთაშორისო მისიების როლი ვაჭრობის ხელშეწყობაში. ეს მისიები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ქვეყნებს შორის სავაჭრო კომუნიკაციისა და თანამშრომლობის გაძლიერებაში, რითაც მთავარ როლს თამაშობენ სავაჭრო დავების გადაწყვეტასა და ურთიერთმომგებიანი გარემოს შექმნაში (Durant 2019, 45–47).

ეფექტიანი სავაჭრო მოლაპარაკებები საფუძველია ვაჭრობის ხელსაყრელი პირობების, ტარიფების, კვოტებისა და სტანდარტების დასადგენად. ეს მოლაპარაკებები ეფუძნება ორმხრივ სარგებელს და საერთაშორისო სავაჭრო კანონების პატივისცემას, რაც ხაზს უსვამს სტრატეგიული და ინფორმირებული მოლაპარაკებების აუცილებლობას სამართლიანი ვაჭრობის პრაქტიკის ხელშეწყობისთვის.

საერთაშორისო სტანდარტებისადმი ერთგულება და რეგულაციებთან შესაბამისობა ეკონომიკური კავშირების კიდევ ერთი საკვანძო ასპექტია. ამ

სტანდარტებთან შესაბამისობა არა მხოლოდ ნდობას ამყარებს, არამედ აძლიერებს ბრენდის ავტორიტეტს, ხელს უწყობს ბაზარზე შესვლას და ასტიმულირებს ფუტკრის პროდუქტების ექსპორტს (Vural & Karaman 2009, 223).

საერთაშორისო მეფუტკრეობის და სავაჭრო ორგანიზაციებთან მრავალმხრივი ურთიერთქმედება უმნიშვნელოვანესია. ეს ორგანიზაციები ადგენენ სავაჭრო სტანდარტებს და უზრუნველყოფენ ქვეყნებს შორის დიალოგისა და თანამშრომლობის პლატფორმებს. ამ ორგანიზაციებში ეფექტიანი ჩართულობა აძლიერებს საქართველოს გავლენას და პოზიციონირებას საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობებში.

ამდენად, ეკონომიკური კავშირები და საერთაშორისო ურთიერთობები ეფუძნება სტრატეგიულ თანამშრომლობას, საერთაშორისო სავაჭრო სტანდარტებთან შესაბამისობას და ეფექტიან მოლაპარაკებებს. თითოეული ასპექტი მჭიდროდ არის დაკავშირებული ქართული მეფუტკრეობის პროდუქციის საექსპორტო შესაძლებლობების გაფართოებასთან. საერთაშორისო სტრუქტურებთან და ორგანიზაციებთან სტრატეგიული ურთიერთობები და საერთაშორისო არხების ეფექტიანი გამოყენება აუცილებელია გლობალური ვაჭრობის სირთულეების დასაძლევად. ეს პოლისტიკური მიდგომა მიზნად ისახავს საქართველოს მეფუტკრეობის დარგის საექსპორტო პოტენციალის ოპტიმიზაციას, საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარებას და ქართული მეფუტკრეობის პროდუქტების გლობალურ ბაზარზე დამკვიდრებას.

სავაჭრო ხელშეკრულებები განსაზღვრავს წესებსა და პირობებს, რომლებიც არეგულირებს საერთაშორისო ვაჭრობას, რაც გავლენას ახდენს მთლიანად ქვეყნაში ეკონომიკურ საქმიანობაზე, მათ შორის მეფუტკრეობის სექტორზეც. გლობალური სავაჭრო შეთანხმებები, როგორცაა მათ შორის საქართველოს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება, ხაზს უსვამს ასეთი შეთანხმებების მრავალმხრივ გავლენას (Emerson 2015, 5–8).

სავაჭრო ხელშეკრულებების მნიშვნელოვანი ასპექტია მათ მიერ დაწესებული მკაცრი სტანდარტები და რეგულაციები. მაგალითად, მეფუტკრეობის დარგს

უკრაინაში ექმნება პრობლემები, რომლებიც წარმოიქმნება ხარისხის ევროპული სტანდარტების შეუსრულებლობის გამო, რაც ხაზს უსვამს საერთაშორისო კრიტერიუმებთან შესაბამისობის აუცილებლობას. გარდა ამისა, ზოგადად, ასოცირების ხელშეკრულებები ხაზს უსვამს პარტნიორი სახელმწიფოების ერთგულებას ფუნდამენტური ევროპული პოლიტიკური ღირებულებებისა და კანონის უზენაესობისადმი, იურიდიულ და ეთიკურ ასპექტებს, რომლებიც ახლავს სავაჭრო ურთიერთობებს (Senchuk, Peliukhnia, & Didenko 2022, 173–74).

სავაჭრო ხელშეკრულებების ეკონომიკური შედეგები დიდია. საქართველოსთვის, ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებამ გამოიწვია ორმხრივი ვაჭრობის მნიშვნელოვანი ლიბერალიზაცია, რაც ხელს უწყობს ეკონომიკური ზრდისა და დივერსიფიკაციისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნას. ასეთი შეთანხმებები ადგენს ტარიფების აღმოფხვრის პირობებს, რაც მთავარი ნაბიჯია ვაჭრობის ბარიერების მოსახსნელად და ქვეყნებს შორის საქონლის შეუფერხებლად გაცვლის ხელშესაწყობად (Emerson 2015, 48–54).

სავაჭრო ხელშეკრულებები ასევე ხელს უწყობს სტრატეგიული ალიანსების შექმნას. საერთაშორისო ვაჭრობაში და სტრატეგიულ ალიანსებში აქტიური მონაწილეობა ზრდის საექსპორტო შესაძლებლობებს, რაც ხაზს უსვამს გლობალური კავშირების მნიშვნელობას. ეს ალიანსები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ტექნოლოგიების გადაცემაში, ცოდნის გაზიარებასა და წარმოების შესაძლებლობების გაფართოებაში, რაც უზრუნველყოფს კონკურენტულ უპირატესობას გლობალურ ბაზარზე (ბეგდარაშვილი 2019, 78–79).

სავაჭრო ხელშეკრულებები ხელს უწყობს ბაზარზე წვდომას, რაც უმნიშვნელოვანესია ფუტკრის პროდუქტების ექსპორტისათვის. ეს სამართლებრივი ინსტრუმენტები ასევე მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ეროვნული მარეგულირებელი ჩარჩოს ჩამოყალიბებაში. რაც უზრუნველყოფს, რომ მეფუტკრეობის პროდუქტები აკმაყოფილებდნენ საერთაშორისო ბაზრების მკაცრ მოთხოვნებს. ამგვარი შესაბამისობა არა მხოლოდ სამართლებრივი მოთხოვნაა, არამედ სტრატეგიული ინსტრუმენტია ბაზარზე ნდობისა და ბრენდის ავტორიტეტის შესაქმნელად.

სავაჭრო შეთანხმებების კონტექსტში წარმოებული სავაჭრო მოლაპარაკებები ფუნდამენტურია ვაჭრობის ხელსაყრელი პირობების დასამყარებლად. საფუძვლიანი მოლაპარაკების პროცესი ხაზს უსვამს ორმხრივ სარგებელსა და საერთაშორისო სავაჭრო კანონებთან შესაბამისობას. ასეთი მოლაპარაკებები საფუძველს უყრის სამართლიანი ვაჭრობის პრაქტიკას, რაც უზრუნველყოფს ყველა მხარის ინტერესების სათანადოდ წარმოდგენასა და დაცვას.

საქართველოს მეფუტკრეობის დარგისთვის ისეთი სავაჭრო ხელშეკრულება, როგორცაა ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს. ვაჭრობის ლიბერალიზაცია ხელს უწყობს პირობების შექმნას, რომლითაც პროდუქტები, მათ შორის თაფლი, შეძლებენ საერთაშორისო ბაზრებზე ხელსაყრელი პირობებით შესვლას (ჭიჭიაშვილი 2019, 40).

ამდენად, სავაჭრო ხელშეკრულებებისა და მათი შედეგების ანალიზი ავლენს საერთაშორისო ვაჭრობის სირთულეს, თუმცა გრძელვადიან პერსპექტივაში, ასევე დიდ შესაძლებლობებს. ეს შეთანხმებები, რომლებიც ხასიათდება სამართლებრივი, ეკონომიკური და სტრატეგიული ასპექტებით, ფუნდამენტურია ქართული მეფუტკრეობის პროდუქტების საექსპორტო პოტენციალის რეალიზებისათვის. ამ შეთანხმებების მრავალმხრივი ბუნებიდან გამომდინარე, საჭიროა კომპლექსური მიდგომა საერთაშორისო ვაჭრობასთან დაკავშირებული გამოწვევებთან გასამკლავებლად და არსებული შესაძლებლობების ეფექტიანად გამოსაყენებლად.

კერძო სექტორი და სამოქალაქო საზოგადოება არა მხოლოდ ძირითად როლს ასრულებენ საერთაშორისო ვაჭრობაში, არამედ ასევე იმ პოლიტიკისა და პრაქტიკის ჩამოყალიბებასა და წარმართვაში, რომელზე დგას ეს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ეკონომიკური საქმიანობა. კერძო სექტორი თავის მხრივ უშუალოდ ახორციელებს საქონლისა და მომსახურებით ვაჭრობას საერთაშორისო ასპარეზზე. სამოქალაქო საზოგადოება კი - ძირითადად მოქმედებს როგორც ეთიკური სტანდარტებისა და საზოგადოებრივი კეთილდღეობის მცველი, რომელიც უზრუნველყოფს სავაჭრო პრაქტიკის სამართლიანობას, მდგრადობას და უფრო ფართო საზოგადოებრივი ინტერესების დაცვას. კერძო სექტორი ასევე მონაწილეობს შესაბამისი სახელმწიფო პოლიტიკისა და რეგულაციების შემუშავებაში, ხელსაყრელი ბიზნეს გარემოს

შესაქმნელად. ამავდროულად, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები უზრუნველყოფენ, რომ პოლიტიკა იყოს დაბალანსებული, ეთიკური და საზოგადოების კეთილდღეობაზე მიმართული (Getahun 2023, 59–61).

მეფუტკრეობაში ინოვაციასა და ვაჭრობას შორის გადაკვეთას ხშირად კერძო სექტორი უწყობს ხელს. ვაჭრობაში ეფექტიანობისა და კონკურენტუნარიანობის გაზრდის მიზნით მეწარმეები ნერგავენ ტექნოლოგიურ მიღწევებს. სამოქალაქო საზოგადოება კი უზრუნველყოფს რომ ტექნოლოგიები აკმაყოფილებდეს ეთიკურ სტანდარტებს და ხელს უწყობდეს საზოგადოების კეთილდღეობას. ეს ორმაგი როლი ხელს უწყობს დაბალანსებულ მიდგომას ტექნოლოგიური ინოვაციების მიმართ, რაც უზრუნველყოფს ვაჭრობის ეფექტიანობას, სოციალურ პასუხისმგებლობასთან ერთად (Vaziritabar, Mehdi Esmaeilzade, & Shakib Vaziritabar 2016, 1341).

სამოქალაქო საზოგადოება ერთგვარად აკონტროლებს კერძო სექტორს და მოუწოდებს მას მეტი პასუხისმგებლობისაკენ. მონიტორინგის, შეფასებისა და ადვოკატირების გზით, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები უზრუნველყოფენ, რომ ბიზნესი იქცეოდეს ეთიკურად, პატივს სცემდეს ადამიანის უფლებებსა და გარემოს დაცვით სტანდარტებს (“Animal Health & Production in Africa” 2016, 3–7).

კერძო სექტორსა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის სინერგიის მაგალითია ერთობლივი ინიციატივები, რომლებიც მიმართულია საერთაშორისო ვაჭრობის გაუმჯობესებაზე. ბიზნესი უზრუნველყოფს რესურსებს, ინოვაციებს და უშუალო მონაწილეობას ვაჭრობაში, ხოლო სამოქალაქო საზოგადოება უზრუნველყოფს ზედამხედველობას, ეთიკური სტანდარტების და წარმატებული პრაქტიკის პოპულარიზაციას. ამგვარ თანამშრომლობას შეუძლია მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს ქართული სოფლის მეურნეობის პროდუქციის, მათ შორის თაფლის ხარისხის გაუმჯობესებაში, საერთაშორისო სტანდარტების დაკმაყოფილებასა და მსოფლიო ასპარეზზე კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფაში (ბოკუჩავა 2019, 89–90).

სამოქალაქო საზოგადოების სტრატეგიული ჩართულობა შესაბამისი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაში განპირობებულია მათი

დაბალანსებული მიდგომით საერთაშორისო ვაჭრობის მიმართ. სამოქალაქო საზოგადოება ხელს უწყობს საერთაშორისო ვაჭრობის განვითარებისადმი ჰოლისტიკური მიდგომას, იმის უზრუნველსაყოფად, რომ სახელმწიფო პოლიტიკა იყოს არა მხოლოდ ბიზნესისადმი კეთილგანწყობილი და მხარდამჭერი, არამედ ითვალისწინებდეს გარემოს დაცვასა და სოციალურ კეთილდღეობას.

ამდენად, კერძო სექტორისა და სამოქალაქო საზოგადოების როლები სავაჭრო ურთიერთობებში ურთიერთშემავსებელი და მრავალმხრივია. მიუხედავად იმისა, რომ კერძო სექტორი უშუალოდ ახორციელებს ეკონომიკურ საქმიანობას, ნერგავს ინოვაციებს და მონაწილეობს საერთაშორისო ვაჭრობაში, სამოქალაქო საზოგადოება უზრუნველყოფს ამ აქტივობების ეთიკურად, მდგრად და ფართო საზოგადოებრივ ინტერესებთან შესაბამისობაში მოყვანას. ეკონომიკურ ზრდასა და სოციალურ კეთილდღეობას შორის რთული ბალანსი დამოკიდებულია როგორც კერძო სექტორის, ისე სამოქალაქო საზოგადოების ერთობლივ და დაბალანსებულ ძალისხმევაზე სავაჭრო ურთიერთობების ჩამოყალიბებაში, მათზე გავლენის მოხდენასა და სტიმულირებაში.

### III თავის დასკვნები

ამ თავში გაკეთდა ანალიზი საქართველოში მეფუტკრეობის განვითარების შესაძლებლობებისა და პერსპექტივების შესასწავლად, რის შედეგადაც მიღებულია შემდეგი დასკვნები, რომლებიც გადამწყვეტია ამ სექტორის აღორძინებისა და გაფართოებისთვის.

1. გაანალიზდა ტექნოლოგიების დანერგვის მიმდინარე მდგომარეობა, გამოვლინდა ხარვეზები და გაუმჯობესების შესაძლებლობები. მეფუტკრეობაში ტექნოლოგიის ეკონომიკური ეფექტები მნიშვნელოვანია; პოტენციური სარგებელი: პროდუქტიულობაში, ხარისხის ამაღლებაში და მდგრადობაში. მეფუტკრეთა გადამზადება, სწავლება და შესაძლებლობების განვითარების ინიციატივები მნიშვნელოვანი ელემენტებია ტექნოლოგიების დანერგვის ხელშეწყობისთვის, რაც

ხაზს უსვამს აქტუალური უნარებისა და ცოდნის გაღრმავების პროგრამების საჭიროებას.

2. მეფუტკრეობის სტრატეგიული განვითარების განხილვამ ცხადყო ყოვლისმომცველი, მოქნილი და ადაპტირებადი სტრატეგიის საჭიროება. არსებული სტრატეგიების შეფასებამ გამოავლინა გაუმჯობესების მიმართულებები, სადაც მდგრადობა, ეკონომიკური პროგნოზები და გარემოსდაცვითი მოსაზრებები ცენტრალურია ეფექტიანი სტრატეგიის შემუშავებისთვის. საკვანძოდაა მიჩნეული დაინტერესებული მხარეების მონაწილეობა სტრატეგიის შემუშავებასა და განხორციელებაში. რაც ხაზს უსვამს თანამშრომლობით მიდგომას მეფუტკრეობის სექტორის პოლიტიკური განვითარების უზრუნველსაყოფად.

3. გამოიკვეთა ეკონომიკური ურთიერთობების გაძლიერებისა და ფუტკრის პროდუქტების ექსპორტის გაზრდის პოტენციალის მნიშვნელობა. ბაზრის დეტალურმა ანალიზმა გამოავლინა საერთაშორისო ასპარეზზე ქართული პროდუქციის კონკურენტუნარიანი პოზიციონირების შესაძლებლობები. ეკონომიკური კავშირები, საერთაშორისო ურთიერთობები და სტრატეგიული სავაჭრო ხელშეკრულებები მნიშვნელოვან როლს თამაშობს გლობალური ბაზრის სირთულეების დაძლევისა და საქართველოს საექსპორტო პოტენციალის გაზრდაში.

ამდენად, მე-3 თავში ხაზგასმულია საქართველოში მეფუტკრეობის, როგორც საექსპორტო დარგის, განვითარების პოტენციური გზა, რომელიც დაფუძნებულია ტექნოლოგიურ ინოვაციების დანერგვაზე, სტრატეგიულ განვითარებასა და გაძლიერებულ ეკონომიკურ ურთიერთობებზე. მიღებული შედეგები, მნიშვნელოვანია შესაბამისი სახელმწიფო პოლიტიკის, სტრატეგიული მოქმედებებისა და პრაქტიკის ჩამოყალიბებისთვის. ეს იქნება საფუძველი ტაქტიკური, სამოქმედო გეგმისა მიმდინარე გამოწვევებიდან ზრდის, მდგრადობისა და საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის მომავალზე გადასასვლელად. მოცემული დასკვნები ხელს შეუწყობს ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებას და სტრატეგიულ დაგეგმვას მეფუტკრეობის ეკონომიკური წვლილის ოპტიმიზაციისათვის საქართველოს ეროვნულ და საერთაშორისო ეკონომიკაში.

## დასკვნა

დისერტაციაში მოცემულია საქართველოში მეფუტკრეობის დარგის მრავალმხრივი ანალიზი, სადაც აღწერილია მისი ისტორიული მნიშვნელობა, თანამედროვე მდგომარეობა, არსებული პრობლემები, სამომავლო პერსპექტივები და პარალელები სხვა ქვეყნების გამოცდილებებთან. თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლების, ეკონომიკური შედეგების, მარეგულირებელი ჩარჩოების და გლობალური პოზიციონირების კომპლექსური განხილვა უზრუნველყოფს სექტორის სიღრმისეულ ხედვას.

ისტორიული კონტექსტი ასახავს მეფუტკრეობის დიდ მნიშვნელობას, რაც ხაზგასმულია ქართული მთის რუხი ფუტკრის უნიკალურობითა და დარგის მულტიპლიკატორული ეფექტით ეროვნულ ეკონომიკაში. ეკონომიკური ანალიზი ხაზს უსვამს მეფუტკრეობის სიცოცხლისუნარიანობას, მნიშვნელოვანი შემოსავალითა და წვლილით მდგრად განვითარებაში, თუმცა იგი შეზღუდულია სხვადასხვა გამოწვევებით.

გაეროს ოფიციალური სტატისტიკის 2009-2023 წლების მონაცემებზე დაყრდნობით განხორციელდა საქართველოსა და მსოფლიოს სხვა ქვეყნებში ნატურალური თაფლის წარმოების შედარებითი უპირატესობის (RCA), საექსპორტო კონკურენტუნარიანობისა (ECI) და ექსპორტის დივერსიფიკაციის (EDI) ინდექსების გაანგარიშება. შედგენილ იქნა ქვეყნების რეიტინგული სია. ამასთანავე ცალკე დეტალურად შედარდა საქართველოს და მისი მეზობელი ქვეყნების - რუსეთის ფედერაციის, თურქეთის, სომხეთისა და აზერბაიჯანის -საექსპორტო პოზიციები ზემოჩამოთვლილი ინდექსების მიხედვით. ანალიზმა ცხადყო საქართველოს საექსპორტო პოზიციების მკვეთრი ზრდა ბოლო წლების განმავლობაში.

მეფუტკრეობის ამჟამინდელი მდგომარეობის დეტალური განხილვა წარმოაჩენს დარგში არსებულ გამოწვევებს: ფუტკრის დაავადებები, კლიმატის ცვლილებები, გარემოსდაცვითი პრობლემები. მნიშვნელოვანია, რომ ძლიერ საერთაშორისო კონკურენციაში, გლობალური ტენდენციების გათვალისწინებით, საქართველო იბრძვის თავისი ნიშის დასაკავებლად და ბაზრის ბარიერების

გადასალახად, თუმცა არსებობს ფინანსური, ტექნოლოგიური და ინფრასტრუქტურული ბარიერები. რომლებსაც კიდევ უფრო ამწვავებს მეფუტკრეების არასაკმარისი განათლების დონე და საჭირო უნარების ნაკლებობა, არასაკმარისად შესაბამისი სახელმწიფო პოლიტიკა, კერძო სექტორისა და სამოქალაქო საზოგადოების პასიურობა.

მეფუტკრეობის დარგის მარეგულირებელ და ინსტიტუციურ ჩარჩოს, მიუხედავად იმისა, რომ მიზანმიმართულია მეფუტკრეობის განვითარებისაკენ, აქვს ხარვეზები და გამოწვევები. ადგილობრივი და ეროვნული ინსტიტუტებისა და დაინტერესებული მხარეების, მათ შორის არასამთავრობო ორგანიზაციებისა და კერძო სექტორის როლი საკვანძოა და საჭიროებს გაძლიერებას მეფუტკრეობის დარგის მარეგულირებელი და მხარდაჭერი ეკოსისტემის შემდგომი სრულყოფისათვის.

ტექნოლოგიური ინოვაციებისა და სტრატეგიული განვითარების პერსპექტივა იძლევა დარგის აღორძინების შესაძლებლობებს. დარგში ახალი ტექნოლოგიების დანერგვა განაპირობებს მასშტაბის ეფექტს, რაც საშუალებას აძლევს მეფუტკრეებს მართონ უფრო მეტი პროცესები და ოპერაციები უფრო სწრაფად და ნაკლები დანახარჯებით, გავიდნენ უფრო ფართო ბაზრებზე, რაც თავის მხრივ განაპირობებს შემოსავლების ზრდასა და მაღალ რენტაბელობას. თანამედროვე ტექნოლოგიები (ხელოვნური ინტელექტი (AI), Machine Learning (ML) და Internet of Things (IoT)) ხდება მეფუტკრეობის დარგში ეფექტიანობის მიღწევის ქვაკუთხედი, რაც მოითხოვს მეფუტკრეთა აქტიურ სწავლება-გადამზადებას და მათი შესაძლებლობების განვითარების ინიციატივებს. დარგის სტრატეგიული განვითარება დამოკიდებულია მის თანამედროვეობასთან ადაპტირებაზე, მდგრადობასა და დაინტერესებულ მხარეთა თანამშრომლობაზე.

ამდენად, მეფუტკრეობის დარგი საქართველოში იმყოფება კრიტიკულ ეტაპზე, რომელიც ხასიათდება როგორც დიდი შესაძლებლობებით, ასევე მნიშვნელოვანი გამოწვევებით. ისტორიული მემკვიდრეობის, ეკონომიკური სიცოცხლისუნარიანობის, მარეგულირებელი მხარდაჭერის, ტექნოლოგიური ინოვაციებისა და სტრატეგიული განვითარების ერთობლიობა წარმოადგენს პერსპექტიულ შესაძლებლობებს. არსებული გამოწვევებიდან დარგის მომავალ

ზრდაზე, მდგრადობასა და საერთაშორისო კონკურენტუნარიანობაზე გადასასვლელად უმნიშვნელოვანესია ინტეგრირებული და ინოვაციური მიდგომა. სადისერტაციო ნაშრომში წარმოდგენილი იდეები და მიღებული დასკვნები ხელს შეუწყობს ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღებას, დარგობრივი პოლიტიკის სრულყოფასა და სტრატეგიულ სახელმწიფო ინტერვენციებს - რომლებიც მიზნად ისახავს ქართული მეფუტკრეობის ეკონომიკურ ზრდასა და დარგის ეფექტიანობის ამაღლებას.

## რეკომენდაციები

საქართველოში მეფუტკრეობის, როგორც საექსპორტო დარგის, ეკონომიკური განვითარების პრობლემებისა და პერსპექტივების შესწავლის და ანალიზის შედეგად მიღებული დასკვნების საფუძველზე, შევიმუშავეთ შემდეგი რეკომენდაციები:

- ნორმატიულ-სამართლებრივი და ინსტიტუციური ჩარჩოს სრულყოფის მიზნით მარეგულირებელი ნორმების სიცხადის გაზრდა - საჭიროა, არსებული საკანონმდებლო და მარეგულირებელი ჩარჩოს გადახედვა და გაუმჯობესება, რათა ნორმატიული აქტები გახდეს უფრო ცხადი და თანმიმდევრული, მეფუტკრეთა მხარდასაჭერად;

- გაძლიერდეს ინსტიტუციური შესაძლებლობები ეროვნულ და რეგიონული დონეზე მეფუტკრეობის დარგის ეფექტიანი მხარდაჭერისა და ზედამხედველობის მიზნით;

